გაზეთი გამოდის 1999 წლიდან
ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

E-mail: roland.jalagania@mail.ru
E-mail: r.jalagania@mail.ru

№395 (454) 24-31 იანვარი 2017 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე

## ჰამლეტ ჭიპაშვილი: 300 ლარად მოჭრილი საკუთარი თავი და ქვეყანა

გვ.2-8



## კუკური ფიფია: ღია წერილი ბატონ ბიძინა თავაძეს

გვ.4

## გიორგი გიგაური: 25 წლის წინათ, თბილისის გულში დაიწყო სისხლიანი პუტჩი და არა — სამოქალაქო, ძმათამკვლელი ომი!

გვ.3



## ღირსი სერაფიმე საროველი

გვ.10



## ლავრენტი ბერია — საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი

გვ.4

## იგორ კეკელია: მეშჩანისათვის გაწნული სილა

გვ.3

## სერგი საჯაია: არასაზავო ფიქრები მილევადობის მიჯნასთან

გვ.6

## ვინ შექმნა მემორიალი ილიას საფლავისთვის...

გვ.9





გვ.8

## სიკვდილის ახალი გზა — თბილისში ბიონარკოტიკის უცნობი სახეობა გამოჩნდა (!?)

## “wikileaks”-ის ჩანაწერი — “ნაციონალურ მოძრაობას” იარაღის უკანონო ვაჭრობიდან ნაშოვნი ფულით აფინანსებენ

გვ.9

# 300 ლარად მოჭრილი საკუთარი თავი და ქვეყანა

ჰამლეტ ჭიპაშვილი

20 იანვარს აშშ-ს ახალი პრეზიდენტი ეყოლება. მსოფლიო დიდის ინტერესით ელოდება ამ დღეს, ვინაიდან ახალი პრეზიდენტის წინასაარჩევნო განცხადებებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, უდავოდ დიდ გარდაქმნებს ექნება ადგილი.

პირველ ქვეყნად წოდებულის როლი აღარ იქნება ისეთი, რასაც დღემდე აქვს ადგილი. შეიცვლება ამ ქვეყნის დამოკიდებულება სხვა ქვეყნებთან, მათ შორის იმათთან, ვისაც დღემდე პარტნიორებად მოიხსენიებდნენ. შეიცვლება ევროკავშირთან, ნატოსთან, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან დამოკიდებულებაც, რაც პოლიტიკოსთა შორის დიდ თავსატკივარს იწვევს.

შეცვლა, უბრალო ნამდვილად არ იქნება. შეცვლა, უდავოდ რევოლუციური იქნება, ამიტომაც მსოფლიო პოლიტიკის ყურადღება ვაშინგტონისკენ არის მიპყრობილი. ისე, როგორც სხვები, ჩვენც იქითკენ ვიყურებით ჩვენთვის სასარგებლოს მოლოდინში და წამითაც არ ვფიქრობთ იმ მოსალოდნელზე, რაზეც არჩეულმა პრეზიდენტმა არაერთხელ მკაფიოდ განაცხადა – რუსეთთან ნორმალური ურთიერთობების ჩამოყალიბება, პოსტსაბჭოთა სივრცისადმი (სადაც ჩვენც შევდივართ) ზედაპირული დამოკიდებულება.

არჩეული პრეზიდენტის დაჟინებული განცხადებები, რუსეთთან და პოსტსაბჭოთა სივრცესთან დაკავშირებით მაფიქრებინებს, რომ საქართველო, ისე, როგორც სხვა მსგავსი ქვეყანა, ახალი პრეზიდენტის პოლიტიკურ არეალში ისე ვეღარ იქნება, როგორც დღემდე. ჩანს ახალი პოლიტიკური ვექტორის გამოძერწვა მოგვიწევს და ეს ვექტორი რუსეთსა და მეზობლებს უნდა დაუკავშირდეს.

როდესაც სხვა გზა არ გაქვს, ის უნდა აირჩიო, რაც შენმა წინაპარმა აირჩია და რამაც თავის დროზე საქართველო ფიზიკური განადგურებისგან გადაარჩინა. ეს არც ლიტონი სიტყვებია და მითუმეტეს არც ცრუ ისტორია. თუ აშშ-ი აღარ იქნება საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი, ევროკავშირი ხომ იქნებაო – იტყვის მავანი.

აშშ-ი შექმნილი ახალი ვითარებიდან და ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვებიდან გამომდინარე, თვით ევროკავშირს აქვს უდიდესი პრობლემები, რაც არათუ ასოცირებულ წევრს, საქართველოს სახით, თვით ევროკავშირის წევრებსაც კი კარგს არაფერს უქადის. ანალოგიური ვითარებაა ნატოსთან დაკავშირებითაც. პრეზიდენტი ტრამპი არ აპირებს ამ ორგანიზაციებთან დონორულ ურთიერთობას და ყოველივე იმას, რასაც აშშ-ი აკეთებდა მათთან მიმართებაში.

ევროკავშირთან ასოცირება შეაფასა მოლდოვას ახალმა პრეზიდენტმა დოდონმა და ჩათვალა, რომ თითქმის ორწლიანმა **„თანამშრომლობამ“** ნეგატიურის მეტი არაფერი მოუტანა ამ ქვეყანას. დოდონის ინტერვიუს გაცნობა სასარგებლო იქნებოდა იმათთვის, ვინც ბრმად უჭერს მხარს ევროკავშირთან ურთიერთობას, თვლის რა განსაკუთრებულ სარგებელს ჩვენი ქვეყნისთვის.

არა აშშ-ი, არა ევროკავშირი, მაშ რა? – ისმის კითხვა – პასუხი მარტივია – მეზობლები და უპირველესად რუსეთი, დსთ, ევრაზიული სივრცე, შოსი, რომელიც ესოდენ მომხიბლავად გამოიყურება ისეთი ქვეყნებისთვისაც კი, როგორებიცაა თურქეთი, ისრაელი, ირანი, ინდოეთი, პაკისტანი და ა.შ.

კეთილი, დავუშვათ ქვეყანამ სრულიად საწინააღმდეგო ნაბიჯი გადადგა, რამდენად იქნება შესაძლებელი მისი განხორციელება? კითხვა ლოგიკურია, ვინაიდან პრეზიდენტ გამსახურდიადან დაწყებული, ისეთი ანტირუსული ლანძღვა-გინებაა ატეხილი ქვეყანაში, უარესს რომ ვერ ინატრებდა აშკარად ანტირუსი ამერიკელი სენატორი მაკკეინიც კი.

აშშ-ს ჰეგემონისტური პოლიტიკიდან გამომდინარე 25-წლიანმა ანტირუსულმა ისტერიამ, რასაც ჩვენში აქვს ადგილი, გადააგვარა ხალხის აზროვნება, დაავიწყა მას ყველა სიკეთე, რასაც უდავოდ ჰქონდა ადგილი 2 ქვეყნის საუკუნოვან ისტორიაში. შეგნებულად წინ წამოსწია მეორეხარისხოვანი საკითხები, ხშირ შემთხვევაში თითიდან გამოწოვილი და ერთ დროს მფარველი, მართლმადიდებელი ქვეყანა და ხალხი დაუძინებელ მტრად გადააქცია.

ის, რაც საქართველოს ე.წ. დასავლეთმა დამართა, სულაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან გაცილებით მეტი, ერთ სისხლსა და ხორცს უკრაინას და უკრაინელს არგუნა, გადაჰკიდა რა რუსეთს, როგორც მოსისხლე მტერი.

უკრაინელთა ტრანსფორმაცია ძვირი დაუჯდა აშშ-ს, მათივე განცხადებით 5 მილიარდი დოლარი. არანაკლები მილიარდები დაიხარჯა სხვა არამდგრადი პოსტსაბჭოთა ქვეყნების, საქართველოსა და მოლდოვას გადასაგვარებლად. მაგრამ ეს უკანასკნელი, როგორც იქნა გამოფხიზლდა. ახალმა პრეზიდენტმა, პრეზიდენტობის პირველსავე დღეს ევროკავშირის დროშა ჩამოახსნევინა პრეზიდენტის სასახლიდან. გამოფხიზლებული მოლდოვა რუსეთთან დამოკიდებულების კარდინალური შეცვლის მომხრეა, ცხადია უკეთესობისკენ, ვინაიდან მისი და მოლდოველთა აზრით (67%) მხოლოდ რუსეთს, დსთ-ს, ევრაზიულ კავშირს ძალუძს იხსნას მოლდოვა სიღატაკისგან.

არადა მოლდოვას ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობა საქართველოსთვის დასაწუნი არ არის. მოლდოვა რახანია სარგებლობს ვიზალიბერალიზაციით, თუმცა დიდი ვერაფერი შესძინა ამ საქმემ მას, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყანას დახმარებას ევროკავშირის წევრი და სისხლით ნათესავი რუმინეთი უწევს. საქართველოს ვინ ჰყავს, ვინ გაუწევს დახმარებას, ვინ ამოუდგება გვერდში განსაცდელის ჟამს?

არც შორეული და არც ახლო მეზობელი, მონათესავე ერი ქვეყანას არ ჰყავს. პირიქით, მეზობლებს უპირველესად ჩვენი მიწისკენ უჭირავთ თვალი. ისე, როგორც დიდი ერეკლეს დროს, ისევ მართლმადიდებელი, თანაც მძლავრი რუსეთი თუ ჩაითვლება ასეთად, რაც არაერთხელ დამტკიცდა 200-წლიანი ურთიერთობის დროს.

ამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იყო კარგიც და ცუდიც, რაც არ არის გასაკვირი, რამეთუ იშვიათად მოიძებნება ოჯახი, რომელსაც საოჯახო პრობლემები, დაძაბულობა არ ჰქონდეს. სახელმწიფო კი ათასობით ოჯახისგან შედგება. მიუხედავად ამისა სიმართლის სასწორზე შემოდებული 2 ქვეყნის ურთიერთობის ისტორია დადებითისკენ გადაიხრება. უფრო მეტიც, რომც არ იხრებოდეს ქართველმა, თავისი გონიერებით, დიპლომატიური ალღოთი და ქმედებით უნდა გადახაროს, ისე, როგორც ეს გააკეთა თავის დროზე ფინელმა ხალხმა. ჩვენ რას ვაკეთებთ?

ნაცვლად გონივრული ქცევისა, გონგამოცლილი, ქარაფშუტა ადამიანივით ვიქცევით. ვითომდა პატრიოტული გულანთებულობით შეპყრობილნი ვლანძღავთ და ვაგინებთ ერს, რაც ნებისმიერ საზოგადოებაში დაუშვებელია; ვაღვივებთ ერთაშორის სიძულვილს, რაც ასევე დაუშვებელია და კანონით ისჯება – აბუჩად ვიგდებთ ჩვენსავე კონსტიტუციას, სადაც (პრეამბულა) გარკვევით წერია: **„განვამტკიცოთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა“**. ამ **„სხვა ხალხებში“** რუსი არ შედის? ან რას გვაძლევს ამ ქვეყნის ხალხის და ხელისუფლების ლანძღვა-გინება და საკუთარი ხალხის რუსეთის წინააღმდეგ მიქსევა?

მსგავსი ექსპერიმენტი ცუდათ გვაქვს დაცდილი, მაგრამ ვის ანაღვლებს ეს? იმას ნამდვილად არა, ვინც ღვარძლით აღსავსე სტატიას აქვეყნებს 10 იანვრის გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკაში“**. მისი სახელი და გვარი უცნობია პოლიტოლოგიისთვის – არაფრის მთქმელი (ირაკლი ბოკუჩავა). სტატიას ასეთი სათაური აქვს – **„არა განაძლო!“**.

ჩემის მხრიდან აღნიშნულ **„ნაშრომზე“** გამოხმაურება უდავოდ რეკლამაა მისთვის, მაგრამ მაინც გადავწყვიტე გზააბნეული კაცისთვის შემეხსენებინა, რომ ქუჩურ ჭორებზე დაყრდნობით შეთხზული და 300 ლარად გაზეთში დაბეჭდილი სტატია, ნამდვილად ხელს უშლის ქვეყნის აწმყოს და მომავალს.

ისე ნუ გამიგებს პატივცემული ავტორი, თითქოს მისი სტატია არის ერის სანთელ-საკმეველი – არამცდაარამც, მაგრამ ხომ შეიძლება ვინმემ წაიკითხოს, ისე, როგორც მე და ცრუ ფაქტები ნამდვილად ჩათვალოს?

მკითხველი იკითხავს – მაინც რას წერს ეს ავტორი ასეთსო?

მოგახსენებთ. **„მე ვფიქრობ, რომ ჩვენმა უცხოელმა კოლეგებმა და პარტნიორებმა არ იციან და არც ადრე იცოდნენ, ვისთან გვაქვს საქმე რუსის სახით.“** – ავტორის ეს მოსაზრება ძირშივე თხრის აშშ-ს მთელ რიგ საიდუმლო თუ არასაიდუმლო სამსახურებსა და კვლევით ცენტრებს, რომლებიც სწავლობდნენ და სწავლობენ მეფის რუსეთს, საბჭოთა კავშირსა და დღევანდელ ქვეყანას. ამ თემაზე ათასობით სტატია, ბროშურა, თხელ თუ სქელტანიანი წიგნებია გამოცემული, სადაც დაწვრილებითაა აღწერილი ის, რაზეც წერილის ავტორი წერს. ასე, რომ დარდი ნუ აქვს ავტორს დასავლეთმა მასზე უკეთესად იცის, რა არის რუსეთი.

**„დადგა დრო, რომ ამიერკავკასიაში ქართველების შემოთესლილი ჭირი ქართველებმავე გავაძევოთ და ამისთვის ვიხდით კიდევაც საფასურს“**. მთლად დაწყობილი წინადადება არ არის, მაგრამ აზრი გამოკვეთილია ანუ მოწოდება – **„ამიერკავკასიაში ქართველების შემოთესლილი ჭირი ქართველებმავე გავაძევოთო.“**

კეთილი, გავაძევოთ, მაგრამ რა ძალა გვაქვს ისეთი, გასაძევებლად? რის გამაძევებლები ვართ – ჩვენივე მიწიდან გაძევებულებს? ეკონომიკურმა **„კეთილდღეობამ“** გაგვაძევა ჩვენ საკუთარი ქვეყნიდან და ბინა სხვა ქვეყნებში დაგვიდო, მათ შორის რუსეთში, სადაც უცხოეთში მცხოვრები ქართველების უდიდესი უმრავლესობა ცხოვრობს.

თავის დროზე ქართველებმა შესაძლოა ხელი შევუწყვეთ ამიერკავკასიაში რუსეთის შემოსვლას, მაგრამ ესეც რომ არ ყოფილიყო, რუსეთი მაინც შემოვიდოდა. ეს დაახლოებით იმას ჰგავს, შევარდნაძეს რომ თავი მოაბეზრეს – საქართველოში ჩამოგიყვანეთო და მანაც გაბრაზებულმა თქვა – არვის ჩამოუყვანივარ, მე თვითონ ჩამოვედიო.

**„ოსმალო-სპარსეთისგან დანაწევრებული საქართველოს ერთი ნაწილის, ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე და რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე დებენ ტრაქტატს, რომლის თანახმად საქართველო და რუსეთი ატარებენ ერთიან საგარეო პოლიტიკას, ხოლო საქართველო ინარჩუნებს თავის შიდა მოწყობას – სამეფოს, სასამართლოს და ა.შ“,** – წერს ავტორი.

ვნახოთ რას ამბობს ტრაქტატი: **„არა აქვნდეს მიწერ-მოწერაი გარემოთა მფლობელთა მიმართ. ხოლო ოდეს-იგი მოვალნ მათ მიერ დესპანნი ანუ წერილნი, ჰყოფს განზრახვასა უპირველესისა მიმართ მესაზღვრისა მთავრისა და მინისტრისა მისისა იმპერატორების დიდებულებისასა უკუნ ქცევისათვის დესპანთასა და შესაფერისათვის სიტყვის-გებისა მფლობელთა მათ მიერ.**

**... обещает его светлость без предварительного соглашения с главным пограничным начальником и министром е.и.в. (ее императорское величество), при нем аккредитуемым, не иметь сношения с окрестными владетелями. А когда от них приедут посланцы или присланы будут письма, оные принимая, советовать с главным пограничным начальником и с министром е.и.в., о возвращении таковых посланцев и о надлежащей их владетелям отповеди“.**

ტრაქტატის მეოთხე არტიკულის მიხედვით, საქართველოს არ აქვს უფლება აწარმოოს დამოუკიდებელი საგარეო ურთიერთკავშირები იმპერატორის წარმომადგენლებთან შეუთანხმებლად. რუსეთის იმპერიის პრეროგატივაა საგარეო პოლიტიკა და არა ქართლ-კახეთის ხელმწიფის. ტრაქტატის მიხედვით, რუსეთს არავითარი საგარეო ფუნქციები არ ჩამოურთმევია. საქართველოსთვის ის ტრაქტატითვე იყო განსაზღვრული.

ავტორი გვახსენებს რუსეთის მიერ, ტრაქტატის საწინააღმდეგოდ, საქართველოს კუთხეების მიერთებას – იმერეთის, გურიის, სამეგრელოს, სვანეთის, აფხაზეთის, აჭარის.

დიახ! ამას ჰქონდა ადგილი და რუსეთის ქმედებას უდავოდ პოზიტიურად ვერ განვიხილავთ, მაგრამ საინტერესოა, როგორ მოიქცეოდა საქართველო, რუსეთის იმპერიის ადგილზე? ცალ-ცალკე დაუწყებდა თავზე ხელის გადასმას, მეფობას მოწყურებულ ქართველობას? რამდენი მეფე ან მთავარი უნდა ყოფილიყო ერთი ციცქნა საქართველოში? რამდენ მათგანთან უნდა დაედო რუსეთის იმპერიას ტრაქტატი?

რუსეთმა აირჩია ის გზა, რასაც გაცილებით მასზე დემოკრატიული ევროპის ქვეყნები ადგნენ. რუსეთის შემოსვლამ ამიერკავკასიაში, კერძოდ საქართველოში, საერთო ჯამში, უდავოდ პოზიტიურად იმოქმედა საქართველოზე. სამხრეთელი მუსლიმანური ქვეყნებისგან და ჩრდილო კავკასიის ხალხების თავდასხმებისგან შეწუხებულმა ქვეყანამ ამოისუნთქა, გამრავლდა, წელში გაიმართა ეკონომიკურად, სოციალურად, კულტურულად.

არც ერთ იმჟამინდელ იმპერიას არ მოუტანია მიერთებული ქვეყნებისა და ხალხებისთვის იმდენი პოზიტიური, რამდენიც რუსეთის იმპერიამ. ეს ტენდენცია საბჭოთა წყობილების დროსაც გაგრძელდა. საქართველო გახდა საბჭოთა კავშირის სანიმუშო რესპუბლიკა.

საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ადგილი არ ჰქონია ისეთ ყოველმხრივ განვითარებას, როგორსაც საბჭოთა პერიოდში. მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანს. მარტო ქვეყნის მოსახლეობის ზრდა რად ღირს. 1977 წელს 5 მილიონი მოსახლე დაფიქსირდა საქართველოში, მაშინ როდესაც 80 წლით ადრე სულ მილიონნახევარი იყო. ცუდი ცხოვრება არ იძლევა დემოგრაფიულ ზრდას.

საბჭოთა კავშირის დაშლის დროს ქვეყნის მოსახლეობა 5,5 მილიონს შეადგენდა. რა მდგომარეობაა დღეს ე.წ. დამოუკიდებლად არსებობის ჟამს ყველამ კარგად ვიცით და ყურადღებას არ გავამახვილებ.

**„დაუძლურებულმა დემოკრატმა“ იმპერატორმა ელცინმა ტახტი უცნობ, უპატრონოთა თავშესაფარში გაზრდილ სუკის პოლკოვნიკ ვლადიმერ პუტინს გადასცა. ამ დროისთვის რუსეთში თითქმის ანარქია სუფევდა, დემოკრატიულობაზე ეს ხალხი ვერა და ვერ აიცრა. როგორია „დემოკრატი“ იმპერატორი და დემოკრატიის მოძულე ხალხი“,** – წერს ავტორი და თავისი **„შედევრით“** შხამს ანთხევს როგორც რუს ხალხზე, ისე მის პრეზიდენტზე.

პუტინის უპატრონოთა თავშესაფარში აღზრდა უდავოდ ჰგავს პუტინის დედის კასპელობას, ერთ დროს რომ ჭორიკანა პირები დაბეჯითებით ამტკიცებდნენ. პუტინის შესახებ არაერთი წიგნია გამოცემული, როგორც რუსი, ისე უცხოელი ავტორების მიერ, სადაც მსგავსი **„თავშესაფარი“** არსად წერია. რა ჰქვია ამას, თუ არა ბოროტი ტყუილი?

**„ივანე მრისხანედან მოყოლებული... არაფერი შეცვლილა. მხოლოდ ომი და დაპყრობაა მათი დამოკიდებულების ამოსავალი წერტილი მეზობლებთან ურთიერთობაში.“** – წერს ავტორი და არაფრად აგდებს რეალობას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთს არც ერთი, უკვე დამოუკიდებელი ქვეყნის (ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის) ტერიტორია არ დაუპყრია, თუ არ ჩავთვლით საქართველოს, რომელსაც თავისი ახსნა აქვს და ეს ახსნა მარტივია, თანაც ევროკავშირის სპეცკომისიის მიერ დამტკიცებული. მას საქართველოს აგრესია ჰქვია – საკუთარ ხალხზე, რუს მშვიდობისმყოფელთა მუხანათური ლიკვიდაცია ქართველი კოლეგების მიერ, ომამდე არაერთი პროვოკაციული აქტის მოწყობა სააკაშვილის ხელისუფლების მიერ რუსეთის გასაშავებლად და ასე შემდეგ.

სადამდე უნდა დამალოს თავი ქვიშაში ზოგიერთმა ავტორის მსგავსმა **„პატრიოტმა“** და სააკაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაული რუსეთს გადააბრალოს? ამ კატეგორიის ხალხთან ფაქტებითაც ჭირს ლაპარაკი, რამეთუ მათთვის აპრიორი რუსეთი აგრესორი და დამნაშავეა. არ იქნებოდა სააკაშვილის მიერ მძინარე ცხინვალზე გახსნილი ცეცხლი და არ იქნებოდა რუსეთის მიერ ომში ჩართვა. არ იქნებოდა სააკაშვილის მიერ მედვედევსარკოზის შემუშავებული ხელშეკრულებიდან უაღრესად მნიშვნელოვანი პუნქტის ამოღება (მოლაპარაკების დაწყება აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის სტატუსის განსასაზღვრავად) და არ იქნებოდა რუსეთის მიერ დამოუკიდებელ ქვეყნებად მათი აღიარება.

*(გაგრძელება მე-8 გვერდზე)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეშჩანისათვის გაწნული სილა

***(რა ბედი ეწია მოსწავლე ახალგაზრდობის სახლს და სერგი დანელიას მემორიალურ კაბინეტს?)***

სამწუხაროდ, თითქმის სამი წლის წინ მარტვილის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას სხვა ენაზე უთარგმნელი და ენით აუწერელი ისეთი უბედურება დაატყდა თავს, რომ ვეღარავის გავაგებინებ. ალექსი გაბისონია – **„ქართული ოცნების“** პალოზე გამობმული ეს გლეხის ბიჭი, მარტვილის მუნიციპალიტეტს საკრებულოს თავმჯდომარედ ისე შემოესაღა, როგორც პატიოსან სიძეს – ჰარამხანის მეძავი. პოლიტიკურ ასპარეზზე ამ ღინღლიანი და მრავალმხრივი ხმარების დეპუტატის პრაქტიკული **„ნაღვაწი“**, შეიძლება თამამად ითქვას, რომ კოჭლ ტურას ბეწვგაცლილ ზურგზე აეკიდება.

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ ხელდასხმულმა, მარტვილის საზოგადოებისთვის მანამდე სრულიად უცნობმა ნაკაცარმა და ქვებუდანმა გაბისონიამ განვლილი სამი წლის მანძილზე თავი მხოლოდ იმით **„გამოიჩინა“**, რომ იმთავითვე საზოგადოების უსათნოესი და უკეთილშობილესი ფენის – მასწავლებლების უკუღმართ მადევრობას მიჰყო ხელი...

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნიათგამოცლილმა თავმჯდომარემ, სახეზე საფლავის მოაჯირისფერი რომ გადაჰკრავს, ამ უმეცარმა და თვითნაკეთმა **„პოლიტიკოსმა“**, ამ ხნის მანძილზე საზოგადოებას თავი მხოლოდ იმით დაამახსოვრა, რომ 2015 წელს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა არასამეწარმეო არაკომერციულ იურიდიულ პირს – მარტვილის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლს. რეორგანიზაციის საბაბით სრულიად უკანონოდ და უსინდისოდ გააუქმა თითქმის 75-წლიანი ისტორიის მქონე, საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა.

დიახ, **„ქართული ოცნების“** დობილოში თავშეფარებულმა ამ ჩინჩიბურის ბიჭმა თავისი ჩრდილოვანი აზროვნებით უპატიებელი და ზნეობრივი დანაშაული ჩაიდინა – არსებობის უფლება აუკრძალა სწორედ იმ დაწესებულებას, სადაც ჩვენ მიერ 2013 წელს საფუძველი ჩაეყარა დიდი ქართველი მოაზროვნის, პროფესორ სერგი დანელიას ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით დაწესებული საერთაშორისო კონფერენციების ჩატარების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან და საჭირო პრაქტიკას. ამასთანავე, ჩვენივე ინიციატივით მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში გაიხსნა პროფ. სერგი დანელიას მემორიალური კაბინეტი, მოეწყო მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი გამოფენა.

მარტვილის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ბიუჯეტით გათვალისწინებული გვქონდა მოსწავლეთა ყოველწლიური რაიონული სასწავლო-შემოქმედებითი, პროფესორ-მასწავლებელთა რესპუბლიკური და საერთაშორისო კონფერენციების ჩატარება და კონფერენციის მასალების ცალკე კრებულებად გამოცემა, ასევე შეხვედრები ცნობილ მწერლებთან, პოეტებთან, ხელოვნების მოღვაწეებთან...

დიახ, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ადმინისტრაცია და მცირერიცხოვანი პედკოლექტივი, მწირი ფინანსური შესაძლებლობის ფარგლებში, დღენიადაგ განათლების, კულტურის, მწერლობისა და მეცნიერების პოპულარიზაციაზე ზრუნავდა. ალექსი გაბისონია კი, ეს ასფურცელა რაინდების ორდენის კავალერი, ბულდოზერივით უსინდისოდ მისდგომია სახელმწიფო ბიუჯეტს, სამი წელიწადია უსინდისოდ ხრავს და აღნიოშ-ანიავებს ჩვენს ბიუჯეტს, იწერს პრემიებსა თუ სახელფასო დანამატებს; სახელმწიფოს ხარჯზე, სახელმწიფო მანქანით და საწვავით, საქეიფოდ აღმა-დაღმა დაეხეტება ნათესავ-მეგობართა, სახელმწიფო მოხელეთა დაბადების დღეებსა თუ სხვადასხვა გასართობ ღონისძიებებზე. ამ, ათასგვარ სიბინძურეში ყელამდე ჩაფლულ, თუმცა მთავარეპისკოპოსის ანაფორის კალთას მორწმუნე ადამიანის სტატუსით ურცხვად თავშეფარებულ, ფარისეველ და მატრაბაზ **„პოლიტიკოსს“** თანამდებობა მხოლოდ იმისთვის სჭირდება, რომ საკრებულოს თავმჯდომარეობის პერიოდში ჩეჩქად ნაშოვნი თანხა მწერლობის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის პოპულარიზაციისთვის კი არა, საუკუნეს მიტანებული ბებიის ქელეხისთვის ხარჯოს (ღმერთმა აცხონოს მისი ბებია!)...

სამწუხაროდ, მარტვილის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი მიმდინარე წელს დაარსებიდან 75-ე წლისთავს **„გარდაცვლილი“** და დამარხული შეეგება. დღეს არც ეს დაწესებულებაა, არც პროფ. სერგი დანელიას მემორიალური კაბინეტი არსებობს და არც დაწესებულების ვესტიბიულში ჩვენ მიერ მოწყობილი ისტორიულ-ეთნოლოგიური მუზეუმი!.. ასეულობით სამუზეუმო მასალა – არქეოლოგიური ძეგლები, ეთნოლოგიური ნივთები თუ ხელნაწერები, კიბის ქვეშ, ფქვილის ტომრებში უსისტემოდ ყრია და კომპლექსური სასპორტო სკოლის ერთგული დარაჯი რომ არა, ვინ იცის, აქამდე ქალაქის რომელ ნაგავსაყრელზე იქნებოდა გადაყრილი!.. სანახევროდ დაილეწა და განადგურდა ჩვენ მიერ რამდენიმე წლის წინ, რუდუნებით, საგამოფენოდ შეძენილი ვიტრინებიც... სამწუხაროდ, პროფ. სერგი დანელიას ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციების კრებულები 2015-2016 წლებში კონფერენციების მონაწილეთა პირადი ხარჯებით გამოიცა... ადგილობრივი ხელისუფლება, არაერთგზის წერილობითი თხოვნის მიუხედავად, უარს აცხადებს სამეცნიერო შეხვედრების დაფინანსებაზე, ბიუჯეტში სათანადო თანხების გაუთვალისწინებლობისა თუ არარსებობის **„მომიზეზებით“**... საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსულ რამდენიმე ათეულ სტუმარს კი, არც მეტი, არც ნაკლები – ჩემი პენსიონერი, 80 წელს მიტანებული მშობლები მასპინძლობენ!..

აი, ბედის ირონია!..

და ყოველივე ზემოთ თქმულის შემდეგ, აქვს კი აზრი ალექსი გაბისონიას მსგავსი მეშჩანისთვის სახეზე სილის მწარედ გაწვნას, ძვირფასო მკითხველო?!

მე თუ მკითხავთ – აქვს... გაიგონ საქართველოსა და საზღვარგარეთის სხვადასხვა ქალაქებიდან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოსულმა ჩვენმა ძვირფასმა სტუმრებმაც, გაიგოს შინაურმაც და გარეულმაც – როგორ რყვნის და ათახსირებს პოლიტიკა ადამიანებს!..

**„ხანა, რომელშიდაც ვცხოვრობთ, ჯერ კიდევ გამოურკვეველი ხანაა. არ ვიცით, ხვალ რა იქნება“**, – პროფესორ სერგი დანელიას მიერ თითქმის საუკუნის წინ, ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ეს სიტყვები დღესაც აქტუალურად მოგვეჩვენება, როცა გავიაზრებთ იმ სამწუხარო გარემოებას, რომ ახლაც, ინტელიგენციის ბედს ინტელიგენციის საზიანოდ წყვეტს ალექსი გაბისონიას და მისი მსგავსი, ახალი დროის ბოლშევიკები!..

ამ მცირე ზომის წერილის წინამდებარე სამეცნიერო კონფერენციის მასალებში დანართის სახით წარმოდგენა იქნებ ვინმეს უადგილოდ და მიუღებლად მოეჩვენოს, მაგრამ მაინც ვაქვეყნებთ, რადგან ჩვენი ასეთი საქციელი მხოლოდ გაბისონიას მსგავსი **„საჯარო მოხელეების“** საჯაროდ მხილებას ისახავს მიზნად.

დარჩეს, ჩემო ძვირფასებო, ეს მცირე ზომის რეპლიკა, ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიას, ამ სახით... დარჩეს მარტვილის მუნიციპალიტეტის უახლეს ისტორიას ალექსი გაბისონიას, როგორც მაოხრებელი გზირის სახელი!..

**იგორ კეკელია,**
**პროფ. სერგი დანელიას საზოგადოების თავმჯდომარე, ისტორიის დოქტორი,**
**გადმობეჭდილია წიგნიდან – „სერგი დანელიას ხსოვნის დღეები“, ქუთ., 2016**

# გიორგი გიგაური: *25 წლის წინათ, თბილისის გულში დაიწყო სისხლიანი პუტჩი და არა – სამოქალაქო, ძმათამკვლელი ომი!*

**„22 დეკემბერს, ზუსტად 25 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც საქართველოს დედაქალაქის გულში, რუსთაველის გამზირზე, ავაზაკებმა სისხლიანი სამხედრო გადატრიალება დაიწყეს და ხალხის მიერ არჩეულ ეროვნულ ხელისუფლებას ქვემეხებიდან ჭურვები დაუშინეს! და რაოდენ ნიშანდობლივია, რომ არცერთ (!!!) ჩვენს ე.წ. ბნელიტელს ეს საბედისწერო თარიღი არც კი გახსენებია!..”** – ამის შესახებ სოციალურ ქსელში ჟურნალისტი გიორგი გიგაური წერს.

**„დიახ, მე საგანგებოდ არ ვწერ, რომ 22 დეკემბერს საქართველოში „სამოქალაქო ომი” დაიწყო! არა იმიტომ, რომ რაღაც აკვიატება მაქვს, არამედ იმიტომ, რომ შევარდნაძის ტელევიზიისეული ურცხვი პროპაგანდისტული ტყუილის გამეორება არ მინდა!**

**დიახ, 1991 წლის 22 დეკემბერს, გამთენიისას, ზუსტად 25 წლის წინათ, თბილისის გულში დაიწყო სისხლიანი პუტჩი და არა – „სამოქალაქო, ძმათამკვლელი ომი”!**

დიახ, 1991 წლის 22 დეკემბერს, გამთენიისას, ზუსტად 25 წლის წინათ, რუსთაველის გამზირზე ერთმა მუჭა ავანტიურისტებმა, მკვლელებმა და ქვაბ-ავაზაკებმა (და არა – **„ერის დემოკრატიულმა ნაწილმა”**!) დაიწყეს ქვეყნის გარეთ დაწერილი მუხანათური გეგმის განხორციელება, რომლის მიზანი გახლდათ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობა და ედუარდ შევარდნაძისთვის ადგილის მოსუფთავება!

დიახ, ეს იყო ამერიკული გეგმა, რომელშიც დაშლის პირას მყოფმა საბჭოთა კავშირმაც მიიღო მონაწილეობა! უფრო თუ დავაზუსტებთ, ამერიკულ **„ცერეუში”** დაწერილი ამ მზაკვრული გეგმის განხორციელებაში რუსული მხრიდან მონაწილეობდა უკვე **„ამერიკის ხელის ბიჭად”** ქცეული რუსეთის პრეზიდენტი – ბორის ელცინი და მისი გარემოცვა!

აკი, წლების შემდეგ, ტელეკამერების წინ, ელცინის ხელისუფლების სახელმწიფო მდივანმა გენადი ბურბულისმა აღიარა კიდეც – აი, აქ, ჩემს კაბინეტში დაიწერა გამსახურდიას დამხობის გეგმაო! ამხ. ბურბულისმა, ცოტა კი მოიტყუა, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ისიც და მისი ბოსიც – ელცინი, ამერიკელი პატრონების ყურმოჭრილი მონები იყვნენ, სიმართლე მაინც თვალსაჩინოა – ზვიად გამსახურდია ამერიკამ და მამა-ბუშის ხელისუფლებამ დაამხო!

და ჩვენთვის, ქართველებისთვის, დიდი ვერაფერი შეღავათია, რომ 1991 წლის 22 დეკემბრიდან 13 წლის შემდეგ, სადღაც 2005 წლის 10 მაისს, თბილისში ჩამობრძანებულმა შვილმა-ბუშმა, თავისუფლების მოედანზე სიტყვით გამოსვლისას, პატივი მიაგო ზვიად გამსახურდიასა და საქართველოს თავისუფლებისთვის თავშეწირულ გმირებს!

თუმცა, ეს მაინც ლირიკაა!

ცხოვრების მკაცრი პროზა კი ის გახლავთ, რომ 1991 წლის 22 დეკემბრიდან განვლილი 25 წლის შემდეგაც, საქართველოში მაინც – 22 დეკემბერია!

მადლობა ღმერთს, 25 წლის წინანდელივით, საქართველოს დედაქალაქის გულში **„ჰაუბიცებს”** აღარ ისვრიან, ხალხს ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების ერთგულებისთვის არ ხვრეტენ და ცოცხლად ხორცს არ ათლიან, მაგრამ...

მაგრამ, უბედურებაც ის არის, რომ 1991 წლის 22 დეკემბრის პირველი საბედისწერო გასროლის შემდეგ დაწყებული ეროვნულობისა და ქართველობის, პატრიოტიზმისა და სახელმწიფოებრიობის რბევა და მიზანმიმართული განადგურება დღესაც აქტიურად და აღვირახსნილად გრძელდება!

დიახ, 25 წლის შემდეგაც – 22 დეკემბერია, რადგან დღემდე მიზანმიმართულად კლავენ ქართულ განათლებას, ქართულ სკოლას და ქართულ უნივერსიტეტებს!

დიახ, 25 წლის შემდეგაც – 22 დეკემბერია, რადგან დღემდე მიზანმიმართულად კლავენ და ახრჩობენ ქართულ ტრადიციებს, ათასწლოვან მორალსა და ზნეობას!

დიახ, 25 წლის შემდეგაც – 22 დეკემბერია, რადგან დღემდე მიზანმიმართულად კლავენ ქართულ სოფელს და ქართველ გლეხს – როგორც ქართული სასიცოცხლო სივრცის საფუძველს და **„ცხოვრების მარილს”!**

დიახ, 25 წლის შემდეგაც – 22 დეკემბერია, რადგან არც საქართველოს მთავრობაში, არც საქართველოს პარლამენტში, სანთლითაც ვერ მოიძიებთ კაცს (ქალს), რომელზეც შეიძლება ითქვას, აი, ეს არის უმწიკვლო, უანგარო ეროვნული სულით გაცისკროვნებული პატრიოტი ქართველი, რომელიც ილიასა და ზვიადის ქართული გზის ღალატს სიკვდილსაც ამჯობინებსო!

და ბოლოს, 25 წლის შემდეგაც – 22 დეკემბერია, რადგან ქართველმა ერმა დღემდე არ იცის, ვინ, რა ვითარებაში და როგორ გამოასალმა წუთისოფელს საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია!

**„ოცნების ხელისუფლებამ”** და პროკურატურამ (მოდით, პირდაპირ ვთქვათ, **„ასავალ-დასავალის”** უდიდესი ძალისხმევითა და მეცადინეობით!) მართალია, ზვიად გამსახურდიას საქმეში თვითმკვლელობის ვერსია კი შეცვალა მკვლელობის მუხლით, მაგრამ ამის შემდეგ საქმე წინ, ერთი ნაბიჯითაც არ დაძრულა!

კი, ბატონო, ჩვენ აქამდეც ვიცოდით და მრავალთვიანი ჟურნალისტური გამოძიების შედეგადაც დავამტკიცეთ, რომ ზვიად გამსახურდია **მ ო კ ლ უ ლ ი ა**, მაგრამ თუ შევთანხმდით იმაზე, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტი **მ ო კ ლ ე ს**, სახელმწიფომ არ უნდა დაადგინოს, ვინ და რატომ მოკლა პირველი პრეზიდენტი?!

თუმცა, ეს რიტორიკული კითხვაა!

აბა, როგორ გამოიძიებენ ზვიად გამსახურდიას მკვლელობას ისინი, ვინც ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შემკვეთების ერთი მხრივ, მარიონეტები და მეორე მხრივ – პოლიტიკური მემკვიდრეები გახლავან!

დიახ, ამერიკის მარიონეტები და ედუარდ შევარდნაძის მემკვიდრეები, აბა, როგორ გამოიძიებენ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეს?!

საკუთარ უცხოელ პატრონებსა და მამა-მარჩენალს ხომ არ დაადებენ ხელს?!

ჰოდა, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვგონებ, სტატიის ბოლოს, აბა, რომელი ჭკუათამყოფელი გაიკვირვებს, რომ 25 წლის შემდეგაც – 22 დეკემბერია!..

თუმცა, ჩვენს ქუჩაზეც აუცილებლად (!) მოვა გაზაფხული!..” – წერს გიგაური.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლავრენტი ბერია – საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი



*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

**ცრუდიმიტრი?** მან მოსკოვში შეაბიჯა აღტაცებული ხალხის გნიასის თანხლებით, რომელთა შორის აშკარად გამოირჩეოდნენ ეკლესიისა და არისტოკრატიის წარმომადგენლები. მან ევროპელ მეფეთა შორის პირველმა მოუტანა თავისუფლება თავის სახელმწიფოს, როცა გააუქმა ხალხის გადაადგილებასა და საქონლის გადატანაზე არსებული შეზღუდვები. გლეხობა ზეიმობდა – დიმიტრის ბრძანებულების თანახმად თავადის სიკვდილის შემდგომ მისი მორჩილი გლეხი თავისუფალი ხდებოდა (ალექსანდრეს რეფორმამდე რჩებოდა 250 წელიწადი), ასევე თავისუფლდებოდნენ მისი შვილები, თუნდაც გლეხს ხელმეორედ გაეყიდა საკუთარი თავისუფლება და კაბალაში აღმოჩენილიყო. სწორედ დიმიტრიმ დაიწყო პირველმა ყირიმის დაპყრობის გეგმის შემუშავება, უარი განუცხადა ტერიტორიულ პრეტენზიებზე პოლონელებს, გარდა ამისა, მოხერხებულად აიცილა თავიდან ვატიკანის მიერ რუსეთში კათოლიციზმის შემოცურების საფრთხე.

**პავლე პირველი. "ადამიანი,** – წერდა პავლე, – **სახელმწიფოს უპირველესი საუნჯეა", "სახელმწიფოს დანაზოგი ადამიანის დაზოგვაა" ("მსჯელობა სახელმწიფოს შესახებ").** მან შეამცირა და შეკვეცა გლეხის ღალა (მის სამფლობელოში გლეხს კვირაში ორი დღე ღალად უნდა ემუშავა ბატონის სავარგულებზე), მისცა გლეხებს უფლება, რომ ღალისაგან თავისუფალ დროს შედგომოდნენ ხელოსნობას, აძლევდა გლეხებს სესხს, სოფლებში გაიყვანა ახალი გზები, გლეხებისათვის გახსნა ორი უფასო სამედიცინო ჰოსპიტალი, გლეხის შვილებისათვის ააშენა რამდენიმე უფასო სკოლა და სასწავლებელი (მათ შორის ინვალიდი ბავშვებისათვის), ასევე ააშენა რამდენიმე ახალი ეკლესია. არმიაში გატარებული რეფორმები გვარდიისა და გენერალიტეტის უკმაყოფილებას იწვევდნენ. გვარდიელებისაგან ითხოვდნენ სამხედრო ვალდებულების ჯეროვნად შესრულებას. ყველა ოფიცერი ვალდებული იყო დროულად გამოცხადებულიყო მიწერის ადგილზე, ხოლო ვინც აგვიანებდა, მათ სამსახურიდან ითხოვდნენ. მეთაურებს შეზღუდული ჰქონდათ ჯარისკაცების დასჯისა და სამეურნეო საქმიანობებში მათი გამოყენების უფლება.

**პავლე პირველის სამხედრო რეფორმებმა ჩამოაყალიბეს ის არმია, რომელმაც გაანადგურა ნაპოლეონი.** ნამდვილმა სამხედროებმა დროულად აუღეს ალღო იმ ამბავს, რომ პავლე ფიცხია, მაგრამ მალე მშვიდდება ხოლმე, გააჩნია იუმორის გრძნობა. არსებობს გადმოცემა, თითქოს როგორ გააგზავნა პავლემ მთელი პოლკი ვახტაღლუმიდან ციმბირში. სინამდვილეში პავლემ უკმაყოფილება გამოთქვა პოლკის მომზადების თაობაზე, რის გამოც ხმამაღლა გამოუცხადა საყვედური მეთაურს მთელი პოლკის წინაშე, შემდეგი სიტყვებით: პოლკი არაფრად ვარგა და ციმბირში უნდა გაიგზავნოს. პოლკის მეთაური მწყობრს მიუბრუნდა და ბრძანება გასცა: **"პოლკო! ციმბირისაკენ ნაბიჯით იარ!"** პავლე შეშფოთდა. ჯარისკაცთა კოლონამ კი მორჩილად აიღო გეზი აღმოსავლეთისაკენ. რა თქმა უნდა, პოლკს გამოედევნენ და უკან მოატრიალეს. პოლკის მეთაურმა იცოდა, რომ ამგვარი დემარში პავლეს აუცილებლად მოეწონებოდა.

პავლესადმი უკმაყოფილებას გამოთქვამდა უმაღლესი თავადაზნაურობა, რომლებიც ეკატერინე მეორის მეფობის დროს სამეფო კარს წარმოადგენდნენ, მრავალ სიკეთეზე მიუწვდებოდათ ხელი და ხაზინასაც კი ეპოტინებოდნენ. პავლემ კი მათ ეს პრივილეგიები ჩამოართვა.

**ნიკოლოზ პირველი.** სწორედ მას უნდა უმადლოდეს რუსეთი, რომ შედარებით ლოიალური გახადა სამხედრო სამსახური და მიაბა იგი დასავლეთს. 1826 წლის მიწურულს იმპერატორთან დაახლოებული ჩინოვნიკებისაგან ჩამოყალიბდა საიდუმლო კომიტეტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სპერანსკი. 1833 წლისათვის მომზადდა კანონთა 15 კრებული, რომელმაც ბოლო მოუღო ამ საქმეში არსებულ წინააღმდეგობებს. ასე დაედო სათავე რუსეთში სასამართლო რეფორმას.

1837 წელს შეიქმნა სახელმწიფო ქონების სამინისტრო, რომელმაც დაარეგულირა მიწის საკითხი და გლეხის როლი ამ საქმეში. რეფორმამ მკვეთრად შეცვალა ცხოვრება, გლეხების სასარგებლოდ.

ასევე, XIX საუკუნის ორმოციან წლებში ჩატარდა ფულის რეფორმა. მან შეზღუდა სახელმწიფო ხარჯები, გაზარდა გადასახადები რუსეთში შემოტანილ საქონელზე, რუსეთის ძირითად ფულად ერთეულად იქცა ვერცხლის რუბლიც, რამაც ასევე გააადვილა იმპერიაში ფულად-სასაქონლო მიმოქცევა.

მაგრამ, აი, რა არის საინტერესო! სწორედაც რომ ივანე მრისხანემ ჩაუყარა საფუძველი საინფორმაციო დაპირისპირებებს, რამაც სათავე დაუდო რუსეთის დიდ გამარჯვებებს.

ჯერ კიდევ ოპრიჩნინის შექმნამდე, 1654 წლის მიწურულს, მოსკოვი აშკარად შეშფოთდა. მეფე უამრავი მარხილით გაემგზავრა თავის ამალასთან ერთად ალექსანდრეს სლობოდაში. ერთი თვის შემდეგ იგი მოსკოვში აგზავნის ორ სიგელს. პირველში იგი გულისწყრომას გამოთქვამდა ბოიარებისა და სხვა მოხელეების მიმართ, რომელიც არ წყალობდნენ სახელმწიფოს და ხელმწიფეს. მეორე სიგელით კი იგი მიმართავდა უბრალო ხალხსა და ვაჭრებს, რომ მეფის წყრომა მათ არ ეხება. ეს სიგელი წაიკითხეს საჯაროდ, მოედნებსა და ბაზრებში. ამ ორმა კომუნიკაციურმა ინფორმაციამ დიდი ეფექტი იქონია. დედაქალაქში სიცოცხლე ჩაკვდა, ფარდულები დაიხურა, დუქნები დაცარიელდნენ, და ამან თავისი შედეგი გამოიღო, წერს ბ. კლიუჩევსკი: **"ქალაქი მალე აღშფოთდა და მიტროპოლიტს და ბოიარებს მიმართა თხოვნით, რომ წასულიყვნენ და მუხლებში ჩავარდნოდნენ ხელმწიფეს, რათა მას არ დაეტოვებინა სახელმწიფო. ამასთან, უბრალო მოქალაქეები გაჰყვიროდნენ, რომ ხელმწიფის დედაქალაქში დასაბრუნებლად და ხალხის დასაცავად მგლებისა და მტაცებელი ადამიანებისაგან, თავად გაანადგურებენ მოღალატეებს"** (ბ.ო. კლუჩევსკი, რუსული ისტორიის კურსი, II ნაწილი).

440 წლის წინათ გაიმარჯვა რუსულმა სულმა! რუსეთის ჯარებმა გაანადგურეს რიცხვმრავალი ყირიმ-თურქეთის ჯარები. 120.000-იანი თურქული არმიიდან ყირიმში მხოლოდ სამი ათასი დაბრუნდა. მოსკოვიდან 40 ვერსით დაშორებულ ბრძოლის ველზე გადამწყვეტი როლი ითამაშეს ივანე მრისხანეს გვარდიელებმა – ოპრიჩნინის ხუთიათასკაციანმა რაზმმა თავადის დიმიტრი ივანეს ძე ხვოროსტინინის მეთაურობით. სწორედ ოპრიჩნიკებმა გაანადგურეს იანიჩართა 7.000-კაციანი ჯარი და ოსმანელ მურზათა ქვედანაყოფი, რის შემდეგაც შიშისაგან ზარნახდილმა მტერმა გაქცევით უშველა თავს.

ჩვენ შემთხვევით არ შემოგვითავაზებია ეს მცირე ექსკურსი იმ ეპოქაში, რომელიც ძალზე შორსაა **ლავრენტი პავლეს ძე ბერიას** ეპოქისაგან. მკითხველი წიგნის დასაწყისში მოყვანილი მაგალითებითაც დარწმუნდება, რომ გმირების სახელთა ლაფში ამოთხვრის ტენდენცია შორეული შუა საუკუნეებიდან იღებს სათავეს. პოლიტიკური, ზნეობრივი ანგარიშსწორება უკვე სამოც წელზე მეტი ხანია გრძელდება; ანგარიშსწორებას ბოლო არ უჩანს. რატომ? იმიტომ, რომ ბერიას ნათელი ხსოვნა ისევე საშიშია სამშობლოს საიდუმლო მტრებისათვის, როგორც რუსეთის ისტორიის შემქმნელთა ჭეშმარიტება, რომელიც საუკუნეებითაა დისტანცირებული თანამედროვე თაობისაგან. **ჭეშმარიტება რუსული ცივილიზაციის შემქმნელთა და დამანგრეველთა შესახებ.**

ლავრენტი პავლეს ძის სახიდან ჭეშმარიტი ნაკვთების წაშლა და **"მეხუთე კოლონის"** მიერ ამ ადამიანის პორტრეტის მუდმივად რეტუშირება – **"აფეთქებაა"** აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ცივი ომის პროცესებისა, რომელში გამარჯვება დაასრულებს მრავალსაუკუნოვან ცივილიზაციათა კონფლიქტს. ასეთი ომები არ მთავრდება მოლაპარაკებებითა და ზავით. მხარეები ელოდებიან ტრიუმფატორს. **ამიტომაც, ბერიაზე საუბარი დროითაა განპირობებული.**

მკითხველი საზოგადოების დიდი ნაწილი დღემდე დარწმუნებულია სკკპ XX ყრილობის მასალების სიმართლეში, მათ კი, ვინც არადანიშნულებით იყენებდა სასკოლო სახელმძღვანელოებს, სავსებით აძლევს ხელს და ინტერესსაც უღვივებს **"დესტალინიზატორების"** მიერ ტირაჟირებული პროპაგანდისტული ხარახურა.

თვით უკიდურესად ობიექტიურ (თუკი ამგვარი რამ დარჩებოდა მას შემდეგ რაც ხრუშჩოვმა და მისმა მომდევნო ხელმძღვანელებმა საკუთარი ხალხი შეუსიეს არქივებს) დოკუმენტირებულ ნამუშევრებშიც კი, რომელიც შესრულდა სსრკ-ვკპბ-სკკპ-ნკვდ-კგბ-ს კედლებში, შერჩენილია რაიმე თავსატეხი ლ.პ. ბერიას თაობაზე, უკვე ჩვენ გვიჩენს თავსატეხს: რატომ მაინცდამაინც ბერია გახდა არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ სამოქალაქო გაშავებისა და ოსტრაკიზმის ობიექტი?

სხვათა შორის, აქაც უპრიანია კომენტარი, რომელიც დაგვაბრუნებს **"ისტორიულ ჭეშმარიტებასთან და, ამავდროულად, ეჭვის ქვეშ დააყენებს ზოგიერთი დოკუმენტის ჭეშმარიტებას.**

გაზეთში "გლასნოსტი" (№6, 2010 წელი) გამოქვეყნდა წერილი სათაურით: **"გამოვლინდნენ საბჭოთა ისტორიის გამყალბებლები"**. გაზეთი იუწყებოდა, რომ 90-იანი წლების დასაწყისში მოსკოვში ჩამოყალიბდა მაღალი რანგის სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც შეგნებულად აყალბებდა საბჭოთა პერიოდის მნიშვნელოვან საარქივო დოკუმენტებს.

რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, სსრკ გენპროკურატურის ყოფილ მაღალჩინოსანს ვ.ი. ილიუხინს კონფიდენციალურად მიმართა ერთ-ერთმა გამყალბებელმა და აღიარა, რომ მისი მონაწილეობით გაყალბდა **"ბერიას წერილები"** №794/B ("კატინის საქმე"). ჯგუფი მუშაობდა ელცინის უშიშროების სამსახურში და განთავსებული იყო დასახლება ნაგორნოეში მდებარე ცეკას მუშაკების აგარაკებზე.

მაგალითად, მის მიერ მომზადებული იქნა ბერიას მიერ სკკპ ცეკას პოლიტბიუროში თითქოსდა 1940 წლის მარტში გადაგზავნილი წერილი, რომელშიც იგი მოითხოვდა ოცი ათასზე მეტი პოლონელი სამხედრო ტყვის დახვრეტას. გარდა ამისა, ამ ადამიანმა მოახდინა იმის დემონსტრირება, თუ როგორ აყალბებდა ბერიასა და სტალინის ხელმოწერებს.

...ამის შედეგად არქივებში **"შეგდებული"** იქნა ათასობით ყალბი ისტორიული დოკუმენტი, ხოლო ამდენივე ნამდვილი საბუთი გაყალბდა მათში ხელოვნურად ცვლილებების შეტანისა და ხელმოწერათა ფალსიფიცირების შედეგად. განმცხადებელმა წარმოადგინა 40-იანი წლების ბლანკები, გაყალბებული ბეჭდები და ფაქსიმილეები. მანვე განაცხადა, რომ მასში ირონიას იწვევს ზოგიერთი ისტორიკოსის აღტაცება იმის თაობაზე, რომ არქივში მიაგნო სტალინისა და ბერიას მხეცობის დამადასტურებელ დოკუმენტებს, რადგან იცის, რომ ისინი ტოტალურად ფალსიფიცირებულია მისი ჯგუფის **"ხელმარჯვე ოსტატების"** მიერ.

შეიძლება ვინმეს ნაკლებსარწმუნოდ მოეჩვენოს ამგვარი აღიარებების გამოქვეყნება გაზეთ **"პრავდაში"** და ვიქტორ ილიუხინის კომენტარები.

სიტყვა მივცეთ სხვა პატივცემულ ექსპერტს.

რუსეთის ფედერაციის ყოფილი სამხედრო პროკურორი ანდრეი სუხომლინოვი, რომელმაც კვალიფიციური ანალიზი მიუძღვნა 1953 წელს გამართულ ე.წ. **"ბერიას პროცესს"**, რომელსაც იმ პროცესზე თავმჯდომარედ გამწესებულმა მარშალმა კონევმა **"კომედია"** უწოდა, წერდა:

"ბერიას პიროვნების თაობაზე გამოთქმულმა ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებმა და, საერთოდ, მისი სახელის გარშემო დატრიალებულმა ორომტრიალმა მაიძულა მე, ყოფილი ...პროკურორი, რომ ხელში ამეღო კალამი და მომეთხრო ადამიანებისათვის სრული სიმართლე".

დიდი მადლობა პროკურორს ამგვარი გაბედულებისათვის და ბერიას სასამართლოსთან დაკავშირებულ დოკუმენტთა ასლების (ამ საბუთთა ორიგინალები ხელმისაწვდომი არ გახლდათ ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლებისთვისაც კი, რაც, ბუნებრივია, წინა პლანზე წამოსწევდა შეკითხვას: არსებობენ კი, საერთოდ, ორიგინალები?).

მაგრამ, თუ ნამუსზე ხელს ავიღებთ და **"ანტიბერიასეული კამპანიის"** დოკუმენტების ჭეშმარიტებას ვირწმუნებთ, წამსვე შეამჩნევთ, რომ მათ შემთხზველთა მიერ მოყვანილი დოკუმენტები და ფაქტები სრულიადაც არ შეესაბამებიან ერთმანეთს!

ბერიაზე მიწერილი უმძიმესი დანაშაული – **"ხალხის მტრების მისრესვა შრომა-გასწორებით კოლონიებში"** მართალიც რომ იყოს, იგი თავისი მასშტაბით ახლოსაც ვერ მივა სვერდლოვის (მის მიერ კაზაკების გამოხშირვისათვის განადგურების კამპანია რად ღირს), იაგოდას, ეჟოვის, ხრუშჩოვის, ეიჰეს მიერ გაცემულ განკარგულებებთან, რასაც ათიათასობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე ეწირებოდა.

რატომ მაინცდამაინც **"ჯალათ"** ბერიას მიეწერებოდა მილიონობით მსხვერპლი, მაშინ, როცა მასობრივი რეპრესიების დროს ლავრენტი ბერია ქვეყნის პოლიტიკური ცენტრიდან ძალიან შორს – ამიერკავკასიაში იმყოფებოდა, სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად დანიშვნის შედეგ კი მან საერთოდ აღკვეთა **"ელიტის"** მიერ გაჩაღებული ტერორი.

რატომაა აღიარებული **"ხალხის მტრად"** ის ბერია, რომელმაც საბჭოთა მეცნიერული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები უეჭველი დაღუპვისაგან დაიხსნა, ის ადამიანები კი დარჩნენ ჩრდილში, რომლებმაც მავთულხლართებს მიღმა გაისტუმრეს ტუპოლევები, კოროლიოვები, ვანნიკოვები?

მეორეს მხრივ, რატომ მაინცადამაინც ბერიას ავალებენ დანგრევის პირად მისული სსრკ რკინიგზის გადარჩენას და ამ საქმის ხელმძღვანელობიდან ითხოვენ ლაზარ კაგანოვიჩს?

რატომაა, რომ ნავთობდაზვერვისა და ნავთობმოპოვების საქმეს ანდობენ სწორედაც რომ ბერიას და ამ საქმეს ჩამოაშორებენ ვოზნესენსკის?

რატომ ცდილობენ დავიწყებას მისცენ ლავრენტი ბერიას როლი კავკასიის დაცვისა და განთავისუფლების საქმეში, რომელიც ბრძოლების დასაწყისშივე სამარცხვინოდ ჩააგდეს სახელოვანმა სარდალმა ბუდიონმა და უმაღლესი მთავარსარდლობის წარმომადგენელმა კაგანოვიჩმა? უინსტონ ჩერჩილი და მსოფლიოში ცნობილი სხვა სამხედრო დარგის სპეციალისტები ხომ სწორედ კავკასიის განთავისუფლებას მიიჩნევდნენ მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობაში გარდატეხის შემტან მოვლენად?

როგორ მოხდა, რომ დიდი სამამულო იმის მიმდინარეობის წლებში სწორედ ლავრენტი ბერია კურირებდა საბჭოთა კავშირის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს? სად იყვნენ მაშინ საბჭოთა ეკონომიკის **"კაპიტნები"**?

რატომ სთხოვდა პირადად სტალინს ატომურ პროექტზე მომუშავე დიდი საბჭოთა მეცნიერი კურჩატოვი, რომ პროექტის ხელმძღვანელად მოლოტოვის ნაცვლად დაენიშნა ლავრენტი ბერია?

**თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი,**

**(გაგრძელება იქნება)**

# ვაი, რა მუხა წაიქცა

უსაზღვროა ჩვენი მწუხარება და ტკივილი.

პირდაპირ ტრამვირებული ვართ... უპირველესად ოჯახის წევრები. სამძიმარს ვუცხადებთ ქ-ნ თამილა მებონია-ძაძამიას, შვილებს, შვილიშვილებს. ვიზიარებთ მათ დიდ მწუხარებას და ვუზიარებთ ერთმანეთს ჩვენს ტკივილს.

მამანტი ძაძამია, დიახ, ეს შუბლმაღალი, გონებანათელი, ფანტასტიური ნიჭის და ჭკუის ადამიანი, კოლოსალური შრომის მოყვარე – და ეს დითირამბები არ არის – პოსტულატებია – საკვირველი პიროვნება, რომელსაც:

***მითინიში „ვალ ვეგეძუ,***
***(ხვალე) ბჟა დო თუთაში გეძუ ვალი,***
***ენა ირკოც პუხუს გეძუ,***
***არძას აფუ ოგაფალი“* – (ისაკი)**

მაგრამ, ვთქვათ ცრემლნარევი იუმორით..... პოეტს აქ ცოტა შეეშალა: **„ბჟა“** დო **„თუთას“**, მის ცას და **„მურიცხებს“**, მთებს და ზღვას, მამანტის სათუთ **„შურობუ-ოდაბადეს“**, უწინარეს, მათ სალოცავ **„ნანაში ნინას“** – მამა-შვილ ძაძამიების ვალი იქითა აქვთ, დიახ. **„ყოროფას“** ვალი აქვთ, სიყვარულის ვალი მართებთ. მართალია, მეგრული ენა მათ არ შეუქმნიათ: ღმერთის მიერაა შექმნილი, ბუნების ენაა, მაგრამ მამა-შვილმა გამოავლინეს, აღმოაჩინეს, სამზეოზე გამოიტანეს მეგრული ენის კოლოსალური სიტყვების სიმდიდრე. თავისი შექმნილი ღვთისმიერი ენა ღმერთმა დაიცვა და მამაშვილმა ძაძამიებმა, არადა წარმოუდგენელია ყოველმხრივ გარშემორტყმულ და **„დაყუმბარებული“** ენა გადარჩენილიყო, დიახ გადარჩენილიყო. 1 მილიარდ 410 მილიონი და **„რაღაც“ „ბოლო“** – იმ **„ბოლოს“** რაოდენობითაც **“სამართლიანად იამაყებდა”** რომელიც გნებავთ ერი... და ძაძამიებმა დააჭეშმარიტეს, რომ ამ ფანტასტიკური სიტყვის მარაგის უდიდესი უმრავლესობა ხმაბაძვითი წარმოშობისაა, ე.ი ბუნების ენაა, ემყარება სულ რაღაც 6652-ძირისეულ თანხმოვნურ ფორმას. მის ზმნურ აფიქსირებულ – გრამატიზებულ ფორმებს წარმოადგენს და ეს მათ დაასაბუთეს მრავალტომეულებით, 16 მონოგრაფიით, 3600 მეტი მეცნიერული სტატიებით; – 20 ამათგან მამანტი და ცირა ძაძამიების ბიბლიოთეკის წიგნის თაროებზე აწყვია; ასევე მრავალი ათასტომეულიდან პირველი ათასტომეული იქვეა. ელოდება ჭეშმარიტად პატრიოტ გამომცემლებს.

რაც მთავარია, მეგრული ენის ღრმად, მეცნიერულად შესაწავლის ბაზაზე მამანტი და ცირა ძაძამიებმა ამოხსნეს ენის წარმოშობის საიდუმლოება, გადაჭრეს ენის წარმოშობის მარადიული პრობლემა, შექმნეს ენათმეცნიერების ახალი დარგი – ენათწარმომავლობა. ამით გადატრიალება მოახდინეს ენათმეცნიერებაში.

როგორც შვიდტომეულის **„პრეზენტაციაზე“** აღნიშნეს სწავლულებმა: **„შედეგად ენათმეცნიერების ცენტრმა მოიარა რა ელადა, პარიზი, ლონდონი, სანქტ-პეტერბურგი, ნიუ-იორკი, თბილისი, სხვადასხვა დროს რა თქმა უნდა, საბოლოოდ პატარა ენწერში (წალენჯიხა) დაიბინავა“**. ეს ჭეშმარიტებაა და არა ლეგენდა და ამას სამართლიანად ეწოდა მსოფლიოს მეცხრე საოცრება. მერვე საოცრება თავად კოლხეთია.

მამანტი ძაძამია ეროვნული მოძრაობის აქტიური მონაწილეა. მას ღრმად სჯეროდა, რომ **„ეღირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომა“**. ე.ი სწამდა საქართველოს განთავისუფლება-გაერთიანება. სავალალოა რომ ამას ვერ მოესწრო.

მართალია **„მუხა“** წაგვექცა, მაგრამ გენიოსები არ კვდებიან ისინი ადგილს იცვლიან. გადადიან უკვდავების საუფლოში. თავის საამქვეყნო საქმეები, თავისივე ტომეულების თანაავტორს, ასევე ლეგენდას, დიახაც რომ გენიოსს – აკადემია **„აია“**-ს პრეზიდენტს ცირა ძაძამიას სიცოცხლეშივე გადააბარა. **„ის ურჩევნია მამულსა...“**

ჩვენ კი ბატონო მამანტი! ძმაო და მეგობარო! დიდი მადლობა! მშვიდობით! აქ ხომ ბრწყინვალე, დიდებული ბრძანდებოდით **„იქ ნათელი დაგადგეს“**. ამინ!

**ალეკო თოდუა**
**მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს ვიცე პრეზიდენტი,**
**აკადემია „აია“-ს წევრები: კლიმენტი კიკალიშვილი**
**ნათია ჯგუშია**
**ბონდო მანია**
**გივი შულაია**
**ნუგზარ სართანია**
**08.01.2017 წ. ენწერი**

# ერთი სიყვარულის სევდიანი ამბავი

...ის ვერ იტანდა თავის ცოლს! ვერ იტანდა. თითქმის 20 წელი იცხოვრეს ერთად და ყოველ დილას ხედავდა, მაგრამ მხოლოდ ბოლო წლის განმავლობაში აღიზიანებდა მისი ჩვევები. განსაკუთრებით ერთი მათგანი: ხელებს გაშლიდა, ჯერ კიდევ ლოგინში მწოლიარე, და ამბობდა: **“დილა მშვიდობისა, მზეო! დღეს შესანიშნავი დღე იქნება”**. თითქოს ჩვეულებრივი ფრაზაა, მაგრამ მისი გამხდარი ხელები, ნახევრად მძინარე სახე კაცს აღიზიანებდა.

ქალი დგებოდა, ფანჯარას უახლოვდებოდა და რამდენიმე წამს გაჰყურებდა შორეთს. მერე ღამის პერანგს იხდიდა და სააბაზანოსკენ მიემართებოდა, შიშველი.

ადრე, ახალდაქორწინებულები რომ იყვნენ, კაცს აღტაცებას ჰგვრიდა მისი სხეული, მისი თავისუფლება. თუმცა ისევ მშვენიერ ფორმაში იყო, კაცს მაინც აბრაზებდა მისი ასე დანახვა. ერთხელ ისიც კი უნდოდა, რომ ხელი ეკრა და მისი **“გაღვიძების”** პროცესი დაეჩქარებინა, მაგრამ მუშტი შეკრა და უხეშად უთხრა: **“ცოტა სწრაფად, მოსაბეზრებელია უკვე!”**

ქალს არ ეჩქარებოდა სიცოცხლე. მან იცოდა ქმრის რომანის შესახებ, იმ გოგოსაც კი იცნობდა, ვისაც მისი ქმარი უკვე სამი წელია ხვდებოდა. მაგრამ დრომ თავმოყვარეობის ყველა იარა მოაშუშა და მხოლოდ ნაღველი დაუტოვა, ნაღველი იმის, რომ უსარგებლო გახდა. ქმარს პატიობდა აგრესიას, უყურადღებობას, სწრაფვას, კვლავ ახალგაზრდულად ეცხოვრა, ოღონდ უკვე სხვასთან. მაგრამ არ რთავდა ნებას, მისთვის შეეშალა ნება-ნება ცხოვრება, თითოეული წუთის გააზრებით. ასე გადაწყვიტა მას მერე, რაც შეიტყო საკუთარი ავადმყოფობის შესახებ. დაავადება მას თვიდან თვემდე უღებდა ბოლოს.

პირველი თავში მოუვიდა, ყველასთვის ეამბნა თავის ავადმყოფობაზე. ყველასთვის! რომ შეემცირებინა ამ დაუნდობელი სიმართლის ძალა, ნაკუწებად დაეშალა და ახლობლებისთვის დაერიგებინა. მაგრამ ყველაზე მძიმე პერიოდი მარტომ გაიარა, სწრაფი სიკვდილის მოახლოება გაიაზრა და გადაწყვიტა, გაჩუმებულიყო. ცხოვრება მიედინებოდა, და დღითი დღე ქალში სულ უფრო მეტად იღვიძებდა ცხოვრებისეული სიბრძნის წყურვილი. სოფლის პატარა ბიბლიოთეკაში განმარტოვდებოდა – ყოველდღე გადიოდა საათნახევრიან გზას, რომ ძველ წიგნებს შორის ეპოვა შვება.

კაცი საყვარლის სახლში მივიდა. აქ ყველაფერი ნათელი, თბილი და ახლობელი იყო. უკვე სამი წელია ხვდებოდნენ ერთმანეთს და მთელი ეს დრო გიჟურად უყვარდა. ეჭვიანობდა, ამცირებდა, თავსაც იმცირებდა და თითქოს ვეღარც კი სუნთქავდა ამ ქალის ახალგაზრდა სხეულის გარეშე. დღესაც მივიდა და მტკიცედ გადაწყვიტა: გაშორდეს. რატომ უნდა იტანჯოს სამივემ, მას ცოლი არ უყვარს, უფრო მეტიც – სძულს. აქ თავიდან დაიწყებს ცხოვრებას, ბედნიერად. ეცადა გაეხსენებინა ის განცდები, რასაც ერთ დროს ცოლისადმი გრძნობდა, მაგრამ ვერ შეძლო. უცებ მოეჩვენა, რომ მათი გაცნობის დღიდანვე ასე აღიზიანებდა ცოლი. საფულიდან ცოლის ფოტო ამოიღო და თავისი ახალი გადაწყვეტილების გასამყარებლად, სულ ნაკუწებად დახია.

რესტორანში დაგეგმეს შეხვედრა. იქ, სადაც ექვსი თვის წინ ქორწინების 15 წლისთავი აღნიშნეს. ქალი პირველი მივიდა.

კაცმა მანამდე სახლში შეიარა, სადაც დიდხანს ეძებდა განქორწინებაზე განცხადების შეტანისთვის საჭირო საბუთებს. განერვიულებული ხსნიდა კარადის უჯრებს და იატაკზე ყრიდა ყველაფერს. ერთ-ერთ უჯრაში მუქი ლურჯი საქაღალდე იდო. ადრე არასდროს დაუნახავს. ჩაიცუცქა და საქაღალდე გახსნა. ყველაფრის დანახვას ელოდა იქ, ფოტოკომპრომატსაც კი. მაგრამ ამის ნაცვლად უამრავი ანალიზი და ცნობა აღმოაჩინა. ყველა ფურცელზე ცოლის გვარი და ინიციალები იყო. ცივმა ოფლმა დაასხა. ავად არის!

ინტერნეტში შეძვრა, დიაგნოზის სახელწოდება ჩაწერა საძიებელში და ეკრანზე საშინელი ფრაზა ამოვარდა: **“6-დან 18 თვემდე”**. თარიღებს დახედა: გამოკვლევის მომენტიდან ნახევარი წელი გასულიყო. მერე რა იყო, ცუდად ახსოვდა. ერთადერთი ფრაზა უტრიალებდა თავში: **“6-18 თვე”**.

ქალი ორმოც წუთს ელოდა. ტელეფონი არ პასუხობდა. ანგარიში მოითხოვა და რესტორნიდან გამოვიდა. მშვენიერი ამინდი იყო, მზე არ წვავდა, მაგრამ გულს ათბობდა. **“რა მშვენიერია სიცოცხლე, რა კარგია მიწაზე, მზესთან, ტყესთან ახლოს”**. პირველად ამ ხნის მანძილზე, რაც საკუთარი ავადმყოფობის შესახებ იცოდა, თავი შეეცოდა. ეყო ძალა, თავისი დაავადების საშინელი საიდუმლო შეენახა ქმრისგანაც, მშობლებისგან და მეგობრებისგანაც. ცდილობდა, მათთვის გაეიოლებინა არსებობა, თუნდაც საკუთარი დანგრეული ცხოვრების ფასად. მით უმეტეს, რომ ამ ცხოვრებიდან მხოლოდ მოგონებები დარჩებოდა.

ქუჩაში მისეირნობდა და ხედავდა, როგორი სიხარული ედგათ ადამიანებს იმის გამო, რაც წინ ელოდათ: ზამთარი, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება გაზაფხული! ის მსგავს სიხარულს ვეღარ განიცდის. წყენა უძლიერდებოდა და გარეთ გადმოხეთქა უსასრულო ცრემლების სახით...

კაცი ოთახში სცემდა ბოლთას. ცხოვრებაში პირველად იგრძნო ასე მძაფრად ცხოვრების წარმავალობა. იხსენებდა ცოლს ახალგაზრდობისას, იმ დროს, როცა ერთმანეთი გაიცნეს და იმედებით სავსე იყვნენ. არადა, ხომ უყვარდა ერთ დროს. უცებ მოეჩვენა, რომ ეს ოცი წელი თითქოს არც ყოფილა. და ყველაფერი წინ არის: ბედნიერება, ახალგაზრდობა, ცხოვრება...

იმ ბოლო დღეებში ცოლი მზრუნველობით აავსო, გამუდმებით მის გვერდით იყო და საოცარ ბედნიერებას გრძნობდა. ეშინოდა, რომ ქალი წავიდოდა. მზად იყო საკუთარი სიცოცხლე გაეღო, ოღონდაც ქალი შეენარჩუნებინა. ვინმეს რომ შეეხსენებინა, რომ ერთი თვის წინ სძულდა თავისი ცოლი და განქორწინებაზე ოცნებობდა, იტყოდა: **“ეს მე არ ვიყავი”**.

ხედავდა, როგორ ემძიმებოდა ქალს ცხოვრებასთან დამშვიდობება, როგორ ტიროდა ღამღამობით, როცა ეგონა, რომ ქმარს ეძინა. კაცი ხვდებოდა, რა საშინელებაა, როცა იცი საკუთარი აღსასრულის დრო. ხედავდა, როგორ იბრძოდა ქალი სიცოცხლისთვის, როგორ ეჭიდებოდა ყველაზე ფუჭ იმედსაც კი.

...ორი თვის შემდეგ გარდაიცვალა. კაცმა ყვავილებით აავსო გზა სახლიდან სასაფლაომდე. ბავშვივით ტიროდა, როცა კუბოს მიწაში უშვებდნენ, და ათასი წლით დაბერდა...

სახლში დაბრუნებულმა ცოლის ლეიბის ქვეშ ბარათი იპოვა, სურვილი, რომელიც ახალ წელს დაწერა: **“ვიყო ბედნიერი მასთან, სიცოცხლის ბოლომდე”**.

ამბობენ, გულით ნანატრი სურვილები სრულდებაო. როგორც ჩანს, მართალია. იმავე ახალ წელს კაცმა დაწერა: **“თავისუფალი გავხდე”**.

ორივემ მიიღო ის, რაზეც, თითქოს ოცნებობდა. კაცმა ხმამაღლა, ისტერიკულად გაიცინა და სურვილის ფურცელი ნაკუწებად აქცია...

## პოეზიის კუთხე

**ეძღვნება ჟურნალისტ**
**რუსლან რუსიას ხსოვნას**

### ნათელში, რუსლან!

**ნაღდი კოლხური კაცობით და დიდი ნიჭითა,**
**გვერდით დამიდექ, სულიერად როცა მიჭირდა.**
**განა მხოლოდ მე,**
**ბევრი იხსენ ბოროტ იჭვისგან,**
**ვისკენაც ეშმამ ბუჩქებიდან გამოიჭვრიტა.**
**სიმართლის თესლად აღმოცენდა შენი სიკეთე,**
**და ბევრის გულში მარადისად ამოიკვეთე.**

*** * ***

**გარდაცვალება შენს სიცოცხლეს წერტილს ვერ უსვამს,**
**ოჯახთან ერთად ძალზე ბევრში იცოცხლებ, რუსლან.**
**მამაზეციერს ამიტომაც გულით შევთხოვ, რომ**
**ზეცის ნათელი არასოდეს გამოგეთხოვოს!**

**სათრევველები**
**იურისტებისა და პარტიების**
**მომრავლებაზე**

### დილემა

**ერთხანს ფულის შოვნის წყაროდ**
**ბენზინი და ნავთი აქეს,**
**მერე ბევრი უმოწყალოდ**
**შეესია აფთიაქებს.**
**ზოგმა კიდევ,**
**ექიმობა**
**– ჯიბეგამოქექილობას,**
**ამჯობინა ვექილობა.**
**თანაც ვინც თვლის,**
**რომ სჯობს თვისტომს,**
**სხვა სფეროშიც იურისტობს.**

*** * ***

**აღარა გვაქვს თვალზე ბისტი**
**უსაფუძვლო ანაჩემის,**
**დღეს მეტი გვყავს იურისტი,**
**ვიდრე ხალხი დანარჩენი.**
**და საშველი რაკი არ ჩანს,**
**მწამს, ვნახავთ და დავიჯერებთ.**
**დასაჭერი აღარ დარჩათ**
**და ერთმანეთს დაიჭერენ.**

### საუბარი ლართან

**ლარს ვკითხე, რატომ გაუფასურდა.**
**მითხრა, რომ მავანს სხვა რამ არც სურდა,**
**რადგან მთავრობამ ბევრი მიქარა**
**და დაუბერა თანაც იმ ქარმა,**
**ბანკირს რომ ხიბლავს მომხვეჭელობით**
**და ძარცვა-ღლეტის უეჭველობით.**

*** * ***

**ამაზე მეტი რა გვითხრას ლარმა?**
**– ვინც ჩვენს ხალხს ძარცვავს,**
**შე-ერ-გოს არ-მად!**

### „რეკორდსმენი“

**არ შეშრობია ზოგს ხსენი,**
**მაგრამ ბევრს ჯაბნის ჭამაში**
**და გახდა რეკორდმომხსნელი**
**პარტიობანას თამაშით.**
**ჯერ სადა ვართ?!**

**სულ ახლახან საქართველოში**
**221–ე (!!!) პოლიტიკური პარტია**
**დარეგისტრირდა. მოლოდინი**
**გაცილებით დიდია!**

**220-ს ასცდა ძაბვა**
**ჭკუის კოლოფთა „სიბრძნის“**
**და მიგვაქანებს დაბლა,**
**ვინც სკამისათვის იბრძვის,**
**პარტიის ქსელით გვაბამს,**
**თუ ფეხმსუბუქურ სიძვით.**

**სადღეისო საწუხარი**

### ვერდიქტი

**კაცობა რაში გარგია,**
**ანდა ნამუსის ქუდი,**
**თუ სხვას რომ თათხავ: „კა-არ-გია“,**
**შენ თუ გლანძღავენ: „ცუ-უ-დი“?!**
**ბევრი გაჩხირე ხიფათში,**
**როგორც ღობეში ჩხირი,**
**დღეს კი მოგადეს სიფათში,**
**და, გამლახესო, ჩივი.**

*** * ***

**რა დასკვნა ბრძანა თემიდამ**
**ამ ცემა-ტყეპის თემიდან?**

*** * ***

**იგივე, რასაც ვამბობდით**
**ხალხური სიბრძნის წყალობით:**
**„აწუხებთ ენით დაკოდილთ**
**ჭრილობა ყიამყრალობის!“**

**ქუთა თელია**

# არასაზავო ფიქრები მილევადობის მიჯნასთან

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

ეს ძალები თავზე ხელაღებით ცდილობენ სქესობრივი, ე.წ. სარწმუნოებრივი თუ ეთნიკური უმცირესობის ნიღბით შემოსეული ძირგამომთხრელობა სასიცოცხლო მნიშვნელობის განაწესად გვიქციონ.

მოთხოვნა – სახელის გამტეხი ცილისწამების გავრცელება, სიცრუის გამრავალცალება (ტირაჟირება) და მისთანათა დასჯის შესახებ ცხადდება სიტყვის თავისუფლების შეზღუდვად.

უბედურება ისაა, რომ არავის აინტერესებს თუ რამდენად ეხმიანება ეს ყველაფერი ქართველი ერის ნებას.

სიცხადე სათავზაროა: პატიოსნება, ზნეობა, სახლიკაცობა და გამტანობა **„ცუდ მაგალითად“** ცხადდება, ხოლო სურვილი ერის მარადიულყოფისა, მსუბუქი ყოფაქცევისდარ თითმისაშვერ სამიზნედ იქცა...

რა თქმა უნდა, უდაოდ ჰქონდა უფლება წმინდა ილია მართალს ქართული საზოგადოებისთვის (განსაკუთრებით მისი ზეპურობისთვის-ელიტისთვის) **„ბედნიერი ერის“**, ლუარსაბ თათქარიძის (დარეჯანის, ლამაზისეულის) და ა. შ. დასურათხატება ეროვნულ გაფრთხილებად გაეთხივკუთხებინა, რათა საკუთარი ხრწნადობის გამოვლენა ქვეყანას დაენახა მკაფიოდ. ამავე დროს, ერის უდიდესმა ჭირისუფალმა ჭეშმარიტად ქრისტეს მხედარი ლელთ ღუნიას ათერგღრიალებით სრულიად საქართველოს გასძახა თუ სადაა მისი მარადიულყოფის ხაწა (შეპირისპირების ხერხი).

გეთანხმებით, საქართველოს მაფშალიას (და არა ბულბულს) აკაკისაც უფლისაგან ებოძა ნებართვა კოსმოპოლიტური ეთნოდივერსიებისთვის მიემრისხანებინა საიმდროოო **„ორე და ხი“ – „ფურთხის ღირსი ხარო“!**

ეს, რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ მე, ჩემი აკაბუცხა რაობით (ფეხთამტვერი ამ სიდიადეთა გასწვრივ) მიუხედავად იმისა, რომ თვალნათლივ ვხედავ, რაცაა ირგვლივ და რაც ხდება მასში, საზოგადოებას როგორ შევღაღადო, – კოლექტიურ უგნურებაში ნებივრობთქვა?!..

ასეთ საყოყმანო დროს მივემოწაფები (და სწორიც ვიქნები) დიდი მუხრანის შეძახილს, **„ღალატიაო მაგგვარი ფიქრი!..“** და წინამდებარე მონებივრეებს შევეკითხები: რა ჰქვია იმას, როდესაც ქვეყანა ოკუპირებულია, ქართველი ერი მილევად მდგომარეობას მიეერთბაშა, უფრო სწორად, ქართველი ერის გონითი განფენის სივრცეში შესარაველიანებული ბიომასა, რომელსაც ერთდროულად ჰქვია ელენე ხოშტარიაც, გიორგი მშვენიერაძეც, ნიკა მელიაც, ზურაბ ჭიაბერაშვილიც, ნიკა გვარამიაც, თინა ხიდაშელიც, გიორგი გაბუნიაც (ჯულიეტოვნაც), თამარ ჩუგოშვილიც, პაატა ზაქარეიშვილიც, ნინო ლომჯარიაც, აკო მინაშვილიც, გიგა ბოკერიაც, თამარ ჩერგოლეიშვილიც, უჩა ნანუაშვილიც, გნებავთ არასამთავრობო, უფლებადამცველი, **„თეთრი ხმაური“**, საია და ა.შ. იმაზე მოსთქვამს, რომ აქამდე რატომ არ დაიწერა ლგბტ თემის **„სადიდებლად“ „ვეფხისა და მოყმის“** ტოლფარდი ღვთივწდომილება?!..

არადა, ამ ხრწნადობათა გამოსაინკუბატორებლად უშქარი ხრიკი გააჩნია ავმოსურნედ ჩასაფრებულს: თავის დროზე რუსეთის მიერ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოსა (აფხაზეთსა) და ცხინვალის მხარეში რსფსრ-ის პასპორტების დარიგება ადგილობრივი მოსახლეობისთვის იგივე (იდენტური) ილეთი გახლდათ, შემდგომ აშშ-ს მიერ დანარჩენ საქართველოში რომ დაკანონდა ე.წ. უცირესობის (ლგბტ – თემის, ეთნიკური ნიშნით ჩასაფრებულის, იეღოველების, მოხის (ადიგენი) მსგავსი პროვაკაციების და ა.შ. **„უფლებათა დაცვის“** ნიღაბ ქვეშ რომ ხორციელდება.

ბუნებრივია, მკითხველი იკითხავს, კი ბატონო, ეს ახალი ნაცია კი ენაცვლება გიორგიანულ შინაარსს, მაგრამ თვითონ რა ღირებულებებს გვთავაზობსო?!

გიპასუხებთ. ჭაობური დემოკრატიის თარეშის პირობებში, როდესაც საზოგადოებრივი მიმოქცევიდან გაძევებულია ქრისტესმხედარი ერის მსოფლაღქმა, ბინადარი ცხოვრების წესი და ერის ლასკარული წესრიგი (შინერსი, ვაშინერსი), სისხლაღრეული მოქალაქეების რაოდენობა (ახალი ნაცია) საზოგადოებად, ხალხად ან ერად ჩამოყალიბებას ამჯობინებს მიმდგომლურ ცოდვისკითხვაში დაიდგინოს თავი: მიმდინარე 2016 წლის 4 ნოემბერს გავრცელდა ცნობა, რომ ჩვენს სატახტოში, ქ. თბილისში ქალიშვილმა ოთხ თანამზრახველთან ერთად, ახლადნაოპერაციევი და ლოგინად ჩავარდნილი საკუთარი დედა წამებით მოკლა, დაანაწევრა, გულ-ღვიძლი ამოაცალა, მოხარშა და **„მეგობრებთან“** ერთად შეჭამა (როგორც ამბობენ სატანური რიტუალი აღასრულეს).

ვერ ვიტყვი, რომ ზემოთხსენებულმა ახალმა ნაციამ ამას ტაში დაუკრა, მაგრამ მისთვის ასეთი კაცთმჭამებლობა გამაოგნებელი თავზარი არ აღმოჩნდა, რომელიც გონებას გაუხსნიდა და მიახვედრებდა, რომ ამგვარი ღვთისპირიდან გადავარდნა ჭაობური დემოკრატიის კანონზომიერი თვითგაშინაარსებაა. პირიქით, ეს მისთვის ერთი რიგითი შეუსაბამობა იყო, ისეთი, გზაჯვარედინზე რომ დაარღვევს მანქანა მოძრაობის წესს, – რა მოხდა მერე!

ის კი არა და, ამათგან ერთ-ერთს ქართული ტელეარხები არც თუ იშვიათად თანამედროვე **„გამოსულობის“** მეტრად წარუდგენდნენ ხოლმე საზოგადოებას, რომლისგანაც **„კარგი ბიჭობის“** მაგალითი უნდა აეღო ჩვენს ახალგაზრდობას ანუ თუ ვითომ ჟურნალისტ გია ჯაჯანიძეს (ტელევიზია **„იმედი“**) მივემოწაფებით, სულიერი საზრდო უნდა მოეძია **„ქართულ საზოგადოებას“** მასში. უფრო მეტიც, წინამდებარე მიზნობრივი ერთობის (თავს ვიკავებ უფრო ზუსტი შესატყვისის – **„ხროვის“** თქმისაგან) მთელი ადამიანთმოყვარეობა, როგორც უკვე გულისტკივილით გითხარით, მოისაზღვრება მარიხუანას მოხმარების დეკრიმინალიზაციის მოთხოვნაში და სქესობრივი თუ ეთნიკური უმცირესობების **„უფლებადაცვაში“**, რაც, ზოგიერთ შემთხვევაში, მათთვის ამ ხრწნადობათა სადიდებო კვარცხლბეკების აღმართვის მცდელობაში გამოიხატება.

ასეთი ზურგის ქარის არსებობის გამო, თავის მხრივ ე. წ. უმცირესობა თანამიმდევრული აგრესიითა და სისასტიკით მოითხოვს თავისი დღის წესრიგით აცხოვროს ქართველი ერი, ის კი არა და, ლამის სავალდებულო გახდეს ამ უმცირესობებში გაწევრიანება, დიახ, ეს ისეთ სახეს იძენს, როგორიც იყო საბჭოთა კავშირის დროს სკკპ წევრობა – თანამდებობაზე არ დაინიშნებოდი ამის გარეშე.

გასაგებია, მათთვის ქართველი ერის მარადიულყოფისათვის გაწეული ნებისმიერი ძალისხმევა არის რეგრესი (ესეც მოგახსენეთ), ამავდროულად პატიოსნების, ზნეობის და ერისკაცობის დაცვა, სირცხვილის გრძნობა ან მოყვასისადმი თანადგომა დიდი ხანია მიიჩნევა მეთქი **„ცუდ მაგალითად“**.

...და მაინც, მივუბრუნდეთ 4 ნოემბრის საუბედურო ცნობას: ვერსად წაუხვალ, ძვრაუქმნელი სიცხადეა, რომ ქართული საზოგადოების წიაღში, თანაც ერის სატახტოში შვილმა უმწეო, ლოგინს მიჯაჭვული საკუთარი დედა დაკლა და ინახთან ერთად შეჭამა.

ეს ერთი ღვთისწყრომაა, მაგრამ მეორე და უფრო შემზარავი უბედურება ისაა, რომ ასეთ დროს ერი საქუდზეკაცო ზარებს არ არისხებს იმაში გასარკვევად თუ რა ხდება ჩვენს თავს. საზოგადოებას არ უჩნდება სურვილი, გაისიგრძეგანოს ის მიზეზი, რომელმაც იგი გიორგიანელობიდან და ქრისტესმხედრობიდან კაციჭამიობამდე დაიყვანა (როდესაც ზნეობრივად წააგებ, დამარცხებული მხოლოდ მაშინ ხარ თუ წაგების მიზეზს ვერ ახსნი და ვერ ჩაუღრმავდები, თორემ თუ იმას დაადგენ, რა ჭკუითაც გაჯობეს, შენ ხდები მასზე ჭკვიანი, რაც გამარჯვების წინა დღეა).

დიახ, უნდა გაიცხადო, როდის, რანაირად და რატომ აღმოჩნდი ჩასაფრებულის აღვირამოდებული, რათა სწორი საპირწონით დაიხსნა თავი და გახდე კვლავ პირველი, ანუ აღსდგე დედან შინაარსში – გიორგიანელობასა და ქრისტესმხედრობაში. ქართულ საზოგადოებას უნდა სცოდნოდა, რომ როდესაც ასეთ სტრიქონებს **„მხატვრულ“** სიტყვად შემოგაკვეხებენ, სწორედ კაციჭამიობისკენ გადაალიანდაგებენ მას: **„მე მიდგებოდა მაშინ, როცა დედა პირჯვარს იწერდა. ყოველთვის მეუფლებოდა განცდა, თითქოს ცერა, საჩვენებელი და შუა თითები შუბლთან მიტანის შემდეგ, მუცლის ნაცვლად, ბოქვენთან გადაინაცვლებდნენ... როგორ მძულხარ დედა!**

**არაერთხელ მიფიქრია მშობლების ჩაძაღლებაზე. მე ვწოვდი ძუძუს, რომელიც შესაძლოა, სექსუალური აქტის დროს მამაჩემს ედო პირში... აბაზანაში ბანაობისას იმავე საპნით, რომლითაც დედაჩემი გაუპარსავ ფანჩარს იპარსავდა, მე საკუთარ პენისს ვეალერსები“...** (ერეკლე დეისაძე, **„საიდუმლო სირობა“**).

დიახ, ეს ხმაბოდვა იყო ნაბიჯების ათვლა დედის გულ-ღვიძლის შეჭმისაკენ. ეს ნაბიჯები დაუბრკოლებლად ჯერმონაცვლეობენ, როდესაც თბილის ქალაქის დედო გამზირზე მარიხუანასათვის ვილეწავთ მკლავებს, ეს ნაბიჯები არ შეწყდება, სანამ ქეთო ლანდიას, ჟანეტა არჩვაძის, ლია მიქაძის, დონარა კინწურაშვილის და ა.შ. მეტყველებას ენაცვლება დღევანდელი ე. წ. მედიის ხმაბოდვური ჩასაფრება, ჩიქორთული, უვიცობა და აულაგმავი სიძულვილის ენა...

რა მაგის პასუხია და, 2016 წლის 23 ოქტომბერს ე.წ. ტრანსგენდერების უფლების დაცვამ ჩვენს დედაქალაქში მიიღო საბჭოთა ხელისუფლების დროს 7 ნოემბრის პარადის ფორმა, რომლის დროსაც არავის უცდია, ყასიდად მაინც გამოხმაურებოდა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებს.

ეს ყველაფერი მე პირადად არ მიკვირს, არც 2016 წლის 18 ნოემბერს ზემოთ ხსენებული საპარლამენტო გამოსვლა პრეზიდენტისა მაოცებს ძალიან, როდესაც მან მოახერხა და არ შეეხმიანა ყოველთა ქართველთა ყოფნა-არყოფნის საიმდღეებო საწუხარს.

ვიმეორებ, მას ამის წილ დასაცავი ჰყავდა ე.წ. მასმედია და უმცირესობა, ანუ ევრო-ატლანტიკური რასიზმის პროპაგანდისტები და აგენტურა.

ცხადია, პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის იმ სიტყვებში აღინიშნა, რომ ხელისუფლება ისწრაფვის დასავლეთისკენ, ანუ ნატოსკენ (საინტერესოა რა მიგაქვთ ამ დასავლეთში, როდესაც გულმოდგინედ ჩქმალავთ ქართულ კულტურას, ხოლო შოთა რუსთაველის **„ვეფხისტყაოსნის“** საკაცობრიო ღირებულებებზე კრინტი არ დაგიძრავთ, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ დასავლეთი (იუნესკო) გავალებთ მის სათანადოდ აღნიშვნას. წელი იწურება და თქვენ არც საიუბილეო კომისია შეგიქმნიათ და არც შესაბამის ღონისძიებათა გეგმა გაქვთ შედგენილი).

დიახ, აქ ხმამაღლა უნდა ვიკითხო: რისთვის გვინდა ჩვენ ნატო, – ერის მილევადი მდგომარეობიდან გამოსაყვანად ან ქართული სახელმწიფოებრიობის ასაღორძინებლად თუ რაიმე სხვა მიზნისთვის?!..

რაც მთავარია, რა არის ეს **„სხვა“**?

თუ საქართველოს პარლამენტის სესიაზე 2016 წლის 18 ნოემბერს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის სიტყვის გაუხმოვანებელ, ქვედადინებურ ნაწილს, გამოვიჩენთ უნარს და წავიკითხავთ, ეს **„სხვა“** გახლავთ აშშ-ს ელჩის თითისქნევის ქვეშ ისეთი იდეოლოგიური მხრჩოლაობა (ქიმიური იარაღი), როგორიცაა **„რუსთავი-2“**-ის მაუწყებლობა, შეუფერხებლად, რომ განაგრძობს ქართველთა დენაციონალიზაციას და იმ ქვენა გრძნობების დამკვიდრებას, რომელმაც თაობის ერთი, ჯერჯერობით მცირე ნაწილი კაცმჭამებლობამდე მიიყვანა.

ეს **„სხვა“** გახლავთ საქართველოში ე.წ. ლგბტ თემის ახალ ნაციად ჩამოყალიბება, რისთვისაც (ე. ი. მიზნობრივი დივერსიისა და ეთნოფაბრიკაციისათვის) უხვად შემოდის ფულადი ანაზრაურება ე.წ. გრანტის, ანუ 30 ვერცხლის სახით.

* * *

თავის ცნობილ წერილში **„დილემა კაცობრიობის წინაშე“** (რომელიც 1977 წელს ავტორთან ერთად დააპატიმრეს) ზვიად გამსახურდია, კაცი, – მთელი თავისი ცხოვრებით დაკავშირებული რომ იყო საბჭოთა იმპერიის კლანჭებიდან საქართველოს დახსნასთან, ახასიათებდა რა ევროატლანტიკურ რასიზმს (აგრესიულ გლობალიზმს), ანუ, როგორც თვითონ უწოდებდა **„ტექნოკრატიულ დასავლეთს“**, განსხვავებით იმათგან, ვისაც დასავლეთისთვის ზერელე თვალშევლება ჰგონია ყოვლისმცოდნეობა, ქართველ ერს აღფრთოვანებული როდი აუწყებდა, რომ **„...მათ დაინახეს მთელი სიცხადით, რომ ამ დილემისთვის გვერდის ავლა, ან მისთვის თვალის ვერ გამართვა გამოიწვევს პიროვნების თუ საზოგადოების სრულ დეგრადაციას, მიგვიყვანს სამყაროს სრულ დეჰუმანიზაციამდე და დაღუპვამდე. ასევე შემზარავი იყო მათთვის გაცნობიერება იმისა, რომ ამ დილემის დიდმნიშვნელოვანების მიფუჩეჩებას და ყოველგვარ ნიველირებას ცდილობდა არაერთი წამყვანი მეცნიერი თუ აზროვნებისმიერი მიმართულება ამ საუკუნისა.**

**ხოლო ის ერთეულები, ვინც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უმართავდა გაბატონებულ გაგებას მორალისას, სულიერი ღირებულებებისა თუ აზროვნებისმიერი ჩვევებისას, როგორც წესი, ფიასკოს განიცდიდა ან საუბარს იწყებდა საუკუნისათვის გაუგებარ ენაზე, რითაც კარგავდა კაცობრიობის ბედ-იღბალზე ზემოქმედების რეალურ საშუალებას...“**

ცხადია, რომ არ შეიძლება, ბოჩოლას გულუბრყვილობით ელოდო დიდმპყრობლობისაგან, თუნდაც ის აღმოსავლეთში, ჩრდილოეთში, სამხრეთში ან დასავლეთში იგუმბათებდეს დიდებას, იმის დაჯერება, რომ ვინმე ძილს დაიფრთხობს ჩვენი გასაჭირით. ამის მოლოდინი არის სირეგვნე. ჯერ ერთი, ნიგოზი მუქთად მხოლოდ სათაგურშია, მეორეც, პოლიტიკა, როგორც წესი, გულაჩუყებით არ იქმნება.

ასეთ შემთხვევაში, დასავლეთის **„მოკავშირეობის“** (ისევე, როგორც ჩრდილოეთის და ა.შ.) სრულყოფილ დახასიათებას წარმოადგენს მუხრან მაჭავარიანის ლექსი **„საბა“**, რომელიც დიდმა პოეტმა და გულდამწვარმა მამულიშვილმა 20-ე საუკუნის 50-იან წლებში დაწერა და სულის შემძვრელად განაზოგადა იმ დროის **„უფროს ძმათა“** ყურდახშულობა თუ გულქვაობა:

***„ორბელიანი, ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან***
***ალოდინეს და მეთხუთმეტე კაცად შევიდა...***
***... მაგრამ ამით არაფერი გამოვიდა რა“ –***
***შესაბამისად, რაც შეიტანა, ისევ ის გამოიტანა***
***იმ სახელგანთქმულ ვერსალიდან ელჩმან ქართლისამ...“***

სამწუხაროდ, აგრესიული გლობალიზმის კარნახით საქართველოში განხორციელებულმა **„საგანმანათლებლო რეფორმამ“**, ანუ ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის აღგვამ სკოლიდან გააძევა ეს და ამის მსგავსი სულისკვეთების ნაწარმოებები, რის გამოც კაცთმჭამებლობა ჩვენი საზოგადოების თვალწინ სათავზარო სიცხადის ათვლად იქცა.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ბუნებრივია, ასეთი შედეგი პირდაპირაა კავშირში აგრესიული გლობალიზმის მიერ საქართველოში წარმოებულ ეთნოდივერსიასთან, როდესაც ქართველი ერის დენაციონალიზაციამ, შენიღბულმა სწორედ საგანმანათლებლო რეფორმებში, საბჭოთა ეთნოფაბრიკული ინდუსტრიის თანმიმდევრული სისტემები გააძლიერა და **„ახალი ადამიანის აღზრდის“** პაროლით სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა ეროვნული სულისკვეთების ყველანაირ გამოვლენას ეკლესიაში, მეცნიერებაში, კულტურაში, სპორტში, მწერლობაში, ყოფაში, მეურნეობაში, კერძების მენიუშიც კი.

ამის შესაბამისად, საქართველოს კულტურის სამინისტრო, განათლების სამინისტროსთან ერთად, სინამდვილეში წარმოადგენს სანგარს, საიდანაც ჭურვს ჭურვზე უშენდნენ (და უშენენ) ერის თვითმყოფადობასა და მარადიულყოფას.

**სერგი საჯაია,**
***გაგრძელება იქნება***

ქართული ბიბლიოთეკა

# ღია წერილი ბატონ ბიძინა თავაძეს

ბატონო ბიძინა, დიდი ყურადღებით წავიკითხე თქვენი წიგნი **„ვინ დაწერს ახალ ქვათა ღაღადს“**. კარგად მესმის თქვენი გულის ტკივილისა და სულიერად შეძვრის მიზეზი, მაგრამ არ ვიცი რით დაგამშვიდოთ. მეც თქვენს დღეში ვარ და ამ მიმართულებით საკმაოდ მაქვს დაწერილი წერილები და სტატიები, მაგრამ არ ვიცი მოგეწონებათ თუ არა ისინი თქვენ, რადგან მე-10 საუკუნიდან დაწყებული მიმდინარეობს იბერთა მოდგმის ისტორიის მიზანმიმართული გაყალბება და არ ვიცი რა სიმძლავრითაა გამჯდარი ეს ყალბი ისტორია თქვენს სულიერ სამყაროში.

რაც შეეხება თქვენს მთავარ კითხვას, შემიძლია ერთი წინადადებითაც ვუპასუხო მას: ახალ ქვათა ღაღადს დაწერს ის, ვისაც ეყოფა ვაჟკაცობა და გონიერება აღიაროს ქართველი ერის ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული. ტენდენციური. უფრო ვრცლად კი მოგახსენებთ შემდეგს: სწორედ გაზვიადებულმა, ტენდენციურად დაწერილმა და გაუკუღმართებულმა ქართველი ერის ისტორიამ, კერძოდ, ქართველთა ადამჟამიდან მომდინარე წინაპართათვის – იბერთათვის სახელის შეცვლამ (იბერი-იგერი-ეგერი-ეგრი-მეგრი-მეგრელი) და დამალვამ, ამასთან, სახელშეცვლილ იბერთა (ე.წ. მეგრელთა) ჭეშმარიტ წინაპრად აღიარების ნაცვლად, ადამჟამინდელ, ბუნებისგან ნაკარნახევ ძირისეულ ფორმებზე აგებულ და ამდენად, ღვთიური ენის, იბერიულის (დღევანდელი სახელწოდებით მეგრულის) ქართული ენის გვიანწარმოშობილ დიალექტურ ენად მსოფლიო აღიარების მცდელობამ და ამისთვის, ხანგრძლივ ბრძოლაში, დაცლილ-დაცემული ეროვნული ენერგიის უმწეობამ საფუძველი და სტიმული მისცა საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს და გარე აგრესიულ ძალებს, რომლებსაც უკვე რამდენი საუკუნეა თვალი უჭირავთ ჩვენი წინაპართა სისხლითა და ოფლით მორწყულ სამოთხის სადარ მიწებზე და ქართველ მეცნიერთა უდარდელობითა, თუ გვარგადაკეთებულ სომეხ მეცნიერთა მიზანმიმართული ქმედებებით, ჩამოგვაცილეს კიდეც, თანდათანობით, ჩვენი მშობლიური მიწის დიდი ნაწილი და ყველა წინაპირობაა შექმნილი, თუ მალე გონს არ მოვეგეთ ქართველობა, საერთოდ, შეწყდეს ქართველი ერის არსებობა.

ბატონო ბიძინა, თქვენს წიგნში უამრავ კითხვას სვამთ, რომლებიც მიუთითებენ ქართველი ერისა და საქართველოში მცხოვრებ უმცირესობათა ისტორიის არამხოლოდ გაყალბების ჭეშმარიტებაზე, არამედ უბრალო ალოგიკურობაზეც, მაგრამ, მაპატიეთ და, არც თქვენ მოგსვლიათ აზრად კითხვები: ვინ ვართ და საიდან მოვდივართ ქართველები? რა წილი უდევთ ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფებს ეროვნული სახელმწიფოს შექმნაში? რას ნიშნავს ეთნიკური სახელწოდებანი: იბერი, ქართი, ლაზი, სვანი, მეგრელი? რა წილი უდევთ მათ საერთო სალიტერატურო ენის შექმნაში? როდის შეწყდა იბერიული ენის, როგორც სახელმწიფო ენის არსებობა და როდის გახდა სინამდვილეში, თავისი არსებობის მანძილზე, ქართული ენა, პირველად, სახელმწიფო ენა და მრავალი სხვა კითხვა, რომლებიც მრავალჯერ დამისვამს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისათვის, მაგრამ ერთხელაც არ უფიქრიათ პასუხის გაცემა.

ბატონო ბიძინა, ვერც თქვენ მოგივიდოდათ აზრად მსგავსი კითხვები, თუ ქართველი ერის ჭეშმარიტი ისტორია გგონიათ 2012 წელს აკად. მარიამ ლორთქიფანიძის რედაქტორობით გამოცემული საქართველოს ისტორია, რომელშიც რამდენიმე წლის წინათ გარდაცვლილ აკად-ს ანდრია აფაქიძეს ათქმევინა მტკნარი სიცრუე: **„იბერია ქართლის ელინური სახელწოდებაა“** თორემ ასეთი ეთნიკური სახელწოდება ეროვნულ სინამდილეში არ არსებობდაო.

მოგეხსენებათ, ისტორიული ჭეშმარიტების დასადგენად, არქეოლოგიური მტკიცებულებების შემდეგ, ყველაზე ზუსტ ცნობებს იძლევა ენის არქეოლოგია. ამ ჭეშმარიტებას ადასტურებენ გამოჩენილი მეცნიერები: ა.კონდრატიევი, მარტინ ალონსო, ი. ჯავახიშვილი და ბევრი სხვა. ამ მხრივ უნიკალურია იბერიული (ე.წ. მეგრული) ენა, რომელსაც შემონახული აქვს ბუნებისგან ნაკარნახევი, თითო თანხმოვნით გამოხატული ბგერა-სიტყვები და ბგერათა ჰარმონიული კომპლექსები, რომლებიც და რომელთა განაერთები წარმოადგენდნენ უძველეს არქაულ ხანაში სამეტყველო მასალას. ალბათ, ამიტომ ამბობდა ნიკო მარიც: **„იაფეტურ ენათ ოჯახი საშუალებას გვაძლევს მათი შედარებითი შესწავლის გზით მივაწიოთ, სადაც კაცობრიულ ენას და ცხოველთა მეტყველების ზღვარი ძევს“** (რით ცხოვრობს იაფეტური ენათმეცნიერება, 1923, გვ.40-42). სწორედ, ბგერა-სიტყვები, ბგერათა ჰარმონიული კომპლექსები და მათი განაერთები წარმოადგენენ ჩვენს სალიტერატურო ენაში შემონახული ეროვნული ლექსიკის წარმოშობის საფუძველს. რადგანაც ბგერა-სიტყვები და ბგერათა ჰარმონიული კომპლექსები წარმოადგენენ ეროვნული წარმოშობის ლექსიკის ძირს და, თანაც, სრული მნიშვნელობის მატარებელ სიტყვებს, ხოლო სიტყვის ძირი კი განსაზღვრავს მის მნიშვნელობას, საშუალება გვეძლევა დავადგინოთ ძირისეული ფორმების, მათი განაერთებისა და ეროვნული წარმოშობის ლექსიკის ეტიმოლოგია (შესწავლილი მაქვს 500-მდე ძირისეული ფორმისა და უძველესი სიტყვის ეტიმოლოგია). მაგრამ, რადგანაც ქართულ ენას დავიწყებული აქვს ეს უნიკალური ენობრივი მონაცემები და ვერ ადგენს ეროვნული წარმოშობის ლექსიკის ეტიმოლოგიას, ეროვნული წარმოშობის ლექსიკაც მეგრული ენის არმცოდნე ქართველისათვის ისევე უცხოა, როგორც ქართულ ენაში დამკვიდრებული უცხო (სპარსული, ბერძნული, სომხური, ლათინური, არაბული, თურქული) ენათა ლექსიკა. ამ ჭეშმარიტების საფუძველზე, უცხო ქვეყნების აგრესორთა წარმოდგენაში, ქართველ ერს არა აქვს ეროვნული ენა. ეს ყველაფერი კარგად იციან ჩვენმა მეზობელმა ერებმა და ამიტომ ამბობდა მიხეილ სუსლოვი: **„ქართველებს მეცნიერულად უნდა დავუმტკიცოთ, რომ ისინი სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსახლებული სხვადასხვა ერის წარმომადგენლები არიან, რომ გაგვიადვილდეს მათი გაძევება საქრთველოდან“** (იხ. პარიზის ეროვნული საბჭოს ჟურნალი **„მებრძოლი საქართველო“**, 26 მაისი, 2003 წელი). მაგრამ არსებობს უფრო ძლიერი ჭეშმარიტება, რომელიც აბათილებს ზემოაღნიშნულ **„ჭეშმარი-ტებას“**, ოღონდ, თუ გამოვიყენებთ მას.

საქმე იმაშია, რომ ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკის მხოლოდ 34%-მდეა ეროვნული წარმოშობისა, მაგრამ ეროვნული წარმოშობის ლექსიკის ეტიმოლოგიას ძირისძირამდე ხსნის მხოლოდ იბერიული (ე.წ.მეგრული) ენა; ჩვენი დამწერლობები – მხედრული და ასომთავრული იბერთა შექმნილია (იხ. კოჩა კოლხი, ძველკოლხური ენის საიდუმლოებანი); ამასთან, ქართული ენის გრამატიკა, თითქმის, იბერიულია. შესაბამისად, იბერიული ენის წილი საერთო სალიტერატურო ენაში, არანაკლებ, 70%-ია.

ამდენად, ქართველი ერისა და ქართული ენის ეროვნულობას იბერიული ენა განსაზღვრავს. ამიტომაა ე.წ. ქართული ენა ე.წ. მეგრულებისათვის უფრო მშობლიური, ვიდრე დანარჩენი ქართველებისათვის. ამიტომაა უპრიანი აღდგეს ისტორიული სახელწოდება იბერია, მით უმეტეს, როცა ტერმინი **„ქართი“** იბერიულ ენაში იხმარება ცხოველებთან მიმართებაში და ვისაც ესმის ამ ტერმინის მნიშვნელობა, საზოგადოების ეთნიკური ჯგუფისათვის ასეთი სახელწოდება შეურაცხმყოფელია.

რაც შეეხება იმ ჭეშმარიტებას, რომ მუდამ კეთდება აქცენტი მეგრულ სეპარატიზმზე, რომელიც არ არსებობს, ეს გაღმა შემოდავების ხერხია და მეტი არაფერი. მაგრამ იბერთათვის ურთულეს პერიოდში სახელმწიფო ენის სტატუსის მოპოვებისა და ჰეგემონობის ხელში ჩაგდების შემდეგ (1008წ.), ზემოაღნიშნულ ჭეშმარიტებას იგნორირებას უწევენ **„ქართველი მეცნიერები“**, ჭირის დღესავით ჰზარავთ მისი აღიარება და დაადგნენ ე.წ. ქართველი ერის ისტორიის გაყალბების გზას. ამიტომაა, რომ მეგრული ენის ფენომენის, მისი შესაძლებლობების წარმოჩენა სეპარატიზმად გვეთვლება მეგრელებს. არ ვაზვიადებ: როცა გაიგო, რომ მამაშვილმა ძაძამიებმა გამოსცეს შვიდტომეული **„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“**, ერთმა პროფესორმა ენათმეცნიერების ინსტიტუტში, რამდენიმე მისი სტუდენტის წინაშე, – მოღალატეა მამანტი ძაძამიაო, – წამოიყვირა.

მაგრამ, მოგეხსენებათ, შეუვალია მიზეზშედეგობრიობის კანონი. ისიც მოგეხსენებათ. რომ უმიზეზოდ არაფერი ხდება და ყოველ მიზეზს მისი შესაბამისი შედეგი მოჰყვება. ამიტომ, საბედისწერო შედეგის დადგომამდე, სჯობია შეცდომების აღიარება, რომ გამოვასწოროთ წინაპართა მიერ დაშვებული შეცდომები, ვიდრე ისედაც დეფიციტური ეროვნული ენერგია შევალიოთ ამ შეცდომების დამალვას, მით უმეტეს, როცა მთელმა მსოფლიომ იცის, რომ 523 წლამდე ქართლი მუდამ იბერიის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა; მთელმა მსოფლიომ იცის, რომ მე-2 საუკუნეში, ქართამ პირველის მეფობის დროს, სპარსელთა ვერაგული გეგმითა და წაქეზებით, ქართლი გამოეყო იბერიას და შექმნა არმაზის სეპარატისტული სახელმწიფო (ორმეფობის ხანა), მაგრამ ექვსი მეფის მეფობის შემდეგ იძულებული გახდა ისევ დამორჩილებოდა იბერიას; მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ქართლს სამეფოს სტატუსი, 888, თუ 899 წლამდე არასოდეს ჰქონია; მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ქართის ტომის მთელი არსებობის მანძილზე, ქართლის პირველი მეფეა ადარნასე მეორე ბაგრატიონი; საკმარისია დაწყებითი განათლება, რომ გააკეთო დასკვნა, თუ რა დონეზე იმყოფებოდა ქართული ენა პეტრიწის წინარე ხანაში, როცა პეტრიწის მიერ რეფორმის გატარების შემდეგაც ქართულ ენაზე დაწერილი მისი ნაშრომი იმდენად გაუგებრია, რომ თანამედროვე მკითხველისათვის გასაგები ყოფილიყო, თარგმნა დასჭირდა (თარგმნა პროფ. დამანა მელიქიშვილმა); არაა დიდი განათლება საჭირო, რომ გააკეთო ლოგიკური დასკვნა: ქართული ენა პეტრიწამდე ყოფილა მდაბიო ენა და ამ ენას მანამდე მწერლობა არასოდეს ჰქონია, რადგან დედანში ჩვენამდე მოღწეული წიგნის **„განმარტებანი პროკლე დიოდოხოსის ღმრთის მეტყველების საფუძვლებისა“** ბოლოსიტყვაობაში დადასტურებულია პეტრიწის ეპოქისათვის ქართული ენის მდაბიურობა (**„არავე ცრული სარეცეთა მომდოვრებისა ჩემისათა, და არცა წამი სასუენთა სულისა ჩემისათა, ვიდრემდის არა მომხედნა მე გონებითმა ცისკარმან დღეთადმი, რომელთა ბნელი უმეცრებათაი არღ ენაცვლების; და აღვიშურვე ტომისათვს გუართა ჩემთასა მე მიდმოობაი ენისაი გალექსებული და მესხუეი მდებრიონთაგან “** (იოანე პეტრიწი, შრომები, გამოც. ს. ყაუხჩიშვილისა და შ. ნუცუბიძის მიერ, 1937, გვ. 220) და მას ამ წიგნის თარგმნა იმიტომ დასჭირდა, რომ მომრავლდნენ უმეცარი მთარგმნელები, რომელთა თარგმანებში **„შეუსაბამობათა უსაზღვროობა დაულეველი იყო“**; დიდი განათლება არაა საჭირო, რომ გააკეთო დასკვნა, მაინცდამაინც პეტრიწის მიერ მოღვაწეობის დაწყების წინარე პერიოდში რატომ მომრავლდნენ **„უმეცარი და უნიჭო“** მთარგმნელები, რადგან, როცა საკუთარ ენაზე ლიტერატურა არ არსებობს, ბუნებრივია, სახელმწიფო ენის სტატუსის მოპოვების შემდეგ, პირველ რიგში, ვისაც გული ერჩოდა, უცხო ენაზე არსებული კარგი წიგნების თარგმნას მიჰყოფდა ხელს და სანამ გრამატიკული საშუალებანი დახვეწილი არ იყო, რა თქმა უნდა, **„შეუსაბამობათა უსაზღვროობა დაულეველი“** იქნებოდა; საკმარისია უმარტივესი ლოგიკა, რომ დაასკვნა: ენა, რომელმაც სახელმწიფო ენის სტატუსი, თითქმის, ორი საუკუნის წინათ მიიღო (1075-888=187წ.) და განვითარებისათვის თავისუფალი ასპარეზი მიეცა, კი არ უნდა გაუხეშებულიყო, არამედ განვითარებუიყო და დახვეწილიყო. მაგრამ ქართული ენის შემთხვევაში, სრულიად შეუსაბამო მდგომარეობა გვაქვს: მე-5 საუკუნეში დაწერილი **„შუშანიკის წამება“**, რომელიც ყველაზე უძველეს ქართულ წერილობით ძეგლად რომაა მიჩნეული, იბერიულიდან ნათაგმნიაო, – ხაზგასმით აღნიშნავს წმინდა ექვთიმე თაყაიშვილი (იხ. ექვთიმე თაყაიშვილი, როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ). ამიტომაა იგი ჩვეულებრივი მკითხველისათვის თავისუფლად გასაგები, ხოლო ექვსი საუკუნის შემდეგ მოღვაწე უგანათლებულესი იოანე პეტრიწის ნაშრომი, რომელიც დედანში ჩვენამდე მოღწეული ყველაზე უძველესი ძეგლია, 50% გაუგებარია და თანამედროვე მკითხველისათვის თარგმნა დასჭირდა.

რაშია საქმე? ექვს საუკუნეში, განვითარების ნაცვლად, ენა გაუხეშდა? ამისთანა შეუსაბამობას სერიოზული მეცნიერი არ წაუყრუებს და უკომენტაროდ არ დატოვებს, როცა ეს შეუსაბამობა მარტო ჩვენ კი არ ვიცით, არამედ ჩვენთან მცხოვრებ უმცირესობათა და მეზობელი ქვეყნის მეცნიერებმაც ბრწყინვალედ იციან. ამიტომ არ არის მარტო სურვილი საკმარისი იმისათვის, რომ ერის ისტორია ისეთი იყოს, როგორიც ჩვენ გვინდა. ამისთვის მტკიცებულებებია საჭირო, თორემ, როგორც აკად. მ. ლორთქიფანიძემ, მიტროპოლიტმა ანანია ჯაფარიძემ და ენათმეცნიერმა ტ. ფუტკრაძემ, რომ ისურვეს **„იბერია ქართლის ელინური სახელწოდებაა“**, თორემ ასეთი სახელწოდებით სახელმწიფო ეროვნულ სინამდვილეში არ არსებობდა და ქართული ენა ძვ.წ.აღ-ით ოთხი ათასი წლის წინათ დაწინაურებული ენააო, რომ წერენ, ამაზე შეიძლება მხოლოდ ბრიყვს გამოსტყუო თანხმობა. ჭკვიანი კი მოგთხოვს, დაამტკიცეო. მაგრამ მეგრული ენის იბერიულობისა და პროტოქართულობის დამადასტურებელი ჩემი არგუმენტების მსგავსი მტკიცებულებები ქართული ენის მიმართ არაფერი არსებობს.

ამიტომ, თუ არ შეწყდა, გაღმა შემოდავების მიზნით, მეგრელებისათვის სეპარატიზმის დაბრალება (როცა ე.წ.ქართული ენა, ფაქტიურად, იბერიული ენაა და მეგრელებისათვის უფრო მშობლიურია, ვიდრე დანარჩენ ქართველთათვის, ვერ წარმოგვიდგენია, როგორ შეიძლება იგი თავისთავს გამოეყოს), მოსკოვში, თურმე, გამზადებული დევს მეგრული ენის გრამატიკა და საკმარისია, ვინმემ გაღიზიანებულმა და გაბრაზებულმა (როცა დანარჩენი ქართველები არ არსებულ მეგრულ სეპარატიზმზე ხმას არ იღებენ), გარე აგრესიულ ძალთა მიერ შემუშავებული ვერაგული გეგმა (მეგრელთათვის გამაღიზიანებელი სეპარატიზმის დაბრალება) ქართველთა ნამოქმედარად იგულოს (მიუხედავად იმისა, ამას ქართული გაზეთები წერენ, ჯერ კიდევ, აგრესორთა ვერაგობა გვგონია) და სიტყვა ჩამოაგდოს სამეგრელოს საქართველოდან გამოყოფაზე, რომ უმალ რუსის ჯარი რიონის სანაპიროზე ჩადგეს, რომლის შემდეგ ერთი დღე არ იარსებებს საქართველო. ამიტომაა აუცილებელი, ვისაც ე.წ. ქართული ენა (ის ფაქტიურად ახალი იბერიული ენაა) მშობლიურ ენად მიაჩნია, უნდა შეისწავლოს და სხვებსაც შეასწავლოს ამ ენის ძირი და არსი, თორემ მისი ზეპირად ცოდნა და გაუცნობიერებელი ხოტბა-დიდება არ არის საკმარისი ეროვნული ენერგიის მოსაკრებად და, თანდათანობით, იბერიული ენის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხელიდან ისიც გამოგვეცლება, რაც დღემდე შემოგვრჩა.

ამდენად, იბერთა ჭეშმარიტი ვინაობის დამალვითა და ამით საკუთარი ფესვების მოჭრით, მათ, **„ქართველმა მეცნიერებმა“** ქართველი ერი უსაძირკვლო ტაძარს დაამსგავსეს და მის გადაშენებას ჩაუყარეს საფუძველი. ეს ბრწყინვალედ იციან ჩვენი მეზობლებისა და საქართველოში მცხოვრებ უმცირესობათა მეცნიერებმა და ამიტომაც აქვთ დიდი გული, ამიტომ იფერებენ, ურცხვად, აბორიგენობას და გვეუბნებიან: აბორიგენები ჩვენ ვართ, თქვენ კი [ციდან ჩამოფრენილი] პარაშუტისტები ხართო. მაგრამ **„ცერცვი აყარე კედელს“**, რამდენიც არ შეეკითხო, რამდენიც არ მისწერო კოლექტიური წერილები ე.წ. მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, ყურსაც არ იბერტყავენ, თითქოს, არაფერი არ წაუკითხავთ, არაფერი გაუგონიათ; რომ შეეკითხო, მეგრული ენა არ იციან და არც უნდათ იცოდნენ. ე.ი. მათთვის ე.წ. მეგრული ენა პროტოქართული კი არა, ერთერთი უბრალო უცხო ენაა. ასე რომ, ძალზე ნოყიერი ნიადაგი აქვთ შექმნილი ჩვენს მიწაწყალზე კბილებაკაწკაწებულ აგრესო-რებს მისი დაუფლებისათვის.

მაგრამ, ბატონო ბიძინა, თუნდაც, ხვალვე, რომ წყდებოდეს ქართველი ერის არსებობა, სამწუხაროდ, ისტორიულად არსებული ქართლური სეპარატიზმის სინდრომი ისე ძლიერაა გამჯდარი ქართლელი საზოგადოების უმრავლესობის სისხლსა და ხორცში, რომ ძალზე მეეჭვება გამოჩნდეს რაინდული სულის მატარებელი მამულიშვილი, მეცნიერი, რომელიც აღიარებს ქართველი ერის ჭეშმარიტ ისტორიას და დაწერს ახალ **„ქვათა ღაღადს“**. სიმართლე რომ გითხრათ, არც თქვენგან ველი სენსაციას, მაგრამ, ვფიქრობ, სხვებივით მაინც არ წაუყრუებთ ჩემს მიერ გაცხადებულ ჭეშმარიტებას და, თუ მეცნიერებს ვერ დაძრავთ ადგილიდან, ფართო საზოგადოების მსჯელობის საგნად მაინც გახდით მას.

**კუკური ფიფია,**
**„ფაზისის“ და „აიას“ საერო-სამეცნიერო აკადემიების წევრი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაცია „კოლხეთის“ ვიცე-პრეზიდენტი**

# მარტოხელა მოგზაურთა წარმოუდგენელი რეკორდები და ქართველი, რომელიც ყველაზე თავზეხელაღებულ მოლაშქრეთა შორის მოხვდა

ბევრის აზრით, თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში მოგზაურობამ აზრი დაკარგა. დრო, როდესაც მსოფლიო რუკა **"თეთრი ლაქებით"** იყო აჭრელებული, წარსულს ჩაბარდა. მიუხედავად ამისა, მსოფლიოს მასშტაბით არაერთი თავზეხელაღებული მოგზაური მოიძებნება, რომელიც საკუთარი თავისა და მსოფლიოსთვის ადამიანის შეუზღუდავი შესაძლებლობების დასამტკიცებლად, პლანეტის დასალაშქრად მარტო მიეშურება.

### ფიოდორ კონიუხოვი

65 წლის მარტოხელა მოგზაური პირველი რუსია, რომელმაც ჩრდილო და სამხრეთ პოლუსები დალაშქრა და პირველი ადამიანია დედამიწაზე, რომელმაც ხუთივე პოლუსი მოიარა. პირველ ორთან ერთად მან – ჰორნის კონცხი (იახტსმენების პოლუსი), ევერესტი (სიმაღლის პოლუსი ალპინისტებისთვის) და ანტარქტიდაში მდებარე მიუდგომლობის პოლუსი დაიპყრო. დედამიწის გარშემო იახტით კონიუხოვმა ოთხჯერ იმოგზაურა. 2016 წლის 12 ივლისს, ერთწლიანი მომზადების შემდეგ, საჰაერო ბურთით დედამიწის გარშემო მოგზაურობაში გაემგზავრა. 11 დღის 4 საათის და 20 წუთის შემდეგ ის ავსტრალიაში წარმატებით დაეშვა და საჰაერო ბურთით დედამიწის გარშემო მოგზაურობაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

### ბეარ გრილსი

სახელგანთქმული ბრიტანელი დიპლომატების შვილმა განათლება ლონდონის ყველაზე პრესტიჟულ უნივერსიტეტში მიიღო. ექსტრემალურ პირობებში გადარჩენის მეთოდებს ბეარ გრილსი ჯარში დაეუფლა, სადაც პარაშუტით ხტომა და ალპინიზმი აითვისა. მიღებული ცოდნა მას ევერესტის დაპყრობაში დაეხმარა. 2000 წელს მან, ქველმოქმედების მიზნით, ნავით ბრიტანეთის კუნძულების გარშემო იმოგზაურა. სამი წლის შემდეგ კი მარტომ, რეზინის გასაბერი ნავით ჩრდილო ატლანტიკა გადაცურა. მის მიღწევებში ასევე ანხელის ჩანჩქერის თავზე მოტოპარაპლანით გადაფრენა და 7600 მ-ის სიმაღლეზე საჰაერო ბურთზე გამართულ ოფიციალურ სადილში მონაწილეობა შედის. ბეარ გრილსის თითქმის ყველა ექსპედიცია და მოგზაურობა საქველმოქმედო ხასიათისა იყო.

### დები სანდერლენდი

დედამიწის გარშემო სამოგზაუროდ ის 16 წლის ასაკში გაეშურა. პირველი წარუმატებლობის შემდეგ, მან ფარ-ხმალი არ დაყარა და მსოფლიო ოკეანის დასაპყრობად ხელმეორედ 2010 წლის 6 თებერვალს გაემგზავრა. ავსტრალიასა და აფრიკას შორის ყოფნისას, მარტოხელა მოგზაურმა რადიოთი ძრავასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ გადმოსცა. ამის მერე მასთან კავშირი გაწყდა. უშედეგოდ დასრულებული სამაშველო სამუშაოების შემდეგ, სანდერლენდი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ჩათვალეს. თუმცა 1 თვის შემდეგ ინდოეთის სანაპირო დაცვის სამსახურმა გაუჩინარებული მოგზაურისგან SOS შეტყობინება მიიღო. შტორმის მიუხედავად, მაშველებმა დები სანდერლენდის გადარჩენა შეძლეს.

### ჯეისონ ლუისი

ის მსოფლიოში პირველი ადამიანია, რომელმაც პლანეტის გარშემო მატარებლების, თვითმფრინავების, გემებისა და ავტომობილების დახმარების გარეშე იმოგზაურა. ტრანსპორტის სახით ლუისი მხოლოდ როლიკებს, ველოსიპედს, ნავს და საკუთარ ფეხებს იყენებდა. ექსპედიცია 1994 წელს ქალაქ გრინვიჩში დაიწყო. მეწყვილედ 27 წლის ლუისმა საკუთარი მეგობარი სივ სმიტი აიყვანა. 1996 წელს აშშ-ში როლიკებით მოძრავ ლუისს მანქანა დაეჯახა და მან 9 თვე საავადმყოფოში გაატარა. გამოჯამრთელების შემდეგ ის ჰავაის კუნძულებზე გაემგზავრა, საიდანაც ავსტრალიამდე ოკეანე პედლებიანი ნავით გადაცურა.

შუა გზაში ბრიტანელი მოგზაური სოლომონის კუნძულებზე გაჩაღებულ სამოქალაქო ომის ეპიცენტში მოხვდა, ავსტრალიის ნაპირებთან კი ალიგატორი დაესხა თავს. ფინანსური პრობლემების მოგვარებისა და ვალების გასტუმრებისთვის, ჯეისონს სამსახურის დაწყება მოუხდა. 2005 წელს მოგზაური სინგაპურში, იქიდან კი ჩინეთის გავლით, ინდოეთში გადავიდა. აფრიკის ველოსიპედით მოვლის შემდეგ, ამავე ს ა ტ რ ა ს ნ პ ო რ ტ ო საშუალებით მან რუმინეთში, ბულგარეთში, ავსტრიაში, გერმანიასა და ბელგიაში იმოგზაურა. შემდგომ ლა-მანში გადაცურა და 2007 წელს ლონდონში დაბრუნდა.

მისი მოგზაურობა 13 წელიწადს გაგრძელდა.

### ჯუმბერ ლეჟავა

ქართველი სპორტსმენი, მოგზაური და რეკორდსმენი 1939 წელს თბილისში დაიბადა. მოგზაურობებით გატაცება 1987 წელს გადატანილმა რთულმა ოპერაციამ განაპირობა. სწრაფი გამოჯამრთელების მიზნით, მან ვარჯიშების საკუთარი სისტემა შეიმუშავა. 1993 წლის 13 აგვისტოს, ქართველი მოგზაური მსოფლიოს დასაპყრობად გაეშურა. 3333 დღის განმავლობაში მან გადალახა აზიის, ავსტრალია-ოკეანეთის, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის, აფრიკისა და ევროპის 234 სახელმწიფო. ის ორჯერ ეწვია ანტარქტიდას. მოგზაურობის განმავლობაში მან გადაიღო 50 ათასზე მეტი ფოტო, 200 სთ-ზე მეტი ხანგრძლივობის ვიდეო ფირი. საკუთარი მოგზაურობის დეტალები მან 7 ათას ფურცლიან დღიურში აღწერა.



# 300 ლარად მოჭრილი საკუთარი თავი და ქვეყანა

*(გაგრძელება მე-2 გვერდიდან)*

ომის შემდეგ სააკაშვილის მიერ გაკეთებულმა ისტერიულმა და აგრესიულმა განცხადებებმა – განდგომილი ყოფილი ავტონომიების ძალით დაბრუნებასთან დაკავშირებით, გამოიწვია რუსეთის მხრიდან მათი დამოუკიდებლობის აღიარება. სააკაშვილმა დააგვირგვინა საქართველოს დანაწევრების პროცესი, რომელიც შევარდნაძემ 1992 წელს, თბილის-სოხუმის რკინიგზის მაგისტრალის დაცვის საბაბით, საბრძოლო მოქმედებათა თეატრად აქცია.

ქვეყნებს ახასიათებთ საკუთარი დანაშაულის სხვაზე გადაბრალება. ხშირ შემთხვევაში მსგავსი ქმედება მხოლოდ საშინაო მოხმარებისთვის თუ გამოდგება და არა საერთაშორისო სარბიელისთვის. საერთაშორისო პოლიტიკურმა არენამ რახანია საქართველო ომის დამწყებად ცნო, ეუთოს ეგიდით მყოფი რუს მშვიდობისმყოფელთა მხოცველად, რითაც უხეშად დაარღვია საერთაშორისო ხელშეკრულება.

ავტორს ვურჩევ ისრაელელი პუბლიცისტის ლევ გუნინის ნაშრომის წაკითხვას აგვისტოს ომთან დაკავშირებით, სადაც უდიდესი სიზუსტით არის გადმოცემული ომამდელი, ომის დროინდელი და შემდგომი ვითარება. და კიდევ ერთი რამ. წამით წარმოვიდგინოთ, რას მოიმოქმედებდა **„დემოკრატი"** აშშ-ი, მექსიკას რომ გაებედა მისთვის ის, რაც საქართველომ გაუბედა რუსეთს?!

ავტორს ჩეჩნეთის ისტორიაც მოჰყავს: **„გახსოვთ ალბათ მეორე ჩეჩნური ომის წინ (მოსკოვმა) საცხოვრებელი სახლები ააფეთქა მოსკოვსა და რიაზანში. ასობით უდანაშაულო რუსი დაიღუპა. ეს ჩეჩნებს დააბრალა და დაიწყო ომი."**

შენ დაუკარ! **„ვეთაყვანებოდი"** ავტორის კონსპიროლოგიურ მოსაზრებას, სრული აბსურდი და გადაქანებული აზროვნება რომ არ იყოს. კიროვის ბაღის ჭორიკნობის დონეზე პოლიტიკური მოვლენების **„გაანალიზება"** – სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

მოსკოვის **„ბოროტი ქმედების"** ავტორისეული შეფასება უდავოდ ჰგავს აშშ-ში ცნობილი ტერაქტების ბუშზე გადაბრალებას, თითქოს მან მოაწყო ტერაქტები ერაყზე და ავღანეთზე იერიშის მისატანად.

**„რუსეთი ვერასდროს ეგუებოდა და ვერც ახლა ეგუება ერთხელ დაპყრობილი მიწის დაკარგვას",** – წერს ავტორი და ავიწყდება, რომ რუსეთმა საკუთარი ტერიტორიების უდიდესი ნაწილი, დიდი ქალაქის ხარკოვის ჩათვლით, უკრაინას გადასცა. ამ აქტს ლენინის დროს ჰქონდა ადგილი. რუსეთის იმპერიის ნაწილს ფინეთს კი დამოუკიდებლობა არგუნა. უფრო მეტიც, ხრუშჩოვის ვოლუნტარისტული გადაწყვეტილებით იმავე უკრაინას ყირიმის ნახევარკუნძული **„უფეშქაშა"**. და რომ არა დღევანდელი ფაშისტური უკრაინის მხრიდან, საკუთარი მოსახლეობის ანტირუსული შევიწროება, ყირიმში არავითარ რეფერენდუმს ადგილი არ ექნებოდა. არც ყირიმელები მოითხოვდნენ დედა სამშობლოში დაბრუნებას.

რომ არა რუსეთი და მისი პოლიტიკური ელიტა, ვინ დაშლიდა საბჭოთა კავშირს?! საბჭოთა კავშირი სწორედ ცენტრიდან დაიშალა, რითაც რუსეთს უდიდესი ზარალი მიადგა. მანამდე კი რუსეთმა სოციალისტური ბანაკი დაშალა და თვალი დახუჭა აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ქვეყნების ნატოსა და ევროკავშირში შესვლაზე.

ვინც პოლიტიკაშია ჩახედული და არ არის აყოლილი დასავლურ ანტირუსულ პროპაგანდას, მისთვის კარგად არის ცნობილი, რომ რუსეთი დაკარგულს არ მისტირის. ერთადერთს, რასაც ითხოვს – ამ ქვეყნების ტერიტორიები არ გადაიქცეს ნატოს ჯარების პლაცდარმად, რაც უდავოდ დაარღვევს მსოფლიოში არსებულ ძალთა ბალანსს. ძალთა ბალანსის დარღვევა კი ომს ნიშნავს.

ყოველგვარ ეთიკურ ნორმებს შორდება ავტორის მოსაზრება რუსეთის ინტელიგენციასთან დაკავშირებით. აი, რას წერს ის: **„ხარობს მთელი რუსეთი თავის „ინელიგენციანად", რომელიც ორი საუკუნის მანძილზე დაეთრეოდა საქართველოში, გულუბრყვილო მასპინძლების ხარჯზე ძღებოდა და თვრებოდა, მერე ზოგი გვაგინებდა, ზოგიც მომავალში კიდევ გაძღომის იმედით გვაქებდა".**

ეს მოსაზრება ვგონებ კომენტარსაც არ საჭიროებს, იმდენად ზუსტად გადმოსცემს ავტორის შეზღუდულ გონებას, სიხარბეს, ანჩხლი დედაკაცის წამოყვედრებას, რასაც თბილისის ძველ ეზოებშიც აღარ აქვს ადგილი. უფრთხილდით ბატონებო მას. არ ესტუმროთ სახლში, თორემ თქვენც ისე გამოგთათხავთ, როგორც რუს **„ინტელიგენტს"**.

ვაი, ჩვენს თავს! ვერ ვიფიქრებდი, რომ სტუმარ-მასპინძლობით ცნობილ საქართველოში ავტორის მსგავსი ადამიანიც იქნებოდა, რომელიც თავშეუკავებლად, გაზეთის ფურცლებზე საკუთარი ქვეყნის სახელგანთქმულ მასპინძლობას მიაყენებდა შეურაცხყოფას და სტუმარს ლუკმა-პურს დაამადლიდა. მაინც, რამდენად შეიძლება გადაგვარდეს ადამიანი?!

ავტორის **„შემოქმედებაში"** უამრავი უმადურობის, ფალსიფიკაციის, დაყვედრების მომენტია, ორღობის ჭორიკნობის შესაფერისი. ირაკლი, ვაშა თქვენს მარჯვენას. ამ **„ნაშრომით"** გამოგვაფხიზლეთ. 300 ლარად (ამდენი გადაუხადა მან გაზეთს) მოჭრილი საკუთარი თავი ჰქვია ამ **„შემოქმედებას"**, რომელიც არამარტო ავტორს ჭრის თავს, ქვეყანასაც, რაც შემაშფოთებელია.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი**

***დღეს, როცა საქართველოს დემოგრაფიული მძიმე დღეები უდგას და მრავალ გარემოებათა გამო მისი მოსახლეობა კატასტროფულად მცირდება, ეთნიკურად და სულიერად არაქართველები, ქართველი ხალხის დაუძინებელი მტრები და სრული არარაობები ზურაბ ჯაფარიძე, გოგა ხაჩიძე და მათი სულაძაღლებული ამფსონები მძლავრ პროპაგანდას ეწევიან ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციისათვის. დიახაც რომ ვალდებულია საქართველოს ხელისუფლება ციხის გზას გაუყენოს ყველა არამზადა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს "გირჩის" ოფისში კანაფის დათესვაში. ის, თუ რაოდენ დიდ საფრთხეს უმზადებს ახალგაზრდობას ნებისმიერი ნარკოტიკი, ასახულია ქალბატონ ლალი პაპასკირის წერილში, რომელსაც უცვლელად ვთავაზობთ გაზეთ "ილორის" მკითხველებს.***

# სიკვდილის ახალი გზა – თბილისში ბიონარკოტიკის უცნობი სახეობა გამოჩნდა (!?)

**"რადგან ნარკოტიკის შემადგენლობა გაურკვეველია, მოხმარება სიცოცხლისთვის განსაკუთრებით საშიშია"!**

**თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მტრის, ნარკოტიკების სხვადასხვა სახეობა, პერიოდულად, სხვადასხვა ფორმით ვრცელდება... ნარკომანია საქართველოშიც ერთ-ერთი უდიდესი სოციალური პრობლემაა.**

**ნარკოსპეციალისტების თქმით, დეკემბრის შუა რიცხვებიდან მოყოლებული, თბილისში დაფიქსირდა 6-7 შემთხვევა, როდესაც ჯერჯერობით უცნობი ბიონარკოტიკის ახალი ნაირსახეობის მომხმარებლის მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა და ფატალურადაც დასრულდა. სპეციალისტები ვერ ასახელებენ მის სახელს და მოსახლეობას აფრთხილებენ: "ვინაიდან მისი შემადგენლობა გაურკვეველია, მოხმარება სიცოცხლისთვის განსაკუთრებით საშიშია"!**

სარწმუნო წყაროს ინფორმაციით: **"ეს არის თეთრი ფხვნილი, რომელსაც ეწევიან კიდეც და წყალშიც ხსნიან და ისე იღებენ. თუმცა მისი შემცველობა ჯერჯერობით უცნობია... ბიოს ამ ახალ სახეობას, მომხმარებლები ინტერნეტით იწერენ".**

სხვა ინფორმაცია, თუ კიდევ რა გზებით მოიპოვებენ მოხმარებლები მას და უკვე გავრცელდა თუ არა ღამის კლუბებში, არ არსებობს...

ჩვენივე წყაროს ცნობით: **"ვინაიდან ნარკოტიკის მოქმედების პერიოდი ხანგრძლივი არ არის, ახალგაზრდები მას დღეში რამდენჯერმეც მოიხმარენ. რამდენიმე დღის წინ, აღნიშნული ბიონარკოტიკის მიღების შემდეგ, მომხმარებელი ცუდად გახდა. როგორც გავარკვიე, მას "ნარკანი" გაუკეთეს, რაც შეცდომა იყო, რადგან ამ პრეპარატს მხოლოდ ჰეროინის ზედოზირების დროს უკეთებენ. საბოლოოდ, ახალგაზრდა გარდაიცვალა..."**

სპეციალისტების თქმით, ვინაიდან საქმე გვაქვს უცნობ ნივთიერებასთან, შესაბამისად, სასწრაფოს დახმარების ექიმებმაც არ იციან, ასეთ შემთხვევაში რა ტიპის მედიკამენტი თუ ნივთიერება გამოიყენონ, რათა ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინონ.

შევეცადეთ, გაგვერკვია, თუ რა შესაძლო ზომების მიღება შეიძლება ასეთ სიტუაციაში, რათა ადამიანის სიცოცხლე გადარჩეს, ამის გასარკვევად ნარკოლოგ, ირინა ამნიაშვილს დავუკავშირდით:

– მეც მაქვს ინფორმაცია, რომ ამ ახალი ბიონარკოტიკის მიღების შედეგად ახლახან ახალგაზრდა კაცი გარდაიცვალა... საქმე ის არის, რომ ეს ძალზე გავრცელებული **"ნარკანი"**, რომელსაც **"ზედოზირების"** დროს ადამიანებს უკეთებენ, მოქმედებს, მხოლოდ ოპიონიდების ჯგუფზე. თუმცა, ჩვენ ვიცით, რომ მან მოწია სინთეზური კანაფი...

**– რაც შეეხება პრევენციას, თუ არსებობს ანტიდოტი, რაც ასეთ შემთხვევაში მოხმარებელს გადაარჩენს?**

– ანტიდოტი, ეს იქნება ნატურალური თუ სინთეზური ნაროტიკი, მსოფლიოში არ არსებობს. ერთადერთი გამოსავალი არსებობს, – ტოქსიკოლოგიურ განყოფილებაში ან რეანიმაციაში გადაყვანა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ძალიან სერიოზული გართულებები მოჰყვეს, – ტაქიკარდიით იწყება და შესაძლოა განვითარდეს გულის ინფარქტიც. სიმპტომები კი ასეთია: ღებინება, გულის რევა, წნევის აწევა, თირკმლის უკმარისობა და ბოლო სტადია – კომა... ასე რომ, პაციენტს, ტოქსიკოლოგიის ცენტრში ან რეანიმაციაში ჩემს მიერ ჩამოთვლილი ყველა სიმპტომის შესაბამისი მედიკამენტი უნდა გაუკეთდეს. გარდა სიმპტომატური მკურნალობისა, სხვა გამოსავალი არ არსებობს... ვცდილობთ გავარკვიოთ, თუ რა ტიპის ბიოა შემოტანილი, თუმცა, მის შესახებ ძალიან მცირე ინფორმაცია გვაქვს და ისღა შეგვიძლია, საზოგადოება გავაფრთხილოთ, – ნუ გარისკავთ!

**ლალი პაპასკირი**

# ვინ შექმნა მემორიალი ილიას საფლავისთვის...



იაკობ ნიკოლაძე ის ქართველი ასისტენტია, რომელმაც პარიზში ცხოვრებას სამშობლოში დაბრუნება არჩია, მიუხედავად დიდი პერსპექტივისა საზღვარგარეთ. ცნობილი ფრანგი მოქანდაკის გავლენის ქვეშ მოქცეულმა, საკუთარი ინდივიდუალური გზის პოვნით მოტივირებულმა, საქართველოში პირველი ქართველი პროფესიონალი მოქანდაკის სახელი დაიმკვიდრა.

### როდენისა და ნიკოლაძის ქუჩები

ქართული რეალისტური ქანდაკების ფუძემდებელი, თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი პირველი პრორექტორი, აკადემიკოსი და პროფესორი იაკობ ნიკოლაძე ვერაზე ცხოვრობდა.

ბინა-სახელოსნო მოქანდაკის დაკვეთით აშენდა, რომელშიც შუქი კარგად აღწევდა. ერთხელაც, კარზე დააკაკუნეს. მთავრობიდან იყვნენ. უცხო კაცმა მასპინძელს უთხრა: **„ამ ქუჩას თქვენი სახელი უნდა დავარქვათ". „მესიამოვნება, თუ ქუჩას ჩემი მასწავლებლის სახელს დაარქმევთ – ოგიუსტ როდენი",** – უპასუხა მოქანდაკემ. კაცმა თავი დაუქნია, მიტრიალდა და წავიდა. მეორე დღესვე ქუჩას ოგიუსტ როდენის სახელი დაარქვეს. მეორე მხარეს, პარალელურად, მოქანდაკის სახლში შესასვლელი ქუჩა იაკობ ნიკოლაძის სახელობის გახდა და მას შემდეგ, მოქანდაკე სტუმრებს თავისთან ასე პატიჟებდა: **„მობრძანდით, ჩემი სახელობის ქუჩა №18-ში..."**

### მეცამეტე შვილი

იაკობი ქუთაისში დაიბადა. ის ოჯახის მეცამეტე შვილი იყო. უწინ ბავშვები მცირე ასაკში ხშირად იღუპებოდნენ და არც იაკობის ოჯახი აღმოჩნდა გამონაკლისი – მხოლოდ ოთხი ბავშვი დადგა ფეხზე. იაკობს მამა ადრე გარდაეცვალა. ხატვისა და ძერწვისადმი ინტერესი სკოლის ასაკში გამოუვლენია. პირველად ყვავილი დაუხატავს და ხელი ასე მოუწერია – **"ჩემი ნახატი"**.

დედამ იაკობი ქუთაისის გიმნაზიაში შეიყვანა, შემდეგ უფროსმა ძმამ ბათუმში წაიყვანა, სადაც იაკობი სახელოსნო სასწავლებელში სწავლობდა. ერთი პერიოდი ოდესაში ცხოვრობდა, შემდეგ ისევ ბათუმში დაბრუნდა და იქიდან საფრანგეთში გაემგზავრა. ორი წელი მოსკოვის სტროგანოვის სამხატვრო სასწავლებელშიც გაატარა, მაგრამ როგორც თავად აღწერდა, იქაურმა სწავლების კურსმა და მიმართულებამ არ დააკმაყოფილა. იაკობს საფრანგეთში გამგზავრებაში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დაეხმარა. მომავალი მოქანდაკე განათლების მისაღებად დავით სარაჯიშვილის დანიშნული სტიპენდიით წავიდა.

### წერილი დედას

იაკობი ბათუმიდან სტამბოლში, იქიდან კი მარსელში მიმავალი გემების ყველაზე იაფფასიანი ბილეთით გაემგზავრა. პარიზში ჩასული იაკობი დედას სწერდა:

**„საყვარელო დედა ბატონო!**

**პირველად თქვენს სიცოცხლეს ღმერთსა ვთხოვ. თუ ჩემს ამბავს იკითხავთ, კარგად ვარ. დღეს ჩამოვედი პარიჟში – მარსელიდან. სტამბოლიდან გამოვედი ოთხშაბათს და სამშაბათს მარსელში ჩამოვედი და მეორე დღეს აქა... ოთახი ვიქირავე მეოთხე სართულზე, 15 ფრანკად. ე.ი. ექვს მანათად თვეში.**

**სადილი, ვახშამი, ყავა (აქ ჩაი არ არის, როგორც სტამბოლში) სულ 70 ფრანკად. ე.ი. ოცდარვა მანათად თვეში. შეიძლება ეს ძვირი იყოს, მაგრამ ვეცდები იაფიანი ვიშოვო. სახლის ქირა წინდაწინ გამომართვეს, სადილის კი თვის დამლევში უნდა მივცე...**

**აქ სულ სამი წელიწადი დავრჩები. თქვენ იცით, როგორ არ დამივიწყებთ. რა არის, რომ ერთი წერილი ვერ მომწერეთ. სხვა რა მოგწეროთ, დედა. მალევე მოგწერთ პარიჟის ვითარებას... მხოლოდ ვიტყვი, რომ აქ სამოთხე ყოფილა. შენი მორჩილი შვილი იაკობი".**

### როდენთან პარიზში

მის სტუდენტობას ფუფუნებაში ნამდვილად არ გაუვლია. თუმცა, იაკობმა პარიზის ხელოვნების აკადემია რომ დაამთავრა, საფრანგეთიდან წამოსვლა არ უნდოდა. ფიქრობდა, რომ თავის საქმეში ჯერ კიდევ არ ჰქონდა საკმარისი ცოდნა. იაკობის და საფრანგეთში, კემულარიაზე იყო გათხოვილი და ერთხანს სიძესთანაც ცხოვრობდა. მას პარიზის კაზმული ხელოვნების აკადემიაში საკმაოდ ცნობილი მხატვრები ასწავლიდნენ: ალექსანდრე ფალგიერი, ანტონ მერსიე, თუმცა, როდენმა ყველა დაჩრდილა...

იაკობმა მცირე ხანს იტალიაშიც იცხოვრა, რის შემდეგაც, მუშაობას საფრანგეთში, როდენთან იწყებს. თუმცა, მანამდე იაკობი ორ მოქანდაკესთან მივიდა და მათ მუშაობაში დახმარება შესთავაზა. არ მიიღეს, რადგან ბევრი ასისტენტი ჰყავდათ. ცნობილია, რომ როდენს ყოველთვის ერთი ასისტენტი ეხმარებოდა და ეს საკმაოდ რთული მისია იყო. მკაცრ და თავისებური ხასიათის შემოქმედთან ერთ თვეს თუ გაძლებდი, ეს უკვე ბევრს ნიშნავდა. რუსეთის სათვისტომოს თავმჯდომარე გოლუბევის დახმარებით, იაკობმა როდენის გაცნობა შეძლო. მან უთხრა, ბაღში გასულიყო და ქვაზე მისი რომელიმე ნამუშევარი გადაეტანა. იაკობმა როდენის **"იოანე ნათლისმცემლის თავი"** ამოარჩია, მარმარილოში თვე-ნახევარში გამოაქანდაკა და აკადემიაში მიუტანა. როდენს ნამუშევარი მოეწონა და უთხრა, თუ დილით ადრე ადგომა შეეძლო, მასთან ვილაში მისულიყო და ასისტენტობა გაეწია. როცა იაკობი მეორე დილას, თავისი ინსტრუმენტებით როდენთან მივიდა, კარი გაიღო და იქიდან გამოვიდა კაცი, რომელიც როდენს ეხმარებოდა. იაკობს უფიქრია, – ალბათ ცოტა ხანში მეც ამგვარად გამიშვებსო, მაგრამ ასე არ მოხდა. იაკობმა მასთან წელიწადი და სამი თვე გაატარა, შემდეგ თვითონ გადაწყვიტა წამოსვლა და ამის მიზეზი ილიას მკვლელობა იყო. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრებს უნდა გადაეწყვიტათ, თუ ვინ დადგამდა ილიას გარდაცვალების შემდეგ მის საფლავზე ძეგლს. ამ შეკრებას დავით სარაჯიშვილიც ესწრებოდა. მას უთქვამს, საფრანგეთში ახალგაზრდა მოქანდაკე რომ გვყავს, ეს ნამუშევარი მას დავუკვეთოთო. ასეც მოხდა და მთაწმინდის პანთეონში, ილიას საფლავის მონუმენტური ნამუშევარი **„მწუხარე საქართველო"** იაკობს დაამზადებინეს. დავით სარაჯიშვილი საფრანგეთში რომ ჩადიოდა, თურმე, იაკობსაც მოინახულებდა ხოლმე და იმ პერიოდში იაკობს მისი ბიუსტიც გაუკეთებია.

რამდენიმე წლის წინ, იტალიაში ვილა ბორგეზე იაკობის შესრულებული რუსთაველის ბიუსტი დადგეს; შემდეგ ბათუმში, ზღვისპირა ქალაქის განახლებისას, იგივე ნამუშევარი გაიხსნა – მხოლოდ, შოთა რუსთაველის ბიუსტი აქ მოოქრული სახითაა. ასევე, ბათუმში დაიდგა მოოქრული და ზომებში გაზრდილი **„მოცეკვავეს"** ფიგურა, რომელიც იაკობ ნიკოლაძემ პარიზში, 1905 წელს შექმნა.

### შემოქმედება

XIX-ს ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში, ნიკოლაძემ პირველმა შემოიტანა ევროპული სულისკვეთება და საფუძველი ჩაუყარა ქართული ქანდაკების განვითარებას. მისი ნამუშევრების ნაწილი საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია დაცული, უფრო დიდი ნაწილი კი სახელოსნოში, სადაც მოქანდაკის შექმნილი ქანდაკებები, ბიუსტები, პორტრეტები და სხვადასხვა ფიგურაა.

მართალია, ის არაერთი ძეგლისა და ფიგურის ავტორია, მაგრამ მაინც პორტრეტისტად ითვლება. 1897 წელს ნიკოლაძე შოთა რუსთაველისა და ალექსი-მესხიშვილის პორტრეტულ გამოსახულებებს ქმნის, რის შემდეგაც, ის საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. მოქანდაკის საუკეთესო ნამუშევრებს შორის არის რამდენიმე პორტრეტი-ბიუსტი, მათ შორის: XII საუკუნის ქართველი მოაზროვნისა და პოეტის – ჩახრუხაძის, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, ეგნატე ნინოშვილის, ნოე ჟორდანიას ბიუსტი და სხვა.

### ოჯახი და სიცოცხლის ბოლო წლები...

იაკობ ნიკოლაძე გონებამახვილი და არტისტული ხასიათის ყოფილა. მის ფოტოებს რომ დააკვირდეთ, ნახავთ, თუ როგორ პოზირებს ყველა ფოტოზე: ქანდაკებასავით დგას და ჩამოყალიბებული აქვს კომპოზიცია.

იაკობის პირველი მეუღლე სალომე სულხანიშვილი გახლდათ, რომელთანაც სამი შვილი ჰყავდა: თეონა, ირაკლი და მაია. სამწუხაროდ, ვაჟი მცირე ასაკში გარდაიცვალა. მოგვიანებით, ის გერმანელ ქალბატონზე დაქორწინდა, რომელთანაც ტყუპი ეყოლა, მაგრამ ბავშვების სიცოცხლე ამ შემთხვევაშიც ხანმოკლე აღმოჩნდა. სამი გარდაცვლილი შვილის მამა მთლიანად მუშაობაზე გადაერთო. სურდა, რაც შეიძლება მეტი მოსწავლე აღეზარდა ქანდაკების სფეროში.

სიცოცხლის ბოლო წლებში იაკობს ფილტვები აწუხებდა. აკადემიის სტუდენტები მოსანახულებლად ხშირად აკითხავდნენ და ხურმა მოჰქონდათ, – ფილტვებისთვის კარგიაო. ერთხელ სტუდენტებს მისთვის ხაშიც მოუტანიათ. მეუღლე იაკობთან ოთახში შესულა, რომ ჩაცმაში დახმარებოდა. საწოლზე წამომჯდარმა მოქანდაკემ მეუღლე გვერდით გასწია და ფანჯარას გახედა. რამდენიმე წამი გაუნძრევლად იჯდა, მერე თვალი დახუჭა და სული დალია.

იაკობ ნიკოლაძე 1951 წლის 10 მარტს, 75 წლის ასაკში გარდაიცვალა. ის მთაწმინდაზე, ილიას საფლავის წინ დაკრძალეს.



# "wikileaks"-ის ჩანაწერი – "ნაციონალურ მოძრაობას" იარაღის უკანონო ვაჭრობიდან ნაშოვნი ფულით აფინანსებენ

უკრაინული **"ვიკილიქსი"** მორიგ, სკანდალურ, ფარულ ჩანაწერს ავრცელებს, რომელიც ოდესის ყოფილ გუბერნატორს მიხეილ სააკაშვილსა და მის ბიზნეს პარტნიორ, კობა ნაყოფიას შორის რესტორან **"სან – პაულოში"** შედგა.

საინფორმაციო სააგენტო **"მარშალპრესი"** wikileaks-ის მიერ გავრცელებულ ჩანაწერს, სახელწოდებით **"როგორ აფინანსებს მიხეილ სააკაშვილი იარაღის უკანონო ვაჭრობიდან ნაშოვნი ფულით ქართულ პოლიტიკას."** უცვლელად გთავაზობთ:

***მიხეილ სააკაშვილი***: *დალევ რამეს?*

***კობა ნაყოფია***: *მე ჩაის დავლევ, დღეს რამდენიმე შეხვედრა მაქვს და თქვენ მიირთვით.*

***მიხეილ სააკაშვილი***: *კარგი როგორც გინდა. ძაან სერიოზული რაღაცეები ხდება იქით, საინტერესო მასალები მივიღე.*

***კობა ნაყოფია***: *საქართველოდან?*

***მიხეილ სააკაშვილი***: *ხოო. ხერხეულიძემ ჩამომიტანა, ხათუნა ოჩიაურს გამოუტანებია. მაგის დას ჩავარდნია ჩერგოიდების ჩატის მიმოწერები.*

***კობა ნაყოფია***: *კარგიაა, რამე ახალია?*

***მიხეილ სააკაშვილი***: *დახურული ჯგუფის მიმოწერაა, ბომბი ინფორმაციაა, მაგ უმადური იდიოტების გეგმებია, ერთ ამბავში არიან, გადაბირებაზე მუშაობენ. არ ვაპატიებ ჩემზე რასაც წერენ, გავყრი სუყველას. ჩემთან რო მოხვალ მერე წაგაკითხებ.*

***კობა ნაყოფია***: *მაგათი* ***„დედა მო...ან"***. *ჩემი აზრით, ჩვენ უნდა დავასწროთ. თუმცა ამათ არ უნდა ავყვეთ და ისე გავაკეთოთ რომ არ დავზარალდეთ და თან გონზე მოვიყვანოთ. ჩანს ყველას პოზიცია?*

***მიხეილ სააკაშვილი***: *ხო. მოდი და განახებ. ცოტა ხანში კიდე მოგაწვდითო.*

***კობა ნაყოფია***: *დღეს საღამოს იმათ უნდა შევხვდე ბინის ამბებზე და შეხვედრის მერე პირდაპირ თქვენთან მოვალ. ცხრისთვის ხომ იქნებით?*

***მიხეილ სააკაშვილი***: *10-სთვის მოდი, თან იმ ბინის დეტალებიც გეცოდინება. თევზი დავამატებინოთ.*

***კობა ნაყოფია***: *ახლავე ვეტყვი. რა უნდა მეთქვა, როგორც მითხარით მივეცი ელისოს (ელისო კილაძე) 4 000 დოლარი. მადლობა შემოგითვალათ, შემართებითაა და შევუტევო ძაანო. როგორც ვუყურებ ეგ იმენნა ჩვენიანია.*

***მიხეილ სააკაშვილი***: *ბინძური ქალია, მაგრამ ყოჩაღია, ჩვენ საქმეს კარგად აკეთებს. მაგარ რაღაცეებს აძრობს ხოლმე. ეს ბოკერიას კუდები და ჩერგოიდები ბოლომდე უნდა გავაბანძებინო. ეხლა მაგათზე მუშაობს.*

***კობა ნაყოფია***: *კი, მაგას ვფიქრობ მეც. სკანდალური ინფორმაციების ხელში ჩაგდება და აწევა იცის და თქვენგან მთავარია სწორი მიმართულების მიცემა. თქვენ რასაც ეტყვით იმას გააკეთებს.*

***მიხეილ სააკაშვილი***: *ეგ კარგად მყავს მიბმული, ვიცი რაც უნდა. აქ რო მყავდა ჩამოყვანილი ერთი თვის წინ მაგრად მოვქოქე, კმაყოფილი წავიდა. მაშინაც გავატანე.*

***კობა ნაყოფია***: *ხო ვიცი, სუპერ.*

***მიხეილ სააკაშვილი***: *ადრე ხო კეზერა აძლევდა ფულს. ეხლა, ეგ გაქნილი პიდარასტი ბოკერიას შეეკრა და კაპიკს აღარ აძლევს. აღარ მაქვსო. მაგას დაავიწყდა ეგ ფული საიდან იშოვა? ცოტა ხანში ყველას გავუხსენებ, არ შევარჩენ, ჩავხევ სუყველას. მელკი ბანძები არიან ყველანი.*

***კობა ნაყოფია***: *ებრაელი ნაბიჭვარია ეგ. მაგას რა გონია! არაუშავს, სამაგიეროდ ის შეხვედრები მიდის კარგადო.*

***მიხეილ სააკაშვილი***: *ხო, ხო. ეგ კარგია. ბიძაჩემმა კარგად გაჭრა ის კანალები და წამოვაო. ძალიან კმაყოფილია. მაგრამ ამ კეზერა ნაბიჭვარის გამო ჩვენ მოგვიწევს ცოტა ხანი ელისოს გასტუმრება. ეს უკვე მეორედ მიეცი ხო შენ?*

***კობა ნაყოფია***: *ხო, ხო მეორედ, ჯამში 8. გეთანხმებით გვჭირდება ეგ ქალი და უნდა გავაგრძელოთ. კეზერა მგონი უფრო მსუყედ კვებავდა და შესაძლოა დაფინანსების გაზრდაც არ იყოს ურიგო, თქვენ როგორც გადაწყვეტთ.*

***მიხეილ სააკაშვილი***: *მასე არ არის, მუშაობის მიხედვით დაელოდოს პრემიას. მაგის ჩიტიც ხო იყო ბუდაპეშტში ჩასული, ახალაია და ადე (ზურაბ ადეიშვილი) შეხვდნენ, ძირითად მიმართულებებზე მოილაპარაკეს. ადე კმაყოფილი იყო.*

***კობა ნაყოფია***: *ეგ ხო, ვიცი. მთავარია სწორი მიმართულება ქონდეს და არ დაიწვას. ვინ წარმოიდგენდა ხვედელიძე თუ ჩვენ დაგვეხმარებოდა.*

***მიხეილ სააკაშვილი***: *აბა რა ეგონათ. ხო გითხარი ვიცი მაგათ რაც უნდათ. რეგულარულად ვაჭმევ.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღირსი სერაფიმე საროველი

***ხსენების დღეა 2 იანვარი და 19 ივლისი (ახ. სტ. 15 იანვარი და 1 აგვისტო)***



მართლმადიდებელი ეკლესიის დიდი წმინდანი ღირსი სერაფიმე საროველი, ერობაში პროხორე მოშნინი, დაიბადა 1754 წლის 19 ივლისს, ქ. კურსკში.

მისი მამა ღვთისმოსავი ვაჭარი, შრომისმოყვარე ისიდორე მოშნინი, აშენებდა ტაძრებს. იგი მტკიცე რწმენით და და ღვთისმოშიშობით გამოირჩეოდა, დედა ჭეშმარიტი მხევალი ღვთისა, აღათია, რომელიც მეუღლესთან ერთად იღვწოდა ტაძრების აღმშენებლობის საქმეში, ღატაკებისა და ქვრივ-ობლების დიდი დამხმარე იყო.

პროხორეს მამა ადრე გარდაეცვალა და მცირეწლოვანი ყმა დედის აღათიას მზრუნველობის ქვეშ დარჩა. მას უფლისა და ღვთისმშობლის მფარველობა ბავშვობიდანვე არ აკლდა. პირველი სასწაული პროხორეს მიმართ 7 წლის ასაკში აღსრულდა: ყმა მშენებარე ტაძრის მაღალი სამრეკლოდან ჩამოვარდა მაგრამ სრულიად უვნებელი გადარჩა, მეორე და უდიდესი სასწაული უკვე 10 წლის ასაკში აღესრულა, როცა პროხორე მძიმედ დაავადდა დედას მისი გამოჯანმრთელების იმედი აღარ ჰქონდა, მაგრამ ვაჟმა მას უამბო, რომ ძილში ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და განკურნებას შეჰპირდა.

მართლაც, მალე, მათი ეზოს წინ პროცესიამ ჩაიარა ჯვრებით და ღვთისმშობლის ხატით. დედამ დასტაცა ხელი ავადმყოფ შვილს და ღვთისმშობელს მიუახლა, რის შემდეგაც მან სწრაფად დაიწყო მომჯობინება.

ამის შემდეგ მასში უიშვიათესმა ნიჭმა, ნათელმა გონებამ, განსაკუთრებულმა მეხსიერებამ და საქმისადმი უაღრესმა გულმოდგინებამ იჩინა თავი.

ეს თვისებები მას სიკვდილამდე შემორჩა. რა საქმისთვისაც არ უნდა მოეკიდა ხელი, ყველაფერს სწრაფად და მტკიცედ ითვისებდა. პროხორეს ბავშვობიდანვე უყვარდა ღვთის მსახურებაზე დასწრება, წმიდა წერილის და წმიდანთა ცხოვრების კითხვა, მაგრამ ყველაზე უფრო. განმარტოებული ლოცვა იზიდავდა.

წმინდა სერაფიმე საროველმა თავი ბავშვობიდანვე ღმერთს მიუძღვნა. მას როცა 19 წელი შეუსრულდა, დედას მონასტერში წასასვლელად კურთხევა სთხოვა. დედამ მონაზვნური ღვაწლისათვის ვაჟიშვილი ბრინჯაოს დიდი ჯვრით აკურთხა. ამ დედისეულ ჯვარს იგი სიკვდილამდე მკერდზე ატარებდა.

საროვის სავანეს, სადაც სერაფიმე მივიდა, ყოველი მხრიდან უღრანი ტყე ეკრა. აქ, შუაგულ ტყეში, მან თავისთვის პატარა ქოხი აიშენა და, ქვეყნისგან მოშორებული, დღედაღამ ლოცულობდა. ხშირად წმინდა სერაფიმეს სიცივის, შიმშილისა და სხვა გაჭირვების ატანა უხდებოდა. ასე გაატარა მან მრავალი წელი. როცა ბოლოს და ბოლოს თავისი სენაკის კარი გახსნა, მასთან ხალხმა იწყო მისვლა. ისინი წმინდა მამას ლოცვას სთხოვდნენ. მასთან ცვილის სანთლები მიჰქონდათ, რათა ისინი ლოცვის დროს ხატების წინ აენთო: სანთლები ხატების წინ ხომ ისევე იწვიან, როგორც ღვთის წინაშე ადამიანთა გულები. ამ პატარა სენაკში დღედაღამ ენთო სანთლები და ამიტომ ყველაზე ყინვიან, ცივ დღეებშიც კი აქ ცხელოდა და ღუმელიც არასდროს ენთო.

– არ შემიძლია ჩემს ლოცვებში რამდენჯერმე ყველას მოხსენიება, რადგან ისინი ბევრნი არიან, – ამბობდა წმინდა სერაფიმე, – მე მათ სანთლებს ვანთებ და ვლოცულობ: უფალო, მოიხსენე ყველა შენი მონა, რომელთა სულებისთვისაც მე უვარგისმა ეს სანთლები და კანდელები აგინთე!

წმინდა სერაფიმე ღვთის მიმართ დაუცხრომელად ლოცულობდა. ამის გამო მისი გული სიყვარულით უფრო და უფრო ენთებოდა, უყვარდა არა მხოლოდ ღმერთი, არამედ ყოველი მისი ქმნილება, მის მიერ შექმნილი ბუნება. ამგვარად, გამუდმებული ლოცვითა და ღვთის ხსოვნით მან თავი ცოდვისაგან განიწმინდა. მისი ცხოვრება სამოთხეში პირველ ადამიანთა ცხოვრებას დაემსგავსა, სადაც მხეცები ადამიანს ემორჩილებოდნენ და არც მას და არც ერთმანეთს არ ვნებდნენ.

ღამით წმინდანის სენაკთან მიდიოდნენ მხეცები: დათვები, მგლები, კურდღლები და მელიები, გველები, ხვლიკები და სხვა ქვეწარმავლებიც მოხოხავდნენ. წმინდა სერაფიმე სენაკიდან გამოდიოდა და მათ თავისი საპურიდან აჭმევდა, სადაც ის კვირის სამყოფ პურს ინახავდა. მრავალი მხეცი მიდიოდა მასთან, პური კი ყველას ჰყოფნიდა.

* * *

ღირსი სერაფიმე, თავად სუფთა სულის, მშვიდი და უბოროტო, ბავშვებს განსაკუთრებული სინაზით და ალერსით ეპყრობოდა. ახსოვდა წმინდა ბერს, რომ უფალი **"მცირეთა ამათ"** ისევე იფარავს, როგორც ის დაიფარა, როცა ბავშვობაში მაღალი სამრეკლოდან ჩამოვარდა. ეს ამბავი ასე მოხდა: ერთხელ დედამ ბიჭი ტაძრის მშენებლობაზე წაიყვანა და მასთან ერთად სამრეკლოზე, სულ ზემოთ ავიდა. ბავშვი კიდეზე დაუდევრად დადგა (მოაჯირი ჯერ არ იყო) და გადმოვარდა. შეძრწუნებული დედა კიბეზე დაეშვა, იმედი აღარ ჰქონდა, რომ შვილს ცოცხალს ნახავდა. როგორ გაიხარა, როცა დაინახა, რომ ვაჟიშვილი უვნებლად გადარჩა. უფალმა სასწაულით დაიფარა თავისი რჩეული, უწყოდა, მომავალში რამდენ სიხარულს მოუტანდა ადამიანებს.

ერთხელ, ღირსი სერაფიმეს გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, როცა ბერი ძლიერ დასუსტდა და მნახველებს ყოველთვის ვეღარ იღებდა, მასთან მომლოცველთა დიდი ჯგუფი მივიდა. წმინდა ბერი სენაკში არ იყო. საროვის მონაზვნებიდან რომელიღაცამ მნახველებს უთხრა: – ტყეში ეძებეთ, ოღონდ ვეჭვობ, რომ იპოვოთ. ბუჩქებში დაიმალება, ბალახში გაწვება, მხოლოდ ბავშვების ხმებს თუ გამოეხმაურება. რაც შეიძლება მეტი ბავშვი წაიყვანეთ და თქვენ წინ ატარეთ.

და აი, მომლოცველთა ჯგუფი საროვის უღრან ტყეში შევიდა. სიღრმეში შესულებს სულ უფრო მაღალი და ხშირი ხეები ხვდებოდათ. ტყის სიჩუმე და სინესტე ყველას ეუფლებოდა. ვეება ნაძვების ქვეშ სრული სიბნელე იყო, მაგრამ უეცრად ხეებს შორის მზის სხივი შემოიჭრა. ყველანი გამოცოცხლდნენ და მალე მზით განათებულ მდელოზე აღმოჩნდნენ.

მდელოზე განცალკევებით მდგარ ხეებთან გაჭირვებით მუშაობდა გამხდარი ბერი. შარიშური რომ გაიგო, სწრაფად წამოდგა, მონასტრის მხარეს გამოიხედა, როგორც შეშინებული კურდღელი ტყეში შევარდა და თვალს მიეფარა.

ბარე ოცმა ხმამ ერთდროულად დავიძახეთ: – მამა სერაფიმე! მამა სერაფიმე! – წერს თავის მოგონებებში ნ. აქსაკოვა, რომელიც იმ ბავშვებში ერია. ბერის ყურს ბავშვების ხმები მისწვდა, ვერ მოითმინა და სულ ერთი წუთის შემდეგ ბალახებში მისი თავი გამოჩნდა. მას თითი პირზე ჰქონდა მიდებული, თითქოს ბავშვებს სთხოვდა არ გაეთქვათ.

წმინდა სერაფიმემ ბავშვებისთვის ბალახში ბილიკი გადაქელა და თავისთან დაგვიძახა. ჩვენ შორის ყველაზე პატარა – ლიზა – პირველი ჩამოეკიდა კისერზე და ლოყა მხარზე ჩამოადო.

– საუნჯეო, საუნჯეო! – ჩურჩულით ამბობდა ბერი და გულში სათითაოდ გვიკრავდა.

მოზარდი მწყემსი ბიჭუნა სიომა მონასტრისკენ ყვირილით გაექანა: **"აქეთ, აქეთ! აქაა მამა სერაფიმე! აქეთ!"** ჩვენ შეგვრცხვა. ჩვენი წამოძახილები და გულში ჩაკვრა ღალატად მოგვეჩვენა. უკან დაბრუნებისას ის პატარა ლიზა, რომელიც მამა სერაფიმემ პირველი ჩაიკრა გულში, ბავშვური ენით ტიტინებდა: **"მამა სერაფიმე მხოლოდ ჰგავს მოხუცს, სინამდვილეში კი ბავშვია"**.

მრავალი წლის შემდეგ ნ. აქსაკოვა, რომელიც ამ შემთხვევას იხსენებს, წერს, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე არ უნახავს ისეთი ბავშვური, ნათელი თვალები, როგორიც ჰქონდა ღირს სერაფიმეს, არ უნახავს მისნაირი ღიმილი, რომელსაც მძინარე ბავშვის ღიმილს თუ შეადარებ, როცა მას ანგელოზები ეწვევიან.

კიდევ ერთ შემთხვევას გიამბობთ. სერაფიმეს სენაკის დაკეტილ კართან მნახველების ჯგუფი იდგა. მათგან ზოგიერთი ლოცულობდა: **"უფალო იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალენ ჩუენ!"** მაგრამ **"ამინ"** არ ისმოდა და კარი არ იღებოდა. მაშინ ერთმა ქალმა იქვე მდგომ ბავშვიან ქალბატონს სთხოვა, რომ მის ბავშვს ელოცა: – თქვენმა გოგონამ ლოცვა წარმოთქვას და მაშინ გაგვიღებს!

მართლაც, როგორც კი გოგონამ ილოცა, შიგნიდან **"ამინ"** გაისმა და კარი გაიღო. როგორი სიხარული იყო, როცა წმინდა ბერი დაინახეს!

საყვარელო ბავშვებო! ცხოვრებაში ბევრი მწუხარება გვხვდება: ვიღაცას სამარემ ნაადრევად წაართვა დედა, სხვებს ზამთრობით თბილი კუთხე არა აქვთ... ყოველი თქვენგანი შესაძლოა ავად გახდეს. კიდევ უარესია, როცა მარჩენალი მამა ხდება ავად ან სამუშაოზე შეემთხვევა უბედურება, ხოლო, როცა ავად ხდება დედა, მაშინ მთელ ოჯახს უმძიმს. თქვენც გაქვთ თქვენი პატარა მწუხარებები: დღეს რთული ამოცანა მოგცეს, იქ გამოცდები გაქვთ ან მეგობრებს წაეჩხუბეთ – ასეთ დროს გაიხსენეთ, რომ უფალს წმინდა სერაფიმე ჰყავს. უხმეთ მას თქვენს ლოცვებში, სთხოვეთ ილოცოს თქვენთვის, შეგეწიოთ! და ის, ასეთი ალერსიანი და თქვენდამი სიყვარულით სავსე, მაშინვე გიპასუხებთ.

**"ფრიად შემძლებელ არს ლოცვაჲ მართლისაჲ შეწევნად"** (იაკ. 5,16).

* * *

კეთილმსახური დედის მიერ ღვთისა და მართლმადიდებელი ეკლესიის სიყვარულით აღზრდილ სერაფიმეს ღვთის ტაძარში ყოფნა ბავშვობიდანვე უყვარდა. ის განსაკუთრებული მოწიწებით ეთაყვანებოდა დედა ღვთისმშობელს, რომელმაც ის ათი წლის ასაკში თავის სასწაულმოქმედ ხატთან – კურსკა-კორენნაიასთან შეხებით მძიმე სნეულებისაგან განკურნა.

შრომაში დედის გულმოდგინე შემწე წმინდა სერაფიმემ, 17 წლისამ, მისი კურთხევით უღრანი ტყით გარშემორტყმულ საროვის სავანეს მიაშურა. იქ იგი მარხვითა და ლოცვით შეუდგა ღვაწლს და პატარა ქოხში ცხოვრობდა, რომელიც ტყეში საკუთარი ხელით აიშენა.

კვირაში ერთხელ წმინდანთან სავანიდან მწირი საკვები მოჰქონდათ: პურის ნატეხი და ცოტა კომბოსტო. წმინდა სერაფიმე განუწყვეტელ ლოცვაში დღესა და ღამეს ატარებდა და უფალმა სასწაულქმედების ნიჭი მიჰმადლა. მისმა წმინდა ცხოვრებამ შორს გაითქვა სახელი და, როცა ღვთისმშობლის ბრძანებით დაყუდებულ ცხოვრებას თავი დაანება, მასთან მრავალმა ადამიანმა იწყო მისვლა, რომლებიც კურთხევასა და წმინდა ლოცვებს სთხოვდნენ, თან ავადმყოფებიც მიჰყავდათ განსაკურნებლად.

ყოველთვის ნათელი და გახარებული წმინდა ბერი ხალხს ალერსითა და სიყვარულით იღებდა და თითოეულს **"ჩემო სიხარულოს"** ეძახდა. მისგან ყველანი ნუგეშისცემულნი მიდიოდნენ და ამისთვის მასთან სხვადასხვა ძღვენი მიჰქონდათ, რომელსაც ის იმწუთშივე ღარიბებს ურიგებდა.

ამის შესახებ ბოროტმა ადამიანებმა შეიტყვეს. იფიქრეს, წმინდა სერაფიმეს ბევრი ფული ექნებაო და მისი გაძარცვა გადაწყვიტეს. ერთხელ, როცა ის ტყეში ხეს ჭრიდა, მასთან სამი კაცი მივიდა და ფული მოსთხოვა.

– შენთან ერის ხალხი დადის და ფული მოაქვს, – ამბობდნენ ისინი. მოღვაწე კი პასუხობდა: მე არავისგან არაფერს ვიღებ. მძარცველებმა არ დაუჯერეს. ერთი მათგანი ზურგიდან მივარდა, რომ მიწაზე დაეგდო, მაგრამ თვითონ დავარდა.

ღირსი სერაფიმე ახალგაზრდობიდანვე დიდი ფიზიკური ძალით გამოირჩეოდა და ახლაც ცულით აღჭურვილს თამამად შეეძლო თავი დაეცვა, მაგრამ წმინდა მოღვაწეს გაახსენდა მაცხოვრის სიტყვები: **"ყოველთა, რომელთა აღიღონ მახვილი, მახვილითა წარწყმდენ"** (მათ. 26,52). მან ცული მიწაზე დადო, ხელები მკერდზე გადაიჯვარედინა და თქვა:

– გააკეთეთ, რაც გინდათ. – მან დაუმსახურებელი ტანჯვის მოთმენა გადაწყვიტა.

ერთ-ერთმა ბოროტმოქმედმა ცული აიღო და წმინდა სერაფიმეს ტარი ძლიერად ჩაარტყა თავში. წმინდა მოღვაწეს პირიდან და ყურებიდან სისხლი წამოუვიდა და მიწაზე უგრძნობლად დაეცა. ყაჩაღებმა სენაკისაკენ წაათრიეს და გზადაგზა ცულით და ხის ნაჭრებით სცემდნენ. მძარცველებმა წმინდა სერაფიმეს ხელფეხი შეუკრეს და წინკარში დააგდეს, თვითონ კი მის სენაკში შეცვივდნენ. მეუდაბნოეს ღარიბ ქოხში ყველაფერი ყირაზე დააყენეს, ღუმელი დაამტვრიეს, იატაკი აყარეს და ვერაფერიც ვერ ნახეს... შიშის ზარი დაეცათ, მიხვდნენ, რომ უდანაშაულოდ და ტყუილუბრალოდ სცემეს წმინდა ადამიანი და შეძრწუნებულნი იქაურობას გაეცალნენ.

წმინდა სერაფიმე სასტიკი ცემის შემდეგ გონს ძლივს მოვიდა. ხელ-ფეხი როგორღაც გაიხსნა, ილოცა, რომ ღმერთს მიეტევებინა ყაჩაღებისთვის, ის ღამე თავის სენაკში საშინელ ტანჯვაში გაატარა და დილით მონასტერში წალასლასდა.

წმინდა მოღვაწე საშინლად გამოიყურებოდა: თმა და წვერი აჩეჩილი, სისხლიანი, მტვრით და ნაგვით სავსე ჰქონდა, სახე და ხელები დალურჯებული, რამდენიმე კბილი ჩამტვრეული, გასისხლიანებული სამოსი ზოგან ჭრილობაზე მიხმობოდა. ძმები შეძრწუნდნენ წმინდა სერაფიმე ასეთ მდგომარეობაში რომ დაინახეს. მან მონასტრის მოძღვრის მოყვანა ითხოვა და სუსტი ხმით, გაჭირვებით უამბო, რაც შეემთხვა.

ღირსი სერაფიმე პირველი რვა დღე საშინლად იტანჯებოდა: არც საკვების მიღება შეეძლო, არც სასმელის. ძლიერი ტკივილი არ აძინებდა. სავანეში არ ეგონათ, თუ გადარჩებოდა. წინამძღვარმა მეშვიდე დღეს ექიმების მოსაყვანად უახლოეს ქალაქში კაცი გაგზავნა. მის ლოგინთან ექიმებმა თავი რომ მოიყარეს და ავადმყოფის მდგომარეობაზე მსჯელობდნენ, ღირს მამას ჩაეძინა და საოცარი ხილვა ნახა. მას ღვთისმშობელი გამოეცხადა პეტრე და იოანე მოციქულებთან ერთად, ის ავადმყოფის სარეცელთან მარჯვნიდან მივიდა და ექიმებს მიმართა: **"რას იღვწით?"** შემდეგ წმინდა მოღვაწეს შეხედა და თქვა: **"ეს – ჩვენი გვარისაა"**. ხილვა ამით დასრულდა. ავადმყოფმა გაიღვიძა. ამ დროს წინამძღვარიც მოვიდა და ავადმყოფს ექიმების დახმარება შესთავაზა, მაგრამ ყველასთვის დიდად გასაკვირად ღირსმა სერაფიმემ გადაჭრით უპასუხა, რომ არ სურს დახმარება კაცთაგან და თავის ცხოვრებას უფალ ღმერთსა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ანდობს.

სასწაულებრივი ხილვის შემდეგ ღირსი მამა გამოუთქმელი სიხარულით აივსო და მისი აღტაცებული განწყობილება ოთხ საათს გაგრძელდა. შემდეგ ის თავის ჩვეულ სულიერ მდგომარეობას დაუბრუნდა და ავადმყოფობისგან შვება იგრძნო. წმინდანს ნელ-ნელა ძალა უბრუნდებოდა: ლოგინიდან წამოდგა, საღამოს ცხრა საათისთვის სენაკში სიარული დაიწყო, ცემის შემდეგ პირველად მიიღო მცირე საკვები. ამ დროიდან მისმა ჯანმრთელობამ ნელ-ნელა გაუმჯობესება დაიწყო, მაგრამ ცემის კვალი მას სიკვდილამდე შერჩა.

* * *

საროვის სავანეში წმინდა სერაფიმე ახალგაზრდა, მოხდენილი და ჯანმრთელი მივიდა. ერთხელ ტყეში მუშაობისას ის მოჭრილმა ხემ ქვეშ მოიყოლა და ბუნებრივი აღნაგობა დააკარგვინა. ახლა კი, მძარცველების თავდასხმის შემდეგ, მხოლოდ ჯოხზე ან ნაჯახზე დაყრდნობით დადიოდა.

წმინდა სერაფიმემ არა მხოლოდ მიუტევა თავის მტანჯველებს, არამედ მთავრობას ევედრებოდა ყაჩაღები არ დაესაჯა. თუმცა ისინი უფალმა დაუსჯელნი არ დატოვა: მათ ქოხები დაეწვათ. შემდეგ, როცა მშვიდ მოხუცთან პატიებისთვის მივიდნენ, მან მთელი გულით მიუტევა თანახმად ქრისტეს მცნებისა: **"გიყუარდეთ მტერნი თქუენნი და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა; აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და ილოცევდით მათთვის, რომელნი გმძლავრობდენ თქუენ"** (ლუკ. 6,27-28).

საქართველოში ღირსი სერაფიმე საროველის სახელობის ტაძარი მდებარეობს ბორჯომში.

**თარგმნა ნინო გულიაშვილმა**

# რატომ იწვია სააკაშვილმა რჩეული ვაჟკაცები კიევს და რა განსხვავებაა პრეზიდენტის სანათესაოსა და განგსტერების კლანს შორის?!



გაიყო! **"ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"** გაიყო! სააკაშვილი ამას ივანიშვილს აბრალებს, უგულავა სააკაშვილს, მერაბიშვილი ჯერ ფიქრობს, ადეიშვილი სადღაც აღმოსავლეთ ევროპაში ლექციებს კითხულობს, პარტიის ყულაბად წოდებული კეზერაშვილი კაცმა არ იცის სად არის... მოკლედ, არეული მონასტერი სულ უფრო და უფრო ირევა... პარტია თითქმის ყველა იმ ლიდერმა დატოვა, ვისაც ჭკუა ოდნავ მაინც მოეკითხებოდა, დარჩნენ, როგორც ერთმა სახელგანთქმულმა ექსპერტმა ბრძანა, მიშა და **"მიშას მოწმეები"** – პარტიული სექტა, რომელსაც 20 იანვარს ყრილობა აქვს და რას და როგორ აპირებენ, გაგვაგებინებენ ალბათ.

მანამდე კი სააკაშვილმა **"ნაცმოძელი" რჩეული ვაჟკაცები"** კიევს იწვია... აკო მინაშვილმა ბრძანა, შეკრებაზე 20 იანვრის ყრილობაზე და **"ნაციონალური მოძრაობის"** გეგმებზე ვილაპარაკეთ, იმაზე, თუ რა მექანიზმებით, რა ბერკეტებით გვექნება ბრძოლა ივანიშვილის წინააღმდეგ, რადგან ივანიშვილი არის ქვეყანაში არსებული პრობლემების სათავეო...

ჩვენს ქვეყანას მართლაც არაერთი პრობლემა აწუხებს, მე კი ყოველკვირეულ ბლოგში ისევ და ისევ სააკაშვილზე და მის თანაპარტიელებზე მსჯელობა მიწევს. არ დავმალავ, ამ ხალხისგან უკვე საკმაოდ გადავიღალე და ყურადღებასაც აღარ მივაქცევდი, მაგრამ... არ გამომდის. **"ნაციონალები"** პოლიტიკურ **"ოფსაიდში"** გადასვლას ჯიუტად არ აპირებენ...

გასული კვირა ხომ მთლიანად მაგათი ასპარეზი იყო, ჯერ იყო და **"ნაციონალურ მოძრაობაში"** არსებული შიდა აშლილობით შეწუხებული ნიკა გვარამია **"გრეჩიხიჩმა"** მიჯირყნა, მერე იყო და ეს **"ნაციონალური"** გაყრა.

რატი გაჩეჩილაძისა და **"რუსთავი 2"**-ის **"შეფის"** კონფლიქტზე არაერთი მოსაზრება გამოითქვა და ალბათ ახალს ვერაფერს დავამატებდი, ერთი ნიუანსი რომ არა. კონფლიქტის შემდეგ **"დაზარალებულმა"** გვარამიამ **"მოძალადე"** გაჩეჩილაძის სასტიკად დასჯა მოითხოვა.

ბატონი ნიკა თავის დროზე საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე გახლდათ, შესაბამისად, მის დროს არაერთი ადამიანი უკანონოდ დააკავეს და ვერავინ დამაჯერებს რომ ყოველივე ამაში გვარამიას ხელი არ ერია. ამის შემდეგ რა მორალური უფლებით ითხოვდა რატი გაჩეჩილაძის სამაგალითოდ დასჯას, არ ვიცი... გვარამიამ საკუთარ გულში ჩაიხედოს, იმდენი უკანონობა ხდებოდა მისი ხელისუფლებაში ყოფნის წლებში, მხოლოდ ცემით რომ გადარჩა, მადლობა აქვს სათქმელი...

ერთ ძველ ამბავს გაგახსენებთ.

სააკაშვილის მმართველობისას ახალგაზრდა ბიჭმა ღამით მოიპარა საბურავები. სულ 16 ცალი. მოსამართლემ გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ რამდენადაც მას თანამზრახველი არ ჰყავდა, სავარაუდოდ, საწყობიდან ერთ ჯერზე მაქსიმუმ 4 ცალი საბურავი გამოჰქონდა (2-2 საბურავი თითოეულ ხელზე ჩამოცმული).

შესაბამისად, 16 საბურავის მოპარვა ჩათვალა ქურდობის 4 შემთხვევად! და შემდეგ თითოეულ შემთხვევაზე მიუსაჯა 4-წლიანი პატიმრობა, რაც ამ სახის დანაშაულზე მაქსიმუმი იყო. გამოვიდა 16 წელი! დაახლოებით 1000 ლარის ღირებულების საქონლის მოპარვაზე (თან პირველი შემთხვევა იყო!) – 16 წელი! 16 წელი სააკაშვილის ციხეში!!!

არ ვიცი ეს ბიჭი საპყრობილეშია თუ უკვე გათავისუფლდა, ჰოდა, უფრთხილდი, ნიკა გვარამია, თუ სადმე გადაგეყარა, რატი გაჩეჩილაძესთან კონფლიქტი **"ტკბილ მოგონებად"** დაგრჩება.

მაგრამ დროა, ისევ კვირის **"მთავარ მოვლენას"** დავუბრუნდეთ.

მე რომ მკითხონ, **"ნაციონალებად"** დარჩენილებსაც და **"გაევროპელებულებსაც"** სულაც პოლიტიკისაგან თავის გარიდებას ვურჩევდი. თითოეულს გარკვეული პროფესია აქვს და რა აუცილებელია ისევ ძველ, თან ამყრალებულ კალაპოტს დაუბრუნდნენ. ჰოდა, შეეშვით პოლიტიკას და უშუალო პროფესიებით საქმიანობა დაიწყეთ. ვფიქრობ, ქვეყანას ამით მეტ სარგებელს მოუტანთ და ჩვენც დაგვასვენებთ...

ფაქტი ერთია, გინდათ ივანიშვილის დანაპირებს დააბრალეთ, გინდათ დროის ულმობელ განაჩენს – ერთ დროს **"ძლევამოსილი" "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"** უახლოესი ქართული ისტორიის ფურცლებიდან თანდათან უჩინარდება.

მას მერე, რაც სააკაშვილი უგულავამ საჯაროდ გამოლანძღა, ექსპრეზიდენტმა უჩვეულო სიდინჯე გამოიჩინა და მხოლოდ ის თქვა, უგულავამ ოქრუაშვილი გამახსენა და შემეცოდაო. მე კიდევ ოქრუაშვილი პრემიერმა გამახსენა მას შემდეგ, რაც მთავრობის სხდომაზე პროსტიტუციის წინააღმდეგ გაილაშქრა... ხომ გახსოვთ, რა შეუპოვრად ებრძოდა ოქრობიჭი საროსკიპოებს... ჰოდა, პრემიერიც არ ჩამორჩა. არ შემიძლია არ დავეთანხმო კვირიკაშვილს ერთ რამეში, რომ არაერთი გარყვნილების კერაა დედაქალაქში და არა მხოლოდ, სადაც ათასი უბედურება და დანაშაული ხდება, ისე, ეს ყველაფერი უბრალო მოკვდავებმა და პრემიერმაც რომ იციან, შსს-ში აქამდე ეძინათ?!

ისე, ამ ბოლო დროს იმდენი კრიმინალი ხდება ყოველდღიურად მაგათ, მგონი, მართლა სძინავთ...

ამ ორიოდე დღის წინ თვით პრეზიდენტის სიძე მინდია გოგოჭური დაჭრეს, რომელსაც თავის მხრივ **"სერიოზული"** კრიმინალური დოსიე აქვს... პრეზიდენტის სიძეზე თავდამსხმელი ჯერაც არ დაუჭერიათ, თუმცა დაიჭირეს პრეზიდენტის ცოლის ძმა, მიხეილ მგალობლიშვილი იარაღის შენახვა-ტარებისთვის. ადვოკატი ამბობს, ეგ იარაღი ძველი და უმაქნისი იყო, არაფრად ვარგოდა, ბიჭი მხატვარია და ხატვის დროს იყენებდაო, თუმცა თვითონაც უჭირს ახსნა **"ბუტკაში"** ჩასულს ჯიბეში რატომ აღმოაჩნდა...

მოკლედ, ამ ქვეყანაში დიდი დომხალია, ისიც ველარ გაგირკვევია ადამიანს, პრეზიდენტის სანათესაოა თუ განგსტერების კლანი...

# გიორგი ჩიქოვანი: *ელისო კილაძე არის ოთხმაგი აგენტი!*

**„ახალგაზრდული ცენტრის"** ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ჩიქოვანი **„ქრონიკა +"**-ის რედაქტორ ელისო კილაძის შესახებ განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

**„ელისო კილაძის სახელი და გვარი აქტუალობას არ კარგავს, ეს არის პიროვნება რომელსაც უკავშირდება არაერთი „სკანდალური განცხადება". სკანდალური მხოლოდ სათაურით და არა ფაქტებით, რადგან მან ერთხელაც ვერ მოახერხა მის მიერვე გავრცელებული ინფორმაციის დადასტურება. მას სურდა საზოგადოების წინაშე წარმოჩენილიყო, როგორც თავისუფალი სიტყვის დამცველი, მაგრამ რეალურად ჩვენ მივიღეთ ერთი ჩეულებრივი, რიგითი გამყიდველი და ფულის მონა, რომელმაც არ იცის ცნება ღირსება, მისი ყოველი განცხადება დაფუძნებულია სიცრუეზე და პირად კეთილდღეობაზე.**

**მას თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ ოთხმაგი აგენტი, რომელსაც შეუძლია იყოს ყველას მხარეს, მთავარია ფული გადაუხადონ.**

**თუ მის წარსულს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ის არც თუ ისე შორეულ წარსულში გახლდათ „ნაციონალური მოძრაობის" წევრი, შემდეგ კი, ჩანერგილი აგენტის სტატუსით, უკვე ბადრი პატარკაციშვილის გვერდით აღმოჩნდა, დღეს კი კვლავ დაუბრუნდა მშობლიურ წიაღს და ატარებს მიშას ინტერესებს.**

**რეალურად, ელისო კილაძე არის ჟურნალისტობას ამოფარებული „ნაციონალური მოძრაობის" აგენტი, რომელიც ასრულებს პირადად მიშას დავალებებს და დეზინფორმაციის გავრცელებით ცდილობს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას.**

**საზოგადოებამ ნახა რამდენიმე დღის წინ გავრცელებული კადრები, სადაც ჩანს თუ როგორ ჩადის ელისო კილაძე უკრაინაში და იქ ხვდება მიხეილ სააკაშვილის დაცვის წევრი, ხოლო საქართველოში დაბრუნების შემდეგ, კილაძე სააკაშვილთან დაპირისპირებული „ნაციონალური მოძრაობის" ყოფილი წევრების შესახებ ავრცელებს სკანდალურ ინფორმაციებს.**

**P.S.** *როგორც ჩანს, უკრაინის მოქალაქე, დაშნაკი მიხეილ სააკაშვილი (საკიანცი) თავის ერთ-ერთ სერიოზულ მოწინააღმდეგედ საქართველოს ყოფილ პრემიერმინისტრს ბატონ, ირაკლი ღარიბაშვილს მიიჩნევს, რადგან ყველაზე ხშირად ქალბატონი კილაძე სწორედ ღარიბაშვილის შესახებ ავრცელებს და ავრცელებდა ფაქტებს მოკლებულ განცხადებას, რომელსაც არაფერი აქვს საერთო რეალობასთან",* – *ნათქვამია გიორგი ჩიქოვანის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.*

*ძვირფასო მკითხველო, კარგად დააკვირდით ამ ფოტოს, რომელზეც ასახულია ყველაფრის მკადრებელი, უტიფრობით გამორჩეული არამზადა, ჟურნალისტად წოდებული არარაობა, პირწავარდნილი ინტრიგანი და პროვოკატორი, რომელიც სიცრუისა და ცილისწამების ტირაჟირებით ცდილობს საზოგადოების ყურადღების მიქცევას. ნუ მიესალმებით და ხელს ნუ ჩამოართმევთ მას, ნუ მიაწვდით მწყურვალს – წყალსა და მშიერს – ხმიადს, რადგან ასეთი საზიზღარი არარაობების ფეხქვეშ ქართული მიწა უნდა იწვოდეს!*

*როგორც ერთმა ქართველმა ჟურნალისტმა თქვა,* ***"ელისო კილაძე უკვე კარგად გაშიფრული და წაკითხული პიროვნებაა, რომელსაც ცხოვრებაში არანაირი პერსპექტივა არ გაჩნია, ამიტომ იძულებულია საკუთარი თავით ივაჭროს!".***

*ყველამ კარგად იცის, თუ რას უწოდებენ საკუთარი თავით მოვაჭრე ადამიანს, მით უმეტეს, თუ მისთვის არავითარი სიწმინდე არ არსებობს!*



# შორეული კოსმოსიდან მიღებული უცნაური სიგნალები — მარტონი ვართ თუ არა სამყაროში?

კოსმოსი – უსასრულობიდან უსასრულობამდე გადაჭიმული უკიდეგანო სივრცე; პლანეტებით, ვარსკვლავებით, თანავარსკვლავედებით, ნისლეულებით მოჭედილი სამყარო, რომელიც უხსოვარი დროიდან ადამიანს მოსვენებას არ აძლევს. ადამიანი, საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე, მუდამ უცნობისკენ მიისწრაფის და ცოდნის არეალის გაფართოებას ცდილობს. ვარსკვლავებს ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტელები აკვირდებოდნენ. შუა საუკუნეებში, ტელესკოპის გამოგონებასთან ერთად მეცნიერებმა კოსმოსის შესწავლა უფრო აქტიურად დაიწყეს. დღეს ამ მიმართულებით ათეულობით და ასეულობით მილიონი დოლარი იხარჯება.

პლანეტების და ასტეროიდების შესწავლა-აღმოჩენასთან ერთად, მეცნიერების მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება კოსმოსში სხვა ცივილიზაციებისა ან სიცოცხლის ნებისმიერი ფორმის აღმოჩენაა. მარტონი ვართ თუ არა სამყაროში – ეს კითხვა ადამიანს მოსვენებას არ აძლევს.

1950-იან წლებში ამერიკაში კოსმოსის შესწავლის მასშტაბურ პროგრამას ჩაეყარა საფუძველი. 1959 წელს პროექტი SETI – Search for Extra-Terrestrial Intelligence – არამიწიერი სიცოცხლის მოძიება – ამოქმედდა. მძლავრი, 27 მეტრიანი რადიოტელესკოპით მეცნიერები ფრენკ დრეიკის ხელმძღვანელობით სამყაროს შესწავლას შეუდგნენ. მალევე NASA-მ SETI-ის დაფინანსება დაიწყო. კოსმოსში პირველობისთვის გაჩაღებულ პაექრობაში გამარჯვების მოპოვებისთვის ამერიკა ძალღონეს არ იშურებდა. ამბიციური პროექტი **"ციკლოპი"** 1.500 რადიოტელესკოპის (!) აგებას ითვალისწინებდა. გეგმა, რომელიც რეალიზებისთვის 10 მლრდ დოლარს საჭიროებდა, ქაღალდზე დარჩა.

მეცნიერებმა კოსმოსის შესწავლა არსებული ბიუჯეტით განაგრძეს და მალევე პირველ წარმატებასაც მიაღწიეს. 1977 წლის 15 აგვისტოს ოჰაიოს შტატში მდებარე რადიოტელესკოპ **"დიდ ყურზე"** მომუშავე ასტრონომმა ჯერი ეიმანმა შორეული კოსმოსიდან მიღებული რადიოსიგნალი დააფიქსირა. ეს მოვლენა ისტორიაში "Wow!"-ის სახელით შევიდა – ქაღალდზე ამობეჭდილი და ექვსი სიმბოლოსგან 6EQUJ5 შემდგარი რადიოსიგნალის გასწვრივ ეიმანმა წითელი ფანქრით "Wow!" დაწერა.

გამოთვლებით, 72 წმ-ის ხანგრძლივობის რადიოსიგნალი, მშვილდოსნის თანავარსკვლავედიდან მოდიოდა.

მას შემდეგ, აგერ უკვე 40 წლის განმავლობაში ეს რადიოსიგნალი მეცნიერებს მოსვენებას არ აძლევს. აქტიური დაკვირვების მიუხედავად, ის აღარ განმეორებულა.

2015 წლის მაისში, რუსეთში მდებარე რადიოტელესკოპმა PATAH-600 ვარსკვლავთა სისტემიდან 164595 წამოსული სიგნალი დააფიქსირა. მისმა ხანგრძლივობამ მხოლოდ 2 წამი შეადგინა. აღნიშნული ვარსკვლავი ჰერკულესის თანავარსკვლავედში მდებარეობს, რომელიც ჩვენგან დაახლოებით 94 სინათლის წლით არის დაშორებული. ამ ეტაპზე ვარსკვლავთა სისტემაში მეცნიერებს მხოლოდ ერთი პლანეტა – HD164595 b აქვთ აღმოჩენილი.

რადიოსიგნალების გარდა, მეცნიერები კოსმოსში არსებული ხმებითა და მათი წარმოშობის ბუნებით არიან დაინტერესებულნი. 1996 წლის 27 ივნისს, მზის სისტემის უდიდესი პლანეტის – იუპიტერის შესასწავლად გაშვებულმა კოსმოსურმა აპარატმა Galileo, იუპიტერის ერთ-ერთი თანამგზავრის – განიმედის ორბიტაზე უცნაური ხმოვანი სიგნალი დააფიქსირა. მეცნიერთა აზრით, ამ ხმას განიმედის ორბიტაზე არსებული დამუხტული ნაწილაკები გამოსცემენ.

კიდევ ერთი უცნაური ხმოვანი სიგნალი 1997 წელს სატურნის შესასწავლად გაშვებულმა Cassini-Huygens-მა დააფიქსირა. სიგნალს, რომელიც პლანეტის პოლუსის მხრიდან მოდიოდა, საკმაოდ რთული სტრუქტურა და ცვალებადი სიხშირეები ჰქონდა. **"კასინიმდე",** სატურნიდან მომავალი უცნაური ხმოვანი სიგნალები კოსმოსურმა აპარატმა **"ვოიაჯერმაც"** დააფიქსირა.

**მოამზადა ნუკრი მგელაძემ**

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ **გიორგი ჯალაღანიას**

# ნუგზარ ფოფხაძე: ჩვენ ვეძებთ ტალანტებს!



ამას წინათ „პალიტრა-ტვ-მ" მეტისმეტად დამაფიქრებელი ტელესიუჟეტი გაავრცელა:

**„14 წლის საქართველოს ჩემპიონი, რომელიც ვაგზალზე ლიმონის გაყიდვით ოჯახს არჩენს.**

**აიდანის ბადიროვი თავისუფალ ჭიდაობაში არაერთხელ გამხდარა ქვეყნის ჩემპიონი. ჭიდაობაზე ბავშვობიდან დადის, ეს სპორტი მისი გატაცებაა. ოცნებობს, რომ დიდ წარმატებას მიაღწიოს, თუმცა მის ოჯახს უკიდურესად უჭირს და ბევრჯერ ჭიდაობაზე უარის თქმაც მოუწევდა, მწვრთნელები რომ არ ეხმარებოდნენ."**

**ამ პუბლიკაციის გაცნობის შემდეგ, პირველი რაც გამახსენდა, იყო რუბრიკა, რომელიც აშუქებდა 40 წლის წინათ დაწყებულ და შემდგომ წლების მანძილზე გაგრძელებულ მოძრაობას – „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს".**

უფროს და საშუალო თაობელ **„ფრენდებს"**, ალბათ, გახსოვთ: ყველა სფეროში ვეძებდით გამორჩეულ ბავშვებს, მოზარდებს...

კომკავშირი და საქართველოს ტელევიზია პატრონობდნენ ამ საქმეს. ბევრი ტალანტი **„აღმოვაჩინეთ"** მაშინ: გუცაევი, წიკლაური (ნუგზარი არა, თემური), რევაზიშვილი...

წავიდა ის დრო.

მოვიდა ახალი დრო, უკეთესი, უფრო ძვირფასი საჩუქრებით... **„აკადემია"... „ნიჭიერი"... „X-ფაქტორი"...** გულწრფელად მიხარია, რომ **„რუსთავი 2"** (ალბათ ეს ერთადერთი ნათელი წერტილია ნაცფაშისტების ამ საინფორმაციო ბიუროს საქმიანობაში) არ ყოფს მონაწილეებს **„პატრონიანებად"** და **„რიგითებად"**! ის მფარველობს ყველას: ცნობილ თუ ჩვეულებრივ ოჯახისშვილებს, ყველას, ვინც აშკარად აშკარად ნიჭიერია. თანაც მთელი საქართველოს თვალწინ...

თავად განსაჯეთ, როცა ბოლო სამი წლის გამარჯვებულებს გაიხსენებთ: ხელვაჩაურელი (თუ არ ვცდები) გიორგი ნაკაშიძე, ლაგოდეხელი ტრაქტორისტი გოგონა – უნიჭიერესი **„მსუქანა"** ანგელოზი, ბათუმელი ავთანდილ აბესლამიძე... (ისე, დანამდვილებით ვიცი, რომ აჭარის და ბათუმის მერიის ჩინოსნებიდან, ბევრმა არც კი იცის ამ უნიჭიერესი ახალგაზრდების არსებობა. ესეც მრავლიმეტყველია. აბა, ასლანის დროს გაემარჯვათ იქაურებს და ნახავდით შედეგს. ვერაფერს გეტყვით ლაგოდეხელებზე...).

ერთი სიტყვით, ასევე, სამადლობელია **„იმედი"** თავისი **„ნუცას სკოლით"** და... თუნდაც, ელიტარული ცეკვის კონკურსით...

ალბათ, სხვებსაც აქვთ **„რაღაც-რაღაცეები"** და ეს მხოლოდ დადებით ემოციებს იწვევს.

მაგრამ, ხაზგასმით უნდა აღვნიშნო: ეს სატელევიზიო პროექტებია. მხოლოდ!

ცხოვრება, რეალობა კი არ ეტევა და ვერც ჩაეტევა მხოლოდ ამ სატელევიზიო პროექტებში. სხვა გაქანებაა საჭირო, სხვა მასშტაბი, მრავალფეროვნება.

გვემახსოვრება, მთელ საქართველოში ტარდებოდა, თუნდაც, ეზოების ფეხბურთელთა გუნდების ჩემპიონატები, უბნების... სპორტის სასახლესაც კი უთმობდნენ ამ მოასპარეზეებს...

ყველა რაიონულ ცენტრში კვირაობით ეწყობოდა მოჭიდავეთა შეჯიბრები. ასეთ ტურნირზე აღმოაჩინეს ბიჭუნა – ლევან თედიაშვილი, რომელიც შემდგომ მსოფლიო ლეგენდა გახდა, რომელთანაც ნაცნობ-მეგობრობით ირანის შაჰიც კი **„ამაყობდა"**...

დღეს, რაღაც, თითქოს, ჩაკვდა ეს სფერო, ეს მიმართულება. ყოველ შემთხვევაში, მედიის ყურადღების ქვეშ რატომღაც არ არის მსგავსი ღონისძიებები. არადა, როგორ არის საჭირო. აი, თუნდაც იმის საპირისპიროდ, რასაც **„გირჩის"** მარიახუანული ეპოპეა ქვია და რაც სამარცხვინოდ იზიდავს მავანის ყურადღებას (პირბასარა ზურაბ ჯაფარიძისა და ნაძირალა ზურაბ ხაჩიძისაგან სხვა რა სიკეთეს უნდა მოელოდეს ქვეყანა?).

ჩვენთან, მგონი (!!!), არსებობს ახალგაზრდობის და სპორტის სამინისტრო, რომელსაც საზოგადოებაში ფრიად ავტორიტეტული (!) და უმწიკვლო (!) რეპუტაციის მქონე ცნობილი ბიზნესმენი, უახლოესი წარსულის უცნობილესი ექსჩინოვნიკების მეგობარი და ბიზნესპარტნიორი თავკაცობს. (ყოველ შემთხვევაში, ეს ასე უნდა იყოს.) ახალგაზრდობის პრობლემებით ამ სამინისტროს დიდი დაინტერესება მედიისთვის მანდამაინც ცნობილი არ არის, მაგრამ, სხვა მხრივ (მაგალითად, ფედერაციების არჩევნები, ფეხბურთის ბილეთების განაწილება...) სამინისტროს აქტიურობაზე, რა თქმა უნდა, ინფორმაცია ჟონავს...

ასევე, ჩვენი ოლიმპიურ კომიტეტსაც სახელოვანი სპორტსმენი და არანაკლებ სახელოვანი ბიზნესმენი მეთაურობს...

ასეა პარლამენტშიც. ჩვენი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მსგავსად, არსად, მსოფლიოს არცერთ პარლამენტში არ არის დეპუტატად წარმოდგენილი ამდენი სპორტსმენი (მოჭიდავე, ფეხბურთელი). მათ ისეთი **„რეჩები"** დაარტყეს ამ ორიოდე დღის წინ ჩატარებულ დაჯილდოვების მშვენიერ ცერემონიალზე, რომ... გულს უხაროდა და იმედით ავსებდა!

აი, წინა საპარლამენტო დარგობრივი კომიტეტის ძველ შემადგენლობასაც ყველაფერი ადარდება, ყველაფერზე ფიქრობდა, მათ შორის, მაგალითად, ვაკეში ჭიდაობის სასახლის გასხვისებაზეც ფიქრობდა **„ავარიულობის"** მომიზეზებით და საგანგებო წერილით თავაზობდა კიდეც ქალაქის მერიას ამ ძვირადღირებულ **„სამშენებლო"** ადგილს. და როგორც **„ბოროტი ენები"** ჩურჩულებდნენ, ეს **„საინტერესო"** პერსპექტივა მაშინ უბრალოდ ჩაიშალა, რამეთუ ვერ **„მოერივნენ"** აბუნტებულ სახელიან მოჭიდავეებს...

და როცა ეს სპორტის და სპორტსმენების ბედ-იღბალზე ერთობ და მუდმივად დაფიქრებული **„მოდეპუტატო"** სპორტსმენ-ბიზნესმენები მსგავს **„ბრძნულ"** კომბინაციებს **„ატრიალებენ"**, მაშინ აი ეს ბიჭუნა და მისი მსგავსი არაერთი ნიჭიერი ყმაწვილი, იმის მაგივრად სპორტულ დარბაზში ხვეწდეს ტალანტს, ოჯახის და საკუთარი თავის შესანახად ბაზრობებზე გათოშილილნი კაპიკებს აგროვებენ...

ადგება **„პალიტრა-ტვ"**-ს ამ პუბლიკაციის შემდეგ ვინმე **„უცხოელი მეზობელი"**, მოკიდებს ამ ბიჭს ხელს, წაიყვანს, გაზრდის და... რომელიმე საერთაშორისო ასპარეზობაზე გამარჯვებულებულების კვარცხლბეგზე ასული ამ და მისი მსგავსი რაინდების პატივსაცემად აჟღერდება ჰიმნი... არა საქართველოსი, არამედ, მაგალითად, აზერბაიჯანის... საბერძნეთის... რუსეთის... უკრაინის...

და სხვისი (!) ჰიმნის მელოდიის ფონზე ჩვენ გულზე ხელის ბრაგუნით **„ვიტრაბახებთ"**: ეს ჩემპიონი ხომ ჩვენ მიწაზე დაიბადა, აქ აიდგა ფეხი... აი, ასეთი მაგრები ვართ ქართველები!

რა, არ მომხდარა ასე, არ ხდება ახლა თუ არ მოხდება ხვალ?..

რა კარგად თქვა პოეტმა, **„საქართველო, შენ ვინ მოგცა, შვილი დასაკარგავი!"**

სხვათაშორის, მას მოჭიდავეებიც ყავდა მხედველობაში!

შენ დაუკა!!!!

## ქართულ-იბერული (მეგრული) ლექსიკონი

**ადრეულა-მოცოროზ (ხილი, მოსავალი)**
**ადრეული-ნოადრ**
**ავადმყოფი-ლეხ**
**ავაზაკი-ჯარუბადო, აბრაგ**
**ავბედითი-უბადო ბედიშ**
**ავდარი-ხანდარა, ჭიხ**
**ავდრისპირი-მაჭიხუ**
**ავეჯი-ხაბაკ**
**ავთვალი-უბადო თოლ, ალიანჩალიან**
**ავი-უბადო**
**ავისმქნელი-მოუბადე**
**ავობა-უბადობა**
**ავსება-ეფშაფა**
**ავსული-უბადოშურ, ალიან**
**ავხორცი-უბადო თვინთვ**
**ავხორცობა-უბადო თვინთვალარა**
**აზატი-ფიოშ**
**აზვინვა-ეზვინუა, აბაკუა (მიწის)**
**აზიელი-აზიატ (ტ, თ, თი კოლხურ-იბერულში კუთვნილებას, მიმდევრობას, ძეობას, სახლობას ნიშნავდა.)**
**აზიზი-წიწკ, აზიზ**
**აზნაური-ჟინორ, კორელ**
**აზნაურიშვილი-ჟინოსკუა**
**აზრი-არზ, რსიმა**
**აზრიანი-არზიერ, რსიმამ**
**აზროვნება-არზუონა, არსიმაფა**
**აზღუდი-აბზღუდ**
**ათავება-ეთება**
**ათასი-ვითოშ**
**ათასგან-ვითოშგან**
**ათასგვარი-ვითოშგვარ**
**ათასეული-ვითოშეურ**
**ათასისთავი-ვითოშიშდუდ**
**ათასნაირი-ვითოშნერ**
**ათასფეროვანი-ვითოშფერიერ**
**ათასფეროვანი-ვითოშფერიერობა**
**ათასცხრაასი-ვითოშჩხორიშ**
**ათასწილად-ვითოშწილო**
**ათასწლეული-ვითოშწანეურ**
**ათასჯერ-ვითოშიშახ**
**ათაშანგი-ადაშაკ**
**ათეული-ვითეურ**
**ათვალწუნება-ოთოლწუნება, ექიბირაფა**
**ათვისება-აანდება**
**ათვისებული-აანდებურ**
**ათვლა-ერკება**
**ათი-ვით**
**ათინათი-ანოთა**
**ათისთავი-ვითიშდუდ**
**ათობით-ვითობით**
**ათქვეფა-თახუა**
**ათქვირება-აბუთქაფა**
**ათქვირებული-აბუთქაფირ**
**ათწილადი-ვითწილოთ**
**ათწლედი-ვითწანედ**
**აი-ა (ნაწ.)**
**აითვისებს-ეანდენს**
**აისი-ალია**
**აისი-დაისი–ალია-დალ**
**აისახება-ეიხატუ**
**აკაპიწება-ებარკანუა**
**აკაპიწებული-ებარკანერ**

მალხაზ-ლაზარე გრიგოლია

**გაზეთ „ილორი"-ს მთავარ რედაქტორს, ბატონ როლანდ ჯალაღანიას!**

**ბატონო როლანდ!**

**ნება მიბოძეთ თქვენ, თქვენი გაზეთის მთელ შემადგენლობას, მკითხველების დიდ არმიასთან, ოჯახებთან და საქართველოსთან ერთად მოგილოცოთ დამდეგი შობა-ახალი წელი, გისურვოთ მშვიდობა, ჯანმრთელობა, საქართველოს გაერთიანება, და რაც მთავარია დროულად დაწყებულიყოს საქართველოს აღორძინება! ამინ!**

**გფარავდეთ მამა ზეციერი და დედა ღვთისმშობელი!**

**პატივისცემით და კეთილი სურვილებით,**

ანზორი დანელია,
თბილისი

**გამოვიდა ჟურნალ „აია"-ს მომდევნო ნომერი (№20), რომლის მთავარი რედაქტორია ბატონი გიორგი სიჭინავა.**

**ჟურნალი შეგიძლიათ შეიძინოთ თბილისში, ტაშკენტის ქუჩა №25-ში, I სადარბაზო, ბინა №1.**

**ტელ. 2-38-03-11**

**ჟურნალის შეძენა ასევე შეგიძლიათ სახალხო მოძრაობა „სამეგრელო"-ს წარმომადგენლობაში, ზუგდიდში.**

**ჟურნალის ფასია 4 ლარი.**


**გარდაიცვალა სახალხო მკურნალი, რომელმაც მოუგო ომი მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, მის დაძირვას რომ ცდილობდა.**




*დომენტი გაბნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვილის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ციროზს I და II სტადიებში, ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.*

*ახლა მკურნალის საქმეს აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.*

*კოორდინატებია: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.*

ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48




**მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან**



ISSN 1987-8966 "ილორი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6
სარეგ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27 ტექრედაქტორი 568-01-21-32
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე
WWW.saqinform.ge